

ანზორ კურატაშვილი

**სოციალურად
ორიენტირებული
საბაზრო ეკონომიკა
და სამართლებრივი
ფაქტორის გავლენა
მის ეფექტიან
ფუნქციონირებაზე**

საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”
თბილისი
2008

ანზორ აღფრედის ძე კურატაშვილი. *სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა და სამართლებრივი ფაქტორის გავლენა მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე*. თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2008. – 240 გვ.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსისა და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ანზორ კურატაშვილის მონოგრაფიაში ავტორის მიერ შემუშავებული თვისობრივად ახალი მეცნიერული მიდგომის საფუძველზე მოცემულია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსისა და სპეციფიკური ნიშნების ავტორისეული – პრინციპულად ახლებური განსაზღვრა. ახლებურად არის გახსნილი და დასაბუთებული აგრეთვე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობები.

განსაზღვრულია აღნიშნული საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მთავარი კრიტერიუმი და შემუშავებულია ამ ეკონომიკური სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამალღების გზები.

სამეცნიერო რედაქტორი:

აღფრედ კურატაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
აკადემიკოსი

რეცენზენტები:

მიხეილ თოქმაჯიშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
აკადემიკოსი

ნანა ოქრუაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

© ანზორ აღფრედის ძე კურატაშვილი, 2008.

შინაარსი

შესავალი	5
თავი I. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი, საეციფიკური ნიშნები და წინააღმდეგობები	15
1.1. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი და სპეციფიკური ნიშნები	15
1.2. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობები	39
თავი II. სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი და სამართლებრივი ფაქტორი	51
2.1. მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემა და სამართლებრივი ფაქტორი	51
2.2. სამართლებრივი ფაქტორი – როგორც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევის აუცილებელი საშუალება	70
2.3. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში სამართლებრივი ფაქტორის პრაქტიკული გამოყენების პრობლემა	89
თავი III. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეშვქტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზები	121

3.1. საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზები	121
3.2. საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზები	148
3.3. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევისა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზები.....	170
დასკვნა	187
გამოყენებული ლიტერატურის სია	196
Леонид Дейчман (Нью-Йорк, США), Михаил Рокетлишвили (Нью-Йорк, США) – ОРИГИНАЛЬНОЕ НАУЧНОЕ ИССЛЕДОВАНИЕ. Рецензия на монографию Анзора Кураташвили: “Социально ориентированная рыночная экономика и влияние правового фактора на ее эффективное функционирование”	231
Эдуард Корицкий (Гамбург, Германия) – КАЧЕСТВЕННО НОВЫЙ ПОДХОД В ИССЛЕДОВАНИИ ПРОБЛЕМ СОЦИАЛЬНО ОРИЕНТИРОВАННОЙ РЫНОЧНОЙ ЭКОНОМИКИ. Рецензия на монографию Анзора Кураташвили: “Социально ориентированная рыночная экономика и влияние правового фактора на ее эффективное функционирование”	235

შესავალი

თემის აქტუალობა. საბაზრო ურთიერთობების მიზანდასახული გამოყენება საზოგადოების ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ამასთან, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება და ეფექტიანი ფუნქციონირება მეტად რთული პრობლემაა, რადგან საბაზრო ეკონომიკის მამოძრავებელი მიზანია – რაც შეიძლება მეტი, ე. ი. მაქსიმალურად შესაძლო მოგების მიღება, რაც მიუთითებს საბაზრო ეკონომიკის მკვეთრად გამოხატულ ეკონომიკურ მიმართულებაზე, ხოლო საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია გულისხმობს ორიენტაციას ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე, ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრაზე.

ამრიგად, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა შეიცავს წინააღმდეგობებს საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის, რომელთა გადაჭრა და, საერთოდ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება, სამართლებრივი ფაქტორის გამოყენებისა და მისი სათანადო გავლენის გარეშე შეუძლებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივდივართ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ სამართლებრივი ფაქტორის სათანადო

გავლენის გარეშე შეუძლებელია როგორც საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება, ისე საბაზრო ეკონომიკის რეალური სოციალური ორიენტაცია, და აგრეთვე იმ წინააღმდეგობათა დაძლევა, რომლებიც არსებობს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომგებიანი, ანუ ეფექტიანად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის გარეშე, ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია პრაქტიკულად შეუძლებელია. მაგრამ აქ ყურადღება გამახვილებულია, როგორც უკვე აღინიშნა, წინააღმდეგობებზე საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის.

მაშასადამე, აქ მსჯელობაა არა იმაზე, რომ მხოლოდ მომგებიანი საბაზრო ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი, საბოლოო ჯამში, მისი სოციალური ორიენტაცია, რომელშიც იგულისხმება სოციალური პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობა, არამედ მსჯელობაა ამ შემთხვევაში იმაზე, რომ საბაზრო ეკონომიკის შინაგანი ეკონომიკური მიმართულება, მისი შინაგანი ეკონომიკური მიზანი არ შეიძლება არ იყოს წინააღმდეგობაში მის სოციალურ ორიენტაციასთან.

აღნიშნული წინააღმდეგობის გადაჭრა კი, ისევე როგორც მთლიანად სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება, როგორც უკვე

აღინიშნა, შეუძლებელია სამართლებრივი ფაქტორის გამოყენებისა და მისი სათანადო გავლენის გარეშე.

ამასთანავე, აღნიშნული პრობლემა თეორიულ-ეკონომიკურ ასპექტში ნაკლებად არის შესწავლილი და ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პირობებში.

სწორედ ამით აიხსნება საკვლევი თემის აქტუალობა.

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები. სამეცნიერო ნაშრომის კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკის არსის, სპეციფიკური ნიშნებისა და წინააღმდეგობების ახლებური განსაზღვრა და ამის საფუძველზე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის გზების დასახვა.

მონოგრაფიაში დასმული ძირითადი მიზნის რეალიზაციისათვის გათვალისწინებულია კვლევის შედეგად შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსისა და სპეციფიკური ნიშნების ახლებური განსაზღვრა;
- სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობების ახლებური გახსნა და დასაბუთება;
- სამართლებრივი ფაქტორის განსაკუთრებული მნიშვნელობის განსაზღვრა და დასაბუთება სოციალურად

ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევაში;

– სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების მთავარი კრიტერიუმის განსაზღვრა;

– საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზების დადგენა;

– საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზების დადგენა;

– სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზების დადგენა.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. მონოგრაფიაში განხილული პრობლემების მეცნიერული კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს როგორც ეკონომიკური მეცნიერების კლასიკოსთა ფუნდამენტური გამოკვლევები, ისე თანამედროვე გამოჩენილ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები.

სამეცნიერო კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პრობლემებთან და მათ გადაწყვეტასთან დაკავშირებული

კანონები და სხვა ნორმატიული აქტები, აგრეთვე სამეცნიერო სიმპოზიუმების, კონფერენციებისა და სემინარების მასალები.

ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე. სამეცნიერო ნაშრომის ძირითადი შედეგებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

– არსებული თეორიული შეხედულებებისა და პრაქტიკის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მოცემულია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსისა და სპეციფიკური ნიშნების ახლებური განსაზღვრა;

– ახლებურად არის გახსნილი და დასაბუთებული სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობები;

– განსაზღვრულია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების მთავარი კრიტერიუმი;

– დადგენილია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზები.

მეცნიერული სიახლე. მონოგრაფიული ნაშრომის ძირითადი მეცნიერული სიახლე მდგომარეობს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის, სპეციფიკური ნიშნებისა და წინააღმდეგობების ახლებურ განსაზღვრაში და ამის საფუძველზე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზების დადგენაში.

ნაშრომის ძირითადი მეცნიერული სიახლე შეიძლება დაკონკრეტდეს შემდეგნაირად:

— ახლებურად არის გახსნილი და თეორიულად დასაბუთებული სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი და სპეციფიკური ნიშნები.

კერძოდ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი განიხილება როგორც ისეთი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება, რომლისათვისაც დამახასიათებელია ერთდროულად მოგების მიღებისადმი სწრაფვა და სოციალური ორიენტაცია.

რაც შეეხება სპეციფიკურ ნიშნებს, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა განხილულია როგორც საბაზრო ეკონომიკური სისტემა, რომელსაც, ერთი მხრივ, ახასიათებს წმინდა ეკონომიკური მიმართულება, ანუ მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ სწრაფვა, ხოლო, მეორე მხრივ, ახასიათებს სოციალური ორიენტაცია, ანუ ორიენტაცია ადამიანის — ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე.

აღნიშნული სპეციფიკური ნიშნების ერთობლიობაში გამოიხატება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი და მისი განსხვავება როგორც მკაცრად რეგულირებადი, ისე თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისაგან. თუმცა ამავე დროს თვითონ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკური ნიშნები გამომდინარეობს ამ ეკონომიკური სისტემის არსიდან და გამოხატავს მის არსს;

– გახსნილი და დასაბუთებულია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობა – როგორც წინააღმდეგობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის;

– სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობიდან გამომდინარე გახსნილი და დასაბუთებულია აგრეთვე აღნიშნული ეკონომიკური სისტემის ისეთი წინააღმდეგობების არსებობა, როგორებიც არის: წინააღმდეგობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის თავისუფლად ფუნქციონირების აუცილებლობასა და საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობას შორის; წინააღმდეგობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოთა ეკონომიკურ მიზანსა და ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის სოციალურ ორიენტაციას შორის; წინააღმდეგობა მეწარმეთა კერძომესაკუთრულ ეკონომიკურ მიზანსა და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის; წინააღმდეგობა კორუფციონერთა – უკანონო შემოსავლების მიღების მსურველთა და პრაქტიკაში განმახორციელებელთა – წმინდა ეკონომიკურ მიზანსა და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკულ რეალიზაციას შორის;

– განსაზღვრული და დასაბუთებულია სამართლებრივი ფაქტორის განსაკუთრებული მნიშვნელობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევაში, რომელიც მონოგრაფიაში განხილულია როგორც ამ წინააღმდეგობათა დაძლევის აუცილებელი საშუალება;

– სამართლებრივი ფაქტორის გავლენა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაზე განიხილება ამავე დროს როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის – წარმოების მეხუთე ფაქტორის – პრაქტიკული გამოვლინების ერთ-ერთი ასპექტი;

– სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის დერეგულირება განხილულია როგორც ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა;

– სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების მთავარ კრიტერიუმად მიჩნეულია სოციალური პრობლემების გადაჭრა და ყოველი ადამიანის ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

ამასთან, მონოგრაფიულ ნაშრომში ხაზგასმულია, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების მთავარი კრიტერიუმი ფაქტობრივად თავის თავში მოიცავს (აერთიანებს) ერთდროულად ორ კრიტერიუმს: ეკონომიკური მიზნის რეალიზაციას, ანუ მოგების მიღებას, და სოციალური პრობლემების გადაჭრას. მაგრამ აღნიშნული ტიპის საბაზრო სისტემის განვითარების კვალობაზე სულ უფრო მკვეთრად

იკვეთება სოციალური პრობლემების გადაჭრის მნიშვნელობა როგორც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების მთავარი კრიტერიუმისა;

– დადგენილია საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზები, რაც მდგომარეობს ისეთი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების მიღებაში და აღსრულებაში, რომლებიც სტიმულს მისცემენ ეკონომიკის განვითარებას და ამავე დროს გაზრდიან პასუხისმგებლობას ეკონომიკურ შედეგებზე;

– დადგენილია საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზები, რაც მდგომარეობს ისეთი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების მიღებაში და აღსრულებაში, რომლებიც გამიზნული იქნებიან ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე და სოციალური პრობლემების პრაქტიკულ გადაჭრაზე, და რომლებიც ამავე დროს გაზრდიან პასუხისმგებლობას ამ პრობლემების მოუგვარებლობისათვის;

– დადგენილია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზები, რაც გამოიხატება ისეთი კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების მიღებაში და აღსრულებაში, რომლებშიც მოცემული იქნება აღნიშნული

წინააღმდეგობების დაძლევის სამართლებრივი მექანიზმები და ამის საფუძველზე გათვალისწინებული იქნება როგორც საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების სამართლებრივი უზრუნველყოფის აუცილებლობა და შესაძლებლობა, ისე ამ ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაციის სამართლებრივი გარანტიები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. მონოგრაფიულ ნაშრომში მოცემული კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნეს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების პროცესში მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის, კერძოდ, სამართლებრივი ფაქტორის გავლენის გასაძლიერებლად სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების პრობლემების სწავლებისა და კვლევის პროცესში, ისევე როგორც აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებული კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების სრულყოფისა და ახალი სამართლებრივი აქტების შემუშავების დროს.

თავი I. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი, სპეციფიკური ნიშნები და წინააღმდეგობები

1.1. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი და სპეციფიკური ნიშნები

ტრადიციული საბაზრო ეკონომიკისაგან განსხვავებით სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკური სისტემის კვლევა თვისებრივად ახალ მიდგომას მოითხოვს, რაც განპირობებულია იმ პრინციპული მნიშვნელობის სიახლით, რომელიც დამახასიათებელია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისათვის.

საბაზრო ეკონომიკისა და მისი სოციალური ორიენტაციის პრობლემების კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე პირობებში, როდესაც მიმდინარეობს ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესი და ამ ურთიერთობების ეფექტიანი გამოყენების გზების ძიება.

ზემოაღნიშნული პრობლემების ეფექტიანი კვლევის ამოცანა განაპირობებს, უპირველეს ყოვლისა, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსისა და სპეციფიკური ნიშნების განსაზღვრის აუცილებლობას, რადგან, ჯერ-ერთი, თუმცა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო

ეკონომიკის არსი გარკვეულწილად გულისხმობს – შეიცავს თავის თავში – საბაზრო ეკონომიკის არსსაც, მაგრამ, ამასთან ერთად, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა ხასიათდება თვისებრივად ახალი არსით, რაც განპირობებულია საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციით, და, მეორეც, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკური ნიშნები ხასიათდება საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ნიშნებისაგან განსხვავებული თვისებრივი თვისებურებებით.

ეკონომიკა, როგორც ცნობილია, ფაქტობრივად ყველგან საბაზრო ეკონომიკას წარმოადგენს, რადგან რეალურად ეკონომიკა არ არსებობს საქონელწარმოების გარეშე, ხოლო საქონლური წარმოება წარმოდგენილია ბაზრის გარეშე.

ანალოგიური აზრი გამოთქმულია ეკონომიკურ ენციკლოპედიაში, სადაც ვკითხულობთ: „საბაზრო ეკონომიკა – ისტორიული კატეგორიაა, რომელიც დამახასიათებელია იმ სოციალურ-ეკონომიკური სისტემებისათვის, სადაც არის სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები. აღმოცენდა რა ძრავალი საუკუნის წინათ, მან მიაღწია განვითარების მაღალ დონეს, გახდა ცივილიზებული და სოციალურად ორიენტირებული“¹.

გარდა ამისა, ანალოგიური აზრი დაფიქსირებულია თანამედროვე ეკონომიკური თეორიის მაკმილანის

¹ Экономическая энциклопедия/Науч.-ред. совет. изд-ва “Экономика”; Ин-т экон. РАН; Гл. ред. Л. Н. Абалкин-М.: ОАО “Издательство “Экономика”, 1999, с. 976.

მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ ინგლისურ ლექსიკონში, რომელშიც ვკითხულობთ: „საბაზრო ეკონომიკა ჩვეულებრივ გულისხმობს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების სისტემას, ე. ი. ის არის „კაპიტალისტური“ ეკონომიკა ან „კერძო მეწარმეობის“ ეკონომიკა. მაგრამ საბაზრო ეკონომიკა შეიძლება გარკვეულწილად ფუნქციონირებდეს საზოგადოებრივი საკუთრების დროსაც“².

ამასთან ერთად განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინში „საბაზრო ეკონომიკა“ იგულისხმება, ერთი მხრივ, ეკონომიკა, რომლის მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება და, მეორე მხრივ, ეკონომიკა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტთა სრული თავისუფლების არსებობა, საკუთრების ფორმათა პლურალიზმი, სამეწარმეო საქმიანობის სახეობათა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მრავალფეროვნება, რომლებსაც განვითარების თანაბარი შესაძლებლობები გააჩნიათ.

საბაზრო ეკონომიკა – ეს არის ეკონომიკა, რომლის მართვა ძირითადად ხდება ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების ძალთა გავლენით, ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შეზღუდვის პირობებში. „საბაზრო ეკონომიკა, – რ. ნურეევის სიტყვებით რომ ვთქვათ, – ხასიათდება როგორც სისტემა, რომელიც დაფუძნებულია კერძო საკუთრებაზე, არჩევანისა და კონკურენციის თავისუფლებაზე. იგი ემყარება

² Словарь современной экономической теории Макмиллана. – М.; ИНФРА-М, 1997, с. 311.

პირად ინტერესებს, ზღუდავს მთავრობის როლს³. აქ, ჩვენი აზრით, დასაზუსტებელია მხოლოდ ის, რომ თუმცა, როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკა, ანუ ეკონომიკა, რომლის რეგულირებაში გადამწყვეტი როლი ბაზარს ეკუთვნის, ძირითადად დაფუძნებულია კერძო საკუთრებაზე, მაგრამ რეალურად ის ეფუძნება საკუთრების ფორმათა პლურალიზმს, ამ ფორმათა სამართლებრივი თანასწორუფლებიანობის პირობებში.

მაშასადამე, ტერმინში „საბაზრო ეკონომიკა“, ჩვენი აზრით, უნდა იგულისხმებოდეს, ერთი მხრივ, მაქსიმალურად შესაძლო მოგებაზე გამიზნული ეკონომიკა, მისი საბაზრო ორგანიზაციის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენებით, ხოლო, მეორე მხრივ, – ეკონომიკა, რომელშიც მთავარი როლი საბაზრო მექანიზმებს ენიჭება, რადგან საბაზრო ეკონომიკა არის ისეთი „ეკონომიკა, რომელშიც კითხვები რა, როგორ და ვისთვის ვაწარმოოთ, რომლებიც ეხება რესურსების განლაგებას, წყდება უმთავრესად ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების ძალთა ურთიერთქმედების მეშვეობით. ეკონომიკური ორგანიზაციის ასეთი ფორმის დროს, ფირმები, რომელთაც ამოძრავებთ სწრაფვა მაქსიმალური მოგებისადმი, ყიდულობენ წარმოებრივ რესურსებს და ყიდიან წარმოებულ პროდუქციას. საოჯახო მეურნეობები, ღებულობენ რა ფაქტორების გაყიდვის შედეგად შემოსავალს, მიდიან ბაზარზე და წამოაყენებენ მოთხოვნას

³ Нуреев Р. М. Курс микроэкономики. Учебник для вузов. – 2-е изд. изм. – М.: Издательство НОРМА (Издательская группа НОРМА-ИНФРА-М), 2001, с. 60.

საბოლოო სიკეთეებზე. მიწოდების (ფირმის მხრიდან) და მოთხოვნის (საოჯახო მეურნეობების მხრიდან) ურთიერთქმედებას მივყავართ ფასისა და სიკეთეთა რეალიზაციის მოცულობის დადგენამდე⁴.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკა – ეს არის მოგების მიღების მაქსიმიზაციაზე გამიზნული ეკონომიკა მასში საბაზრო მექანიზმების გადამწყვეტი მარეგულირებელი როლით.

ამასთან, საბაზრო ეკონომიკაში ფაქტობრივად იგულისხმება ბაზრის – საბაზრო ურთიერთობების – საყოველთაო ხასიათი, რაც დამახასიათებელია კაპიტალიზმისათვის, ე. ი. ტერმინში „საბაზრო ეკონომიკა“ თანამედროვე გაგებით ფაქტობრივად იგულისხმება კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკა, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შინაარსი, მაშინ როდესაც ბაზარი – საბაზრო ურთიერთობები – და, შესაბამისად, საბაზრო ეკონომიკა მხოლოდ კაპიტალიზმისთვის არ არის დამახასიათებელი.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შინაარსთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს აზრი იმის შესახებ, რომ „ეს კონცეფციები (საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფციები – ა. კ.) საკმაოდ ვიწროდ, გადასვლის რეალური ამოცანების შეუსაბამოდ, ორიენტაციას აძლევს რეფორმირების პრაქტიკას მოძრაობაზე სწორედ (და მხოლოდ)

⁴ Самуэльсон Поль А., Нордхаус Вильям Д. Экономика: Пер. с англ. – М.: „БИНОМ“, „Лаборатория Базовых Знаний“. 1997, с. 793-794.

კაპიტალიზმისაკენ (რადგან საზოგადოება „სოციალიზმიდან“ მიდის)⁵.

აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ ცნობილი უცხოური ენციკლოპედიური ტიპის ეკონომიკურ ლექსიკონში კერძო მეწარმეობის ეკონომიკა, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა და კაპიტალიზმი ფაქტობრივად განხილულია როგორც ერთი და იგივე ცნებები⁶, რაც, ჩვენი აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ კერძო მეწარმეობა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა დამახასიათებელია კაპიტალიზმისათვის, თუმცა, ჯერ-ერთი, კაპიტალიზმი მხოლოდ კერძო მეწარმეობა და საბაზრო ეკონომიკა არ არის და, მეორეც, კერძო მეწარმეობისა და საბაზრო ეკონომიკის არსებობა შესაძლებელია არა მარტო კაპიტალიზმის დროს.

მაშასადამე, თუმცა საბაზრო ეკონომიკა აღრეც არსებობდა, მაგრამ თანამედროვე გაგებით საბაზრო ეკონომიკაში, ჩვენი აზრით, იგულისხმება (უნდა იგულისხმებოდეს) ბაზრით რეგულირებადი ეკონომიკა, ე. ი. იგულისხმება ეკონომიკა, რომელსაც ბაზარი არეგულირებს, განსხვავებით საბჭოური ტიპის ეკონომიკისაგან, როდესაც ეკონომიკის რეგულირება ხდებოდა ცენტრალიზებული გეგმითა და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებით, ანუ იმ სისტემით, რომელსაც

⁵ Курс переходной экономики: Учебник для вузов (Под ред. акад. Л. И. Абалкина – М.: ЗАО “Финстатинформ”, 1997, с. 37.

⁶ Пасс К., Лоуз Б., Девис Л. Словарь по экономике. Пер. с англ. под ред. П. А. Ваткина. СПб.: Экономическая школа. 1998, с. 665.

ლუდვიგ ერხარდმა იძულებით წარმართვადი მეურნეობა უწოდა⁷.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკას, იმ გაგებით, რაც ამ ტერმინში თანამედროვე გაგებით რეალურად იგულისხმება, ჩვენი აზრით, უნდა ეწოდებოდეს უპირატესად ბაზრით რეგულირებადი ეკონომიკა.

ამასთან ერთად ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა განსხვავდება როგორც მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკისაგან, ისე თავისუფალი ბაზრისაგან – თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისაგან – კიდევ იმით, რომ თუ „მბრძანებლურ ეკონომიკაში ყველა გადაწყვეტილებას წარმოებისა და მოხმარების შესახებ ღებულობს სახელმწიფო“⁸, ხოლო „თავისუფალი ბაზრის ეკონომიკაში სახელმწიფო არანაირ როლს არ თამაშობს რესურსების განაწილებაში“⁹, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა გულისხმობს, ერთი მხრივ, საბაზრო ორგანიზაციის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენებასა და საბაზრო მექანიზმების გამოყენების მარეგულირებელ როლის და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს სამართლებრივი და ორგანიზაციული ჩარევის აუცილებლობას (მეწარმეთა შესაძლო თავისუფლების მაქსიმალური შენარჩუნებით) საბაზრო

⁷ Эрхард Л. Благосостояние для всех. – М.: Начала - Пресс, 1991, с. V.

⁸ Фишер С., Дорнбуш Р., Шмалензи Р. Экономика: Пер. с англ. со 2-го изд. – М.: “Дело ЛТД”, 1993, с. 10.

⁹ Фишер С., Дорнбуш Р., Шмалензи Р. Экономика: Пер. с англ. со 2-го изд. – М.: “Дело ЛТД”, 1993, с. 11.

ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებისა და მისი სოციალური ორიენტაციისათვის.

ამრიგად, თუ საბაზრო ეკონომიკა – ეს არის „ეკონომიკა, რომელშიც არსებობს ეკონომიკურ ურთიერთობათა სუბიექტების სრული თავისუფლება, განვითარებულია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები, საკუთრების ყველა ფორმას და მეწარმეობის სახეებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის, ხოლო სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში შეზღუდულია“¹⁰, და, რაც მთავარია, თუ საბაზრო ეკონომიკა ეს არის ეკონომიკა, რომლის მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება აღნიშნული მრავალფეროვანი ფორმებისა და საშუალებების გამოყენებით, რაც საბაზრო ეკონომიკის არსის განმსაზღვრელ კრიტერიუმს წარმოადგენს, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა – არის ეკონომიკა, რომლის არსი განისაზღვრება მისი, როგორც საბაზრო ეკონომიკის, მოგებისადმი სწრაფვის პარალელურად სოციალური პრობლემების გადაჭრაზე ორიენტაციით, უფრო ზუსტად კი – სოციალური ორიენტაციით, რადგან რეალურად ეკონომიკურად ეფექტიანი ეკონომიკის და ამავე დროს სოციალური ორიენტაციის მქონე ეკონომიკის პირობებში სოციალური პრობლემების არსებობის ალბათობა ძალიან დაბალია.

¹⁰ Экономическая теория/Под ред. А. И. Добрынина, Л. С. Тарасевича: Учебник для вузов. 3-е издание. – СПб: Изд. СПбГУЭФ, Изд. “Питер Ком”, 1999, с. 530.

მაშასადამე, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი მდგომარეობს ისეთი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში, რომლისათვისაც დამახასიათებელია ერთდროულად მოგების მიღებისადმი სწრაფვა და სოციალური ორიენტაცია.

კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა, საბაზრო ეკონომიკის მიზანია მაქსიმალურად მაღალი მოგების მიღება, რადგან „საზოგადოებრივი წარმოების ფუნქციონირება მეწარმეობის პირობებში ხორციელდება ადეკვატურ ფორმებში, რომლებიც შეესაბამება საბაზრო ეკონომიკას. როგორც ცნობილია, მეწარმეობა – ეს ინიციატივიანი საქმიანობაა, რომელიც მიმართულია კომერციული წარმატების (მოგების) მისაღწევად“¹¹.

რაც შეეხება სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას, ის აგრეთვე მოგების მისაღებად არის მიმართული, მაგრამ, განსხვავებით სოციალურად არაორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისაგან, საბაზრო ეკონომიკის სოციალურად ორიენტირებული მოდელი თავისი არსის განმსაზღვრელ კრიტერიუმად მოგებისადმი სწრაფვასთან ერთად სოციალურ ორიენტაციას და მის პრაქტიკულ რეალიზაციას შეიცავს.

აბრევად, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია და ამ ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაცია, რაც

¹¹ Экономическая теория/Под ред. А. И. Добрынина, Л. С. Тарасевича: Учебник для вузов. 3-е издание.– СПб: Изд. СПбГУЭФ, Изд. “Питер Ком”, 1999, с. 56-57.

გამოიხატება ხალხის ცხოვრების მაღალ ხარისხში, წარმოადგენს იმ მთავარ განმსაზღვრელ კრიტერიუმს, რომლითაც ხასიათდება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსობრივი ბუნება და რომელიც უდავოდ დადებით შეფასებასა და მხარდაჭერას იმსახურებს, რადგან ის ორიენტირებულია იმაზე, რაც ეკონომიკის არსებობისა და ფუნქციონირების ბუნებრივ დანიშნულებას წარმოადგენს (უნდა წარმოადგენდეს), ანუ ორიენტირებულია ხალხის კეთილდღეობის ამალღებაზე.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის ზემოაღნიშნული განსაზღვრა, ანუ მისი არსის განსაზღვრის ჩვენეული კრიტერიუმი პრინციპული მნიშვნელობის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სხვა ასეთი განსაზღვრა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, არ არსებობს, თუმცა ცხადია, რომ საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია თავისთავად ხალხის კეთილდღეობაზე ორიენტაციას გულისხმობს, რასაც ლუდვიგ ერხარდის სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრობლემისადმი მიძღვნილი ცნობილი წიგნის სახელწოდებაც – „კეთილდღეობა ყველასათვის“¹² – ადასტურებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის განსაზღვრა,

¹² Эрхард Л. Благосостояние для всех: Репринт. воспроизведение: Пер. с нем./Авт. предисл. Б. Б. Багаряцкий, В. Г. Гребенников. – М.: Начала - Пресс, 1991.

რომელიც დააფიქსირებდა ამ ტიპის ეკონომიკის მთავარ განმსაზღვრელ კრიტერიუმს, სამეცნიერო ლიტერატურაში ფაქტობრივად თითქმის არ გვხვდება, რადგან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაში იგულისხმება ჩვეულებრივი საბაზრო ეკონომიკა, რომელსაც სოციალური ორიენტაცია აქვს. თუმცა სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას, მისი სოციალური ორიენტაციიდან გამომდინარე, თვისებრივად განსხვავებული არსი და აქედან გამომდინარე სპეციფიკური ნიშნები გააჩნია.

კერძოდ, თუ საბაზრო ეკონომიკის არსის განსაზღვრისას ყურადღება ძირითადად გამახვილებულია საბაზრო ურთიერთობების ფუნქციონირების ფორმებზე და მეთოდებზე: საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნებაზე და მათ თანასწორუფლებიანობაზე, ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტთა სრულ თავისუფლებაზე, ბაზრის მარეგულირებელ როლზე და ა. შ., სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის განსაზღვრისას, ჩვენი აზრით, ყურადღება უპირველეს ყოვლისა გამახვილებული უნდა იქნეს, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანზე – მოგებაზე, და ამავე დროს მის სოციალურ ორიენტაციაზე – ხალხის კეთილდღეობაზე.

სწორედ საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკური მიზნისა და ამავე დროს მისი სოციალური ორიენტაციის ერთდროულად არსებობა წარმოადგენს, ჩვენი ღრმა რწმენით, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის

სპეციფიკურ და განმსაზღვრელ კრიტერიუმს — სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მთავარ განმსაზღვრელ არსს. ¹³

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის ახსნისადმი ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიური მიდგომის სიახლეს და თვით სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის ჩვენეული ახსნის განსხვავებას ამ პრობლემაზე არსებული ტრადიციული შეხედულებებისაგან ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ლუდვიგ ერხარდის მიერ მოცემული განმარტების თანახმად სოციალური საბაზრო ეკონომიკის სიღრმისეული აზრი „მდგომარეობს იმაში, რათა ბაზარზე შეერთდეს თავისუფლების პრინციპი სოციალურ დაბალანსებასთან და საზოგადოების წინაშე ყოველი ადამიანის ზნეობრივ პასუხისმგებლობასთან“¹³.

ამრიგად, ლუდვიგ ერხარდის აღნიშნული განმარტება ცხადყოფს, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსში იგულისხმება ჩვეულებრივ საბაზრო ეკონომიკის არსი და მისი სოციალური ორიენტაცია, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს შემდეგი:

„გერმანელმა თეორეტიკოსმა, გერმანიის სახელმწიფო და პოლიტიკურმა მოღვაწემ ლუდვიგ ერხარდმა (1897-1977) შექმნა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო მეურნეობის საკუთარი თეორია, რაც განახორციელა

¹³ Эрхард Л. Полвека размышлений: Речи и статьи. – М.: Руссико: Ордынка, 1993, с. 379.

პრაქტიკაში. ამ თეორიის ძირითადი დებულებებია: თავისუფალი ფასის, თავისუფალი კონკურენციის აუცილებლობა, მოთხოვნისა და მიწოდების სწორი თანაფარდობა, ეკონომიკის წონასწორობა. სახელმწიფო მოწოდებულია უზრუნველყოს ეს პირობები საბაზრო მეურნეობაში და უზრუნველყოს სოციალური მიმართულება მათ განვითარებაში¹⁴.

ზემოაღნიშნული ციტატები ლუდვიგ ერხარდის სამეცნიერო შრომებიდან და ეკონომიკური თეორიის ცნობილი სახელმძღვანელოდან სოციალური საბაზრო ეკონომიკის თეორიის ავტორის შესახებ, რომელთა სისწორე, ცხადია, ეჭვს არ იწვევს, და აგრეთვე მოცემულ პრობლემაზე თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა ნათლად ადასტურებს, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩვეულებრივი – სოციალურად არაორიენტირებული – საბაზრო ეკონომიკისაგან მთავარი განმასხვავებელი არსის განსაზღვრა ფაქტობრივად არ არსებობს.

უფრო მეტიც, თვით საბაზრო ეკონომიკის არსის მრავალი განსაზღვრიდან თითქმის არ გვხვდება ისეთი განსაზღვრა, სადაც აქცენტი გაკეთებულია ამ ტიპის ეკონომიკის მიზანზე, როგორც მის მამომრავებელ ძალაზე. ნაცვლად ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ადრეც აღინიშნა, მთავარი აქცენტი გადატანილია საბაზრო ეკონომიკის

¹⁴ Хорвард К., Журавлева Г., Эриашвили Н. Экономическая теория: Учебник для вузов. – М.: Банки и биржи, ЮНИТИ, 1997, с. 21.

ფუნქციონირების ფორმებზე და მეთოდებზე, რაც თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია და აუცილებლად გასათვალისწინებელია, მაგრამ ეს საბაზრო ეკონომიკის მთავარი განმსაზღვრელი არსის მაჩვენებელი მაინც არ არის, რადგან, ჩვენი ღრმა რწმენით, საბაზრო ეკონომიკა — ეს არის, უპირველეს ყოვლისა, მოგებაზე გამიზნული ეკონომიკა, ხოლო თუ უფრო სრულ განმარტებას გავაკეთებთ, საბაზრო ეკონომიკა — ეს არის მოგებაზე გამიზნული და ბაზრით რეგულირებადი ეკონომიკა. თუმცა მთავარი და განმსაზღვრელი საბაზრო ეკონომიკაში მაინც მისი მოგებაზე გამიზნული ფუნქციონირებაა.

✓ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა კი არის — მოგებაზე გამიზნული და ამავე დროს ხალხის კეთილდღეობაზე ორიენტირებული ეკონომიკა, რომელშიც ბაზრის მარეგულირებელი როლი მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ რომლის სოციალურ ორიენტაციას სახელმწიფო უზრუნველყოფს სათანადო ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების საშუალებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკის მოგებაზე გამიზნული ფუნქციონირება მისი სოციალური ორიენტაციის გარეშეც კი სულაც არ გამოირიცხავს საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის შესაძლებლობას. პირიქით, მომგებიანი ეკონომიკის გარეშე შეუძლებელია სოციალური პრობლემების გადაჭრა, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის

სოციალური ორიენტაცია ავტომატურად არ ხდება, თუმცა მომგებიანი ეკონომიკა ხელს უწყობს მის სოციალურ ორიენტაციის და ამ ორიენტაციის პრაქტიკულ რეალიზაციას. უფრო მეტიც, სწორედ მომგებიანი ეკონომიკა წარმოადგენს მისი სოციალური ორიენტაციის ეკონომიკურ საფუძველს, თუმცა მომგებიანი ეკონომიკა თავისთავად არ ნიშნავს მის სოციალურ ორიენტაციას. ✓

ყურადღებას იმსახურებს აქ ის ფაქტიც, რომ ლუდვიგ ერხარდის სამეცნიერო შრომებში გამოყენებულია ტერმინი სოციალური საბაზრო ეკონომიკა, რომელშიც იგულისხმება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ტერმინი „სოციალური საბაზრო ეკონომიკა“ შეიძლება არ ნიშნავდეს, უფრო ზუსტად კი თავისთავად არ ნიშნავს სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას, რადგან „სოციალური“, როგორც ცნობილია, საზოგადოებრივს ნიშნავს და თუმცა ტერმინში „სოციალური“ ვიწრო გაგებით იგულისხმება სოციალური ორიენტაცია, მაგრამ მეტი სიზუსტისათვის, ჩვენი აზრით, სასურველია, რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკის ნაცვლად ყველგან გამოყენებული იქნეს ტერმინი სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა.

საბაზრო ეკონომიკასა და სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას შორის განსხვავების შესახებ სწორად მიგვაჩნია იმის მტკიცება, რომ „სახელმწიფო რეგულირების

დონის მიხედვით განასხვავებდნენ საბაზრო მოდელს, ლიბერალურ მოდელს და სოციალურად ორიენტირებულ მოდელს (ეკონომიკის განვითარებაში სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ჩარევით). ვარიანტების სიმრავლისა და სპეციფიკურობის მიუხედავად თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მთავარი პრინციპებია მრავალწყობიანობა, სახელმწიფოს აქტიური ჩარევა, მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების როგორც ეკონომიკური ზრდის საფუძვლის გამოყენება¹⁵.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ თუმცა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა ნამდვილად განსხვავდება ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ჩარევით, ანუ სახელმწიფოს მარეგულირებელი როლით, მაგრამ, ჩვენი აზრით, სახელმწიფოს მიერ საბაზრო ეკონომიკის რეგულირება თავისთავად არ ნიშნავს მის სოციალურ ორიენტაციას, რადგან სახელმწიფომ საბაზრო ეკონომიკა შეიძლება არეგულიროს ეკონომიკური მიზნიდან გამომდინარე და ნაკლებად გაითვალისწინოს მისი სოციალური ორიენტაციის აუცილებლობა.

ამიტომ ზოგადად სახელმწიფოს მარეგულირებელ როლზე მსჯელობასთან ერთად, ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა ხაზი უნდა გაესვას კონკრეტულად სახელმწიფო

¹⁵ Большой экономический словарь / Под ред. А. Н. Азрилияна. – 3-е изд. стереотип. – М.: Институт новой экономики, 1998, с. 832.

რეგულირებას საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციისათვის, რადგან სახელმწიფო რეგულირება ზოგ შემთხვევაში შეიძლება საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას ეწინააღმდეგებოდეს კიდევ.

საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვენი აზრით, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის დერეგულირება წარმოადგენს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას, რადგან დერეგულირებაც რეგულირდება სახელმწიფოს მიერ.

ამასთან, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის დერეგულირებამ გარკვეულ კონკრეტულ პირობებში შეიძლება ხელი შეუწყოს საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას და მისი სოციალური ორიენტაციის პრაქტიკულ რეალიზაციას.

✓ რაც შეეხება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკურ ნიშნებს, ჩვენი ღრმა რწმენით, მათი განსაზღვრა უნდა გამომდინარეობდეს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის განმსაზღვრელი სპეციფიკური ნიშნები მდგომარეობს იმაში, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა არის ისეთი საბაზრო ეკონომიკური სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია,

ერთი მხრივ, წმინდა ეკონომიკური მიმართულება, ანუ მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ სწრაფვა, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალური ორიენტაცია, ანუ ორიენტაცია ადამიანის – ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე.✓

რაც შეეხება პროფესორ რევაზ გოგოხიას საფუძვლიან მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა „... არის შერეული ეკონომიკური სისტემის ბირთვი, და არა დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ეკონომიკური სისტემა“¹⁶, ჩვენ მას უდავოდ ვეთანხმებით.

✓ამასთან ერთად, მიგვჩნია, რომ, თუმცა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა ნამდვილად არ არის შერეული ეკონომიკისაგან იზოლირებული საბაზრო ეკონომიკური სისტემა, და რომ საერთოდ „საბაზრო ეკონომიკა დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემა არ არის“¹⁷, მაგრამ, ჩვენი აზრით, მაინც შეიძლება მსჯელობა სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე, როგორც სპეციფიკურ საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე, რათა ამით გამოიკვეთოს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის

¹⁶ გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემის საკითხისათვის მსოფლიო გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები. ტომი II. თბილისი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2001, გვ. 110.

¹⁷ გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 12.

სპეციფიკური თავისებურებანი (სპეციფიკური ნიშნები), რომლებიც განსხვავდება როგორც საბაზრო ეკონომიკისაგან საერთოდ, ისე შერეული ეკონომიკური სისტემისაგან. ¹⁸

მით უმეტეს, რომ შერეული ეკონომიკა გულისხმობს სხვადასხვა საშუალებების – სხვადასხვა საკუთრების ფორმებისა და მართვის მეთოდების – გამოყენებას, ანუ შერეული ეკონომიკის არსებობის კრიტერიუმია საკუთრების სხვადასხვა ფორმების და მართვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება, ხოლო სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის კრიტერიუმია საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ შერეული ეკონომიკა თავისთავად არ ნიშნავს მის სოციალურ ორიენტაციას.

შერეული ეკონომიკა წარმოადგენს „ეკონომიკური სივრცის სტრუქტურას, რომლის დროსაც კერძო სისტემა იმართება საბაზრო მეურნეობით, ხოლო საზოგადოებრივი ინსტიტუტები და მთავრობა, ეყრდნობიან რა საბაზრო მექანიზმებს, ზემოქმედებენ ეკონომიკაზე დირექტივებისა და საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით“¹⁸, ანუ შერეული ეკონომიკის თეორია – ეს არის „კონცეფცია, რომლის თანახმად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა სახელმწიფოს

¹⁸ Большой экономический словарь / Под ред. А. Н. Азрилияна. 3-е изд. стереотип. – М.: Институт новой экономики, 1998, с. 833.

სამეურნეო საქმიანობის მასშტაბების ზრდის შედეგად გადაიქცა კერძო მეწარმეობის სისტემიდან ე. წ. შერეული ეკონომიკის სისტემად, რომელიც შედგება კერძო და სახელმწიფოებრივი სექტორისაგან და რომლებიც ურთიერთავსებენ ერთმანეთს¹⁹

პოლ ა. სამუელსონისა და ვილიამ დ. ნორდხაუსის სიტყვებით რომ ვთქვათ, შერეული ეკონომიკა – ეს არის „ეკონომიკა ბაზრისა და მართვის მბრძანებლური ფორმის ელემენტებით“²⁰.

ამრიგად, შერეული ეკონომიკა თავისთავად არ არის მისი რომელიმე ორიენტაციის მაჩვენებელი, რადგან შერეული ეკონომიკა – ეს არის „ეკონომიკა, რომელშიც საქონლისა და მომსახურების ნაწილი იწარმოება სახელმწიფოს მიერ, ხოლო მეორე ნაწილი – კერძო მეწარმეების მიერ. შერეულ ეკონომიკას უჭირავს შუალედური მდგომარეობა მბრძანებლურ ეკონომიკასა და მთლიანად კონკურენტულ ეკონომიკას შორის. რეალურ ცხოვრებაში ეროვნულ მეურნეობათა უმრავლესობა წარმოადგენს შერეულ ეკონომიკას“²¹.

¹⁹ ბიზნესის ენციკლოპედიური ლექსიკონი. რედაქტორი: ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი რ. მითაიშვილი. შემდგენლები: ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფ. რ. მითაიშვილი, ეკ. მეცნ. კანდ. ე. კვიციანიშვილი და ეკ. მეცნ. კანდ., დოც. ლ. გრიგოლია. თბილისი: მარკეტინგული მომსახურების ცენტრი „ბიჯი“, 1991, გვ. 164.

²⁰ Самуэльсон Поль А., Нордхаус Вильям Д. Экономика: Пер. с англ. – М.: “Бином”, “Лаборатория базовых знаний”, 1997, с. 50.

²¹ Бизнес: Оксфордский толковый словарь: Англо-русский: Свыше 4000 понятий. – М.: Издательство “Прогресс-Академия”, Издательство РГТУ, 1995, с. 414.

მაშასადამე, შერეული ეკონომიკა შეიძლება იყოს სოციალურად ორიენტირებული, ან შეიძლება არ იყოს სოციალურად ორიენტირებული, რაც დამოკიდებულია სახელმწიფოს კონკრეტულ პოლიტიკაზე და, შესაბამისად, სამართლებრივი ფაქტორის გამოყენებაზე.

ამიტომ, შერეული ეკონომიკა, როგორც უკვე აღინიშნა, თავისთავად არ ნიშნავს მის სოციალურ ორიენტაციას.

თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ პროფესორ რ. გოგოხიას სამართლიანი მტკიცებით განვითარებული ქვეყნები შერეული ეკონომიკური სისტემის სამყაროს წარმოადგენენ²², და თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე იმ ფაქტს, რომ თანამედროვე განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ამ ქვეყნებში ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია, ანუ თუ გავითვალისწინებთ, რომ „განვითარებული ქვეყნების თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური სისტემის არსი შეიძლება განისაზღვროს როგორც სოციალურად ორიენტირებული შერეული ეკონომიკური სისტემა“²³, მაშინ მივდივართ იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ შერეული

²² გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 9-24.

²³ გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 9.

ეკონომიკა ფაქტობრივად ნამდვილად წარმოადგენს სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, თეორიულად, ჩვენი აზრით, შერეული ეკონომიკა თავისთავად მაინც არ ნიშნავს სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას, რადგან სახელმწიფო ხელისუფლებამ შერეული ეკონომიკის ფუნქციონირება შეიძლება წარმართოს როგორც სოციალური, ისე ანტი-სოციალური მიმართულებით.

ყოველივე ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სრულიად კანონზომიერია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა განიხილებოდეს როგორც საბაზრო ეკონომიკური სისტემა, რომელსაც თავისი სპეციფიკური ნიშნები გააჩნია.

რაც შეეხება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკურ ნიშნებს, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ისინი გამოძღინარეობს უშუალოდ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსიდან. თუმცა, ამავე დროს, ეს სპეციფიკური ნიშნები ერთობლიობაში გამოხატავს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსს და მის განსხვავებას როგორც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისაგან, ისე ჩვეულებრივ რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკისაგან.

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე აღინიშნოს, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკური ნიშნები

ამავე დროს არის მისი ძირითადი ნიშნები, რადგან ეს ნიშნები ასახავს და გამოხატავს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითად მიმართულებებს.

ამასთან ერთად ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ნიშნები სხვაგვარად განიხილება, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკური და ამავე დროს ძირითადი ნიშნების ჩვენეული გაგება ამ ტიპის ეკონომიკის არსის ჩვენეული ახსნიდან გამომდინარეობს.

კერძოდ, „სოციალურად ორიენტირებული შერეული ეკონომიკის ძირითად ნიშნებს, – როგორც ეკონომიკური თეორიის კურსის ავტორები აღნიშნავენ, – წარმოადგენს სოციალური მდგრადობა და საზოგადოების მოქალაქეთა მდგომარეობის სტაბილურობა კეთილდღეობის ზრდასთან ერთად“²⁴.

მაშასადამე, თუმცა ზემოაღნიშნულ ციტატაში მოყვანილი სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის

²⁴ Курс экономической теории. Общие основы экономической теории, микроэкономика, макроэкономика, переходная экономика: Учебное пособие / Руководитель авторского коллектива и научный редактор профессор А. В. Сидорович. – М.: МГУ им. М. В. Ломоносова, Издательство “ДИС”, 1997, с. 594.

ძირითადი ნიშნები ყურადღებას იმსახურებს, რადგან აქ აქცენტი გაკეთებულია საზოგადოების მოქალაქეთა კეთილდღეობაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში არ არის გამოკვეთილი სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი განმასხვავებელი კრიტერიუმი, რომელიც გამოიხატება ხალხის ცხოვრების დონის მაღალ ხარისხში, და აგრეთვე არ არის გამოკვეთილი სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკური (ძირითადი) ნიშნები, რომლებიც გამომდინარეობს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის ჩვენეული გაგებიდან და რომელთა ეფექტიანი გამოყენების გარეშე თანამედროვე მსოფლიოში სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი წარმოუდგენელია.

1. 2. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობები

სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას, მისი არსიდან და სპეციფიკური ნიშნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია, რომ არ ახასიათებდეს შინაგანი, ობიექტური წინააღმდეგობები.

ეკრძოდ, როგორც უკვე აღინიშნა, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა ჩვენს მიერ განიხილება როგორც საბაზრო ეკონომიკა, რომელსაც ერთდროულად ახასიათებს, ერთი მხრივ, წმინდა ეკონომიკური მიმართულება, ანუ მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ სწრაფვა, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალური ორიენტაცია, ანუ ორიენტაცია ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე.

ამრიგად, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკური მიმართულება, ანუ ეკონომიკური მიზანი, და ამავე დროს ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია წარმოადგენს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსს და მის სპეციფიკურ ნიშნებს, რომლებიც (სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი და მისი სპეციფიკური ნიშნები) განაპირობებს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობებს.

მაშასადამე, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსში ასახულია ამ საბაზრო ეკონომიკური

სისტემის ეკონომიკური მიზანი და ამავე დროს მისი სოციალური ორიენტაცია.

რაც შეეხება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკურ ნიშნებს, ეს ნიშნები გამოიხატება აგრეთვე აღნიშნული საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეკონომიკურ მიმართულებაში, ანუ ეკონომიკურ მიზანში, და ამავე დროს მის სოციალურ ორიენტაციაში.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი და სპეციფიკური ნიშნები ემთხვევა ერთმანეთს, რაც გამოწვეულია იმით, რომ ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის არსში გამოხატულია აგრეთვე მისი სპეციფიკური ნიშნები, ხოლო მის სპეციფიკურ ნიშნებში გამოხატულია აგრეთვე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი.

ამრიგად, როგორც უკვე აღინიშნა, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი და სპეციფიკური ნიშნები, ანუ ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეკონომიკური მიზანი და ამავე დროს მისი სოციალური ორიენტაცია განაპირობებს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითად წინააღმდეგობას, ჩვენი აზრით, წარმოადგენს წინააღმდეგობა

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის, რადგან „საბაზრო მეურნეობა, – როგორც პროფესორი რ. გოგოხია სამართლიანად აღნიშნავს, – თავისი ბუნებით, არსით არასოციალურია“²⁵.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობიდან გამომდინარეობს აგრეთვე სხვა წინააღმდეგობები, რომლებიც ამ საბაზრო ეკონომიკურ სისტემას ახასიათებს.

კერძოდ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობიდან გამომდინარეობს შემდეგი წინააღმდეგობები: წინააღმდეგობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის თავისუფლად ფუნქციონირების აუცილებლობასა და ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციისათვის მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობას შორის; წინააღმდეგობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოთა ეკონომიკურ მიზანსა და ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის სოციალურ ორიენტაციას შორის; წინააღმდეგობა მეწარმეთა კერძომესაკუთრულ ეკონომიკურ

გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 12.

მიზანსა და საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის; წინააღმდეგობა უკანონო შემოსავლების მიღების მსურველთა – კორუფციონერთა – წმინდა ეკონომიკურ მიზანსა და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის; და ა. შ.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ზემოაღნიშნული წინააღმდეგობები რეალურად არსებობს და ეს წინააღმდეგობები, როგორც უკვე აღინიშნა, გამომდინარეობს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობიდან, რადგან როგორც საერთოდ საბაზრო ეკონომიკის, ისე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მამოძრავებელი მიზანია მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ სწრაფვა, მაგრამ ამასთან ერთად სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია მისი ფუნქციონირების სოციალური ორიენტაცია, რაც აშკარად წინააღმდეგობაში მოდის ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეკონომიკურ მიზანთან.

მაშასადამე, თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბაზრო ეკონომიკა მაქსიმალური მოგების მიღებას – ეკონომიკურ მიზანს ემსახურება, მაგრამ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი და მისი სპეციფიკური ნიშნები სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკურ მიზანთან ერთად, როგორც უკვე აღინიშნა, მისთვის დამახასიათებელია

სოციალური ორიენტაცია, რაც იწვევს აღნიშნულ წინააღმდეგობებს.

სწორედ ეკონომიკურ მიზანს ემსახურება თავისუფლად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა, რაც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში წინააღმდეგობაში მოდის ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის სოციალურ ორიენტაციასთან და ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობასთან.

ამრიგად, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, თავისუფლად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა ემსახურება ეკონომიკურ მიზანს – მაქსიმალური მოგების მიღებას, რის გამოც სახელმწიფოს მიერ სათანადო სამართლებრივი რეგულირების გარეშე ამ ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაცია შეუძლებელი და წარმოუდგენელია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების პირობებში, ცხადია, მოსალოდნელია გარკვეული დადებითი სოციალური შედეგები, მაგრამ, ჩვენი აზრით, ასეთი (ანუ თავისუფალი) საბაზრო ეკონომიკა მაინც ვერ იქნება სოციალურად ორიენტირებული, რადგან საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას აუცილებლად სჭირდება სათანადო სახელმწიფოებრივი რეგულირება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკურ მიზანს ემსახურება აგრეთვე საწარმოთა ფუნქციონირება, რადგან საწარმოთა მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება, რაც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში წინააღმდეგობაშია მის სოციალურ ორიენტაციასთან.

მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც საერთოდ საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციისათვის, აუცილებელია სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის სათანადო გამოყენება.

ამასთან, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გამოყენებაში ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც ეკონომიკის რეგულირება სამართლებრივი ფაქტორის სათანადო გამოყენებით (სათანადო კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საშუალებით), ისე ეკონომიკის დერეგულირება, რომელიც, ჩვენი აზრით, რეგულირების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, და რაც უნდა დარეგულირდეს აგრეთვე სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი ფაქტორის გამოყენებით.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასთან წინააღმდეგობაშია აგრეთვე მეწარმეთა კერძომესაკუთრული ეკონომიკური მიზანი, რაც სრულიად ბუნებრივია და რაც გამომდინარეობს უშუალოდ

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობიდან.

სრულიად აშკარაა აგრეთვე უკანონო შემოსავლების მსურველთა ეკონომიკური მიზანი, რაც მკვეთრად გამოხატულ წინააღმდეგობაში მოდის საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასთან.

გარდა აღნიშნული წინააღმდეგობებისა, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკას ახასიათებს მთელი რიგი სხვა წინააღმდეგობებიც, რომლებიც აგრეთვე დაკავშირებულია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითად წინააღმდეგობასთან და გამოძინარეობს ამ წინააღმდეგობიდან, ანუ გამოძინარეობს წინააღმდეგობიდან სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის.

ამასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს და სამართლიან დასკვნებს აკეთებს პროფესორი გიორგი წერეთელი.

კერძოდ, ის აღნიშნავს, რომ „მსოფლიო, მათ შორის პოსტკომუნისტური გამოცდილება ცხადყოფს, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების უმეტესობის გამოყენების პროცესი ორადი და წინააღმდეგობრივი ბუნებისაა (ასე მაგალითად, ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებების

განხორციელებამ შეიძლება გამოიწვიოს გარემო ბუნების დაბინძურება და შესაბამისად სოციალური პირობების გაუარესება; ან კიდევ, გარემო ბუნების დაცვის ღონისძიებებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს განაწილების, დასაქმებისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის პროცესებზე). ამიტომ, ბუნებრივია, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნის სახალხო-მეურნეობრივ პროცესებზე (მათი დარეგულირების მიზნით განხორციელებულ) სახელმწიფო ზემოქმედების დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მის შედეგად მოსალოდნელი სოციალური მემკვიდრეობა²⁶.

ზემოთ მოყვანილ ციტატაში ნათლად არის გამოკვეთილი წინააღმდეგობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა და ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის სოციალურ ორიენტაციას შორის, რაც ნამდვილად დამახასიათებელია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პროცესისათვის, და რაც, ჩვენი აზრით, იმ წინააღმდეგობათა ერთ-ერთ განსხვავებულ და მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, რაც დამახასიათებელია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო

²⁶ წერეთელი გ. პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის შეფასების საკითხისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი III: 'საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში'. პროფესორ გიორგი წერეთლის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბილისი: 'მეცნიერება', 2003, გვ. 11.

ეკონომიკის წინააღმდეგობებისათვის და რაც გამოძინარეობს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობიდან – წინააღმდეგობიდან სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის.

საბაზრო ეკონომიკის სოციალური წინააღმდეგობების პრობლემაზე საინტერესო და საფუძვლიანი მეცნიერული გამოკვლევა აქვს ჩატარებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ლეო ჩიქავას.

მეცნიერულ ნაშრომში: „საბაზრო ეკონომიკა: სოციალური წინააღმდეგობების პრობლემა“, პროფესორი ლ. ჩიქავა აღნიშნავს, რომ „ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ თანამედროვე განვითარებული საბაზრო ეკონომიკა, მუდმივად გრძნობენ ობიექტურ წინააღმდეგობას: საბაზრო ეკონომიკა დამყარებულია უპირველეს ყოვლისა პირადი ინტერესის „პროვოცირებასა“ და დაკმაყოფილებაზე, ხოლო საზოგადოებას, მოსახლეობას გააჩნია სასიცოცხლო მნიშვნელობის საერთო ინტერესები, ეკონომიკური და სოციალური საზოგადოებრივი მოთხოვნილებები“²⁷.

თუმცა ზემოაღნიშნული ნაშრომი ეძღვნება არა უშუალოდ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის

²⁷ Чикава Л. Рыночная экономика: проблема социальных противоречий. Журнал: “Общество и экономика”, 1998, № 1, с. 60-61.

წინააღმდეგობებს, არამედ საბაზრო ეკონომიკის სოციალური წინააღმდეგობების პრობლემის კვლევას, მაგრამ თანამედროვე განვითარებული საბაზრო ეკონომიკისათვის, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია სოციალური ორიენტაცია, რაც ამავე დროს არ გამოირიცხავს როგორც საერთოდ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი, ისე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების არსებობას.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი ციტატა პროფესორ ლ. ჩიქავას ნაშრომიდან და მასში ასახული წინააღმდეგობა პირად ინტერესსა და საზოგადოების საერთო ინტერესებს შორის, პირად მოთხოვნილებებსა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს შორის, რაც ნამდვილად დამახასიათებელია თანამედროვე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, ჩვენი აზრით, შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე როგორც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობა, რაც დაკავშირებულია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითად წინააღმდეგობასთან – წინააღმდეგობასთან სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის.

ამასთან, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სოციალურად არაორიენტირებული

საბაზრო ეკონომიკისაგან განსხვავებით, სახელმწიფო სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით ცდილობს დაძლიოს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობები ეკონომიკურ მიზანსა და ხალხის ინტერესებს შორის. „სწორედ ამიტომ ითვლება ნორმალურად, – როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი ლ. ჩიქვა, – შერეული, ანუ სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა, რომელშიც საბაზრო ურთიერთობების თვითრეგულირება შეხამებულია მათ მიზანდასახულ კორექტირებასთან სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან“²⁸.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვენი აზრით, სოციალურად არაორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობები დაკავშირებულია ძირითადად სხვადასხვა მესაკუთრეების ეკონომიკურ ინტერესებთან – დაკავშირებულია სხვადასხვა მესაკუთრეების სწრაფვასთან რაც შეიძლება მეტი მოგების მიღებისაკენ, რაც თავისთავად წინააღმდეგობაში მოდის ამავე დროს ხალხის ინტერესებთან.

ზოლო რაც შეეხება სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას, აქაც არსებობს წინააღმდეგობები

²⁸ Чикава Л. Рыночная экономика: проблема социальных противоречий. Журнал: “Общество и экономика”, 1998, № 1, с. 65.

სხვადასხვა მესაკუთრეთა ეკონომიკურ ინტერესებს შორის, მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითად წინააღმდეგობას წარმოადგენს წინააღმდეგობა ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის.

სწორედ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობიდან გამომდინარეობს ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ყველა სხვა წინააღმდეგობა.

თავი II. სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი და სამართლებრივი ფაქტორი

2.1. მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემა და სამართლებრივი ფაქტორი

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე და, კერძოდ, სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ურთულეს პრობლემას წარმოადგენს, რადგან, ჯერ-ერთი, ამ შემთხვევაში რადიკალურად იცვლება სახელმწიფოში ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირებისა და მართვის სისტემა, და, მეორეც, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის არსებული უცხოური გამოცდილების გამოყენება ამა თუ იმ ქვეყანაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს ეფექტიანი, თუ გათვალისწინებული იქნება ამ კონკრეტულ ქვეყანაში არსებული სპეციფიკური თავისებურებანი, რადგან უცხოური გამოცდილების მექანიკური

გადმოტანა ამა თუ იმ ქვეყანაში მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მომცემი ვერ გახდება.

ამასთან, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მთავარ და ურთულეს პრობლემას წარმოადგენს აღნიშნული გარდამავალი პერიოდისა და სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, რის გარეშეც ქვეყნის ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია.

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემისათვის, როგორც ცნობილია, დამახასიათებელი იყო მრავალი ნეგატიური მოვლენა.

კერძოდ, როგორც პროფესორი რ. გოგოხია მიუთითებს, აღნიშნულ ნეგატიურ მოვლენებს მიეკუთვნება: „სახელმწიფოებრივი საკუთრების ყოვლისმომცველობა და ბატონობა, ცენტრიდანული დირექტიული დაგეგმვა და გეგმური მაჩვენებლების დეტალური დაყვანა თითოეულ სამეურნეო სუბიექტამდე, შრომითი, მატერიალური და ფულადი რესურსების მკაცრად რეგლამენტირებული ცენტრალიზებული განაწილება, ძირითადი საწარმოო რგოლების სახელმწიფოებრივი მართვა და ამის შედეგად მათი დამოუკიდებლობის სრული შეზღუდვა, აგრეთვე ბაზრის მეტისმეტი სივიწროვე, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის ობიექტი არ იყო წარმოების ფაქტორების მნიშვნელოვანი ნაწილი. სავსებით

განუვითარებელი იყო საბაზრო ინფრასტრუქტურა, არ არსებობდა საბაზრო რეგულირების თვით მარტივი ინსტრუმენტებიც კი. ყოველივე ამას ცვლიდა მეურნეობის ე. წ. გეგმაზომიერი ორგანიზაცია, რაც, საბოლოო ანგარიშით, მთელი ეკონომიკის დეზორგანიზაციას იწვევდა.

ზემოთქმულთან ერთად ბაზრის შეზღუდულობის ერთ-ერთი ყველაზე რეალური გამოხატულება იყო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სრული მონოპოლიზაცია — ფუნქციონირებდა მცირერიცხოვანი გიგანტი-საწარმოები, რომლებიც პრაქტიკულად მოცემული სახეობის მთელ პროდუქციას უშვებდა. ამასთან, სსრ კავშირში გაბატონებული იყო სახელმწიფოებრივი, უწყებრივი და საწარმოო მონოპოლიზმი. ეს სამი ფორმა შესანიშნავად თანაარსებობდა და ერთიმეორეს ავსებდა მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ²⁹.

ზემოაღნიშნული და მრავალი სხვა ნეგატიური მოვლენა, რომლებიც ნამდვილად დამახასიათებელი იყო მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკისათვის, აუცილებელს ხდიდა ამ ეკონომიკური სისტემიდან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას.

ამასთან, ჩვენ ვიზიარებთ აზრს იმის შესახებ, რომ „არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში მიმდინარე გარდაქმნების სოციალური შინაარსის განსაზღვრას და მის

²⁹ ეკონომიკური თეორია. სახელმძღვანელო. გ. ადგიშვილისა და რ. ასთიანის რედაქციით. თბილისი: საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 1998, გვ. 110.

შეფასებას. თავისთავად, ეკონომიკა, მისი განვითარება თვითმიზანი არ არის. იგი არ შეიძლება ბაზარზე გადასვლით, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებით შემოიფარგლოს. ეს უკანასკნელი მხოლოდ მაშინ იქნება შედეგიანი, თუ ცხოვრების მაღალ დონესა და ხარისხს მივალწევთ. ეკონომიკური რეფორმის შეფასებისათვის მთავარი კრიტერიუმია მოსახლეობის კეთილდღეობის, ცხოვრების ხარისხის ამაღლება, მისი სოციალური ორიენტაციის შინაარსი.

ამიტომ, სოციალური ფაქტორების თვალსაზრისით, საქართველოს ეკონომიკის წინაშე, ობიექტურად, შემდეგი ძირითადი პრობლემები იკვეთება:

– როგორ შეიძლება მოსახლეობის სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება;

– როგორ მივალწიოთ დოვლათის სოციალურად სამართლიან განაწილებას;

– რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ კეთილდღეობის ამაღლება ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების კვალობაზე ხორციელდებოდეს.

ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის თითოეული ამ ძირითადი პრობლემის გადაწყვეტა სპეციალურ ძალისხმევასა და საშუალებებს მოითხოვს. მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის მთავარია, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის გადიდება და მისი სტრუქტურის სრულყოფა მოთხოვნების ცვლილების შესაბამისად, აგრეთვე, მოსახლეობის შემოსავლების დონე და სტრუქტურა.

დოვლათის სამართლიანი განაწილება გულისხმობს: საკუთრების განაწილებას; საარსებო მინიმუმით განპირობებული შეზღუდვების რეალიზაციას; საზოგადოების უმუშევარი წევრებისათვის მოხმარების უზრუნველყოფის აუცილებლობას; დასაქმების უფლებას და ა. შ. კიდევ უფრო რთულია მესამე პრობლემის გადაწყვეტა, რადგანაც წარმოების შესაძლებლობები ყოველ მოცემულ მომენტში შეზღუდულია. სწორედ ამ მესამე ამოცანის გადაწყვეტის ხარისხით განისაზღვრება საზოგადოების სოციალური ორიენტაციის რეალური შესაძლებლობები³⁰.

როგორც მონოგრაფიის ავტორები ზემოთ მოყვანილი ციტატის შემდეგ სამართლიანად აღნიშნავენ: „მსოფლიოს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, რომელიც, თავისთავად, არასტაბილურია, იზრდება სოციალური არამდგრადობის საფრთხე და ძლიერდება ეკონომიკური სისტემის ისეთი მოდელის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურ მდგრადობასა და სტაბილურ მდგომარეობას, მათი კეთილდღეობის ამაღლებას ეკონომიკის განვითარების კვალობაზე“³¹.

³⁰ ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001, გვ. 271-272.

³¹ ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001, გვ. 272.

რაც შეეხება ეკონომიკური სისტემის ისეთი მოდელის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას და შესაბამისად ხალხის ინტერესების პრაქტიკულ რეალიზაციას, როგორც ცნობილია, „განასხვავებენ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ოთხ ძირითად მოდელს: გერმანულს (გერმანია, ავსტრია, ბელგია, ჰოლანდია, შვეიცარია, ნაწილობრივ საფრანგეთი), ხმელთაშუა ზღვისას (საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი), ანგლოსაქსურს (დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, კანადა) და სკანდინავიურს (შვედეთი, დანია, ნორვეგია, ფინეთი), რომლებიც, მართალია, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მთლიან შიდა პროდუქტში ბიუჯეტის მეშვეობით გადანაწილებული სახსრების ხვედრითი წონით (იგი მერყეობს 30-დან 60%-მდე), მაგრამ ყველასათვის დამახასიათებელი საერთო ნიშანია ამ მაჩვენებლის სოლიდურობა. აი, რა უქმნის ამ ჩამოთვლილ სახელმწიფოებს რეალურ პირობებს სოციალური სფეროს მძლავრი განვითარებისათვის“³².

ამრიგად, სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მოდელების „საერთო ნიშანია

³² ჩიქავა ლ. საქართველოს ეკონომიკის სოციალური არაორიენტირებულობა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები. I ტომი. თბილისი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2000, გვ. 7.

სოციალური პრობლემების გადასაჭრელად ბიუჯეტის მეშვეობით გადანაწილებული სახსრების მაღალი ხვედრითი წონა (30-დან 60%-მდე, ზოგჯერ უფრო მაღალიც) მთლიან შიდა პროდუქტში³³, რაც ნამდვილად მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს, და რომელიც ადასტურებს საბაზრო ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაციის არსებობას ზემოაღნიშნულ ქვეყნებში.

ამასთან, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების მთავარ მაჩვენებლად მიგვაჩნია ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის სოციალური მიმართულება და მისი პრაქტიკული რეალიზაცია, რომელიც, ჩვენი აზრით, ყოველთვის პროცენტებით (სოციალური პრობლემების გადასაჭრელად ბიუჯეტის მეშვეობით გადანაწილებული სახსრების მაღალი ხვედრითი წონით) ვერ გამოიხატება, რადგან, ჯერ-ერთი, დაბალი პროცენტი გარკვეულ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება რეალურად უფრო მეტს ნიშნავდეს, ვიდრე მაღალი პროცენტი, და, მეორეც, შეიძლება სახელმწიფომ ბიუჯეტიდან მეტი ფინანსური სახსრები გაითვალისწინოს წარმოების განვითარებაზე (მაგრამ არა ისე, რომ მიმდინარე პერიოდში ყოველი ადამიანი საარსებო მინიმუმით მაინც არ იყოს უზრუნველყოფილი),

³³ ჩიქავა ლ. სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკის მოდელები და საქართველო. ეკონომისტთა მესამე რესპუბლიკური კონფერენციის მასალები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000, გვ. 3.

რათა მომავალში მეტი საშუალებები შეიქმნას სოციალური პრობლემების გადასაჭრელად.

თუმცა საერთოდ, როგორც ზემოთ უკვე იქნა ჩვენს მიერ აღნიშნული, ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის მნიშვნელოვან მაჩვენებელს უდავოდ წარმოადგენს სოციალური პრობლემების გადასაჭრელად ბიუჯეტის მეშვეობით გადანაწილებული სახსრების მაღალი ხვედრითი წონა.

სამეცნიერო ნაშრომში: „საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი და მისი თავისებურებანი“, პროფესორი არჩილ თეთრაული განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე და სამართლიანად აღნიშნავს, რომ „საბაზრო ეკონომიკის ქართულ მოდელს უნდა ჰქონდეს თავისი ორიგინალური შინაარსი და ფორმა, რომელიც თავის თავში უნდა მოიცავდეს როგორც საბაზრო ეკონომიკის ეროვნული მოდელის ფორმირებისა და ფუნქციონირების საერთო კანონზომიერებებს, ისე მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ თავისებურებებს“³⁴.

ამრიგად, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე

³⁴ თეთრაული ა. საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი და მისი თავისებურებანი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი I: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“. გორგი წერეთლის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბილისი: „მეცნიერება“, 2000, გვ. 21.

გადასვლის პრობლემის გადასაჭრელად ნამდვილად გასათვალისწინებელია, რომ ყოველი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის მოდელს და, მათ შორის, ქართულ მოდელს უნდა ჰქონდეს თავისი ორიგინალური შინაარსი და ფორმა სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების საერთო კანონზომიერებებისა და ქვეყნის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით, რაც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ვლადიმერ პაპავა სრულიად საფუძვლიანად აღნიშნავს: „საბაზრო ეკონომიკაზე პოსტკომუნისტური გადასვლისათვის ეკონომიკური თეორიის ბევრი კლასიკური სქემის უშუალო გამოყენების გამოუსადეგარობამ განაპირობა, რომ ეს ურთულესი პროცესი ბევრ ქვეყანაში თავიდანვე სერიოზული შეცდომებით იქნა დაწყებული“³⁵.

ამასთან, პროფესორი ვ. პაპავა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „საკმაოდ ვრცელი ემპირიული მასალის საფუძველზე დღეისათვის უკვე შესაძლებელი გახდა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შესახებ, ცალკეული, საკმაოდ სერიოზული თეორიული განზოგადების შემცველი, სამეცნიერო ნაშრომების შექმნა. ყოველივე ამის საფუძველზე,

³⁵ პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „პდპ“, 2002, გვ. 43.

როგორც პრაქტიკოსი რეფორმატორები, ისე მეცნიერ-ეკონომისტები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: პოსტკომუნისტურ ეკონომიკურ რეფორმებში „შოკის“ მომხრეებად და „გრადუალისტებად“ (გრადუალ – თანდათანობითი), რაც სრულიად შეესატყვისება რეფორმირების უკვე ჩამოყალიბებულ შესაბამის ორ ძირითად მიმართულებას³⁶.

შემდეგ პროფესორი ვლადიმერ პაპავა აღნიშნავს, რომ „ამ საყოველთაოდ აღიარებული კლასიფიკაციის გარდა საინტერესოდ შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის სამი განსხვავებული სტრატეგიის სახით წარმოდგენა, რომელთაგან პირველია გრადუალიზმი (რომელიც ჩამოყალიბდა უნგრეთში), მეორე – „შოკური თერაპია“ (პოლონურ-ჩეხოსლოვაკური „წარმომავლობის“) და „მესამე გზა“ („Third Road“) (რომლის სამშობლოდაც ბალკანეთის ქვეყნებია მიჩნეული); ამ უკანასკნელის არსი მდგომარეობს თანდათანობით (დროში გაწეული) გრადუალიზმში (gradual gradualism), როცა ბაზარზე გადასვლა დროში არის ძალზედ გავრცობილი მხოლოდ მცირე საწარმოთა პრივატიზების, კერძო სექტორის ვაჭრობაში, მომსახურებასა და ტურიზმში დაშვების შედეგად (Berend, 1995, pp. 133-137). „მესამე გზის“ დამოუკიდებლად განხილვა სასარგებლო შეიძლება მხოლოდ გრადუალიზმის

³⁶ პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „პაპ“, 2002, გვ. 44.

თავისებურებათა (როგორც მისი გამოვლინების უკიდურესი ფორმის) შესწავლისათვის იყოს. აქვე აუცილებელია ისიც აღინიშნოს, რომ საკმაოდ ხშირად ეკონომისტთა შორის კამათი არა იმდენად პრინციპულ თეორიულ საკითხებზე დაიყვანება, რამდენადაც პოსტკომუნისტური რეფორმების პროცესის სისწრაფეზე (Бирман, 1996, с. 521)³⁷.

ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით პროფესორ ვლადიმერ პაპავას მიერ ჩატარებული ღრმა მეცნიერული ანალიზის შედეგებს, მის მოსაზრებებსა და დასკვნებს.

ამასთან ერთად, საჭიროდ მიგვაჩნია განსაკუთრებით აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა გზით, რა ფორმებითა და მეთოდებით ხდება ამა თუ იმ ქვეყნის გადასვლა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე და, კერძოდ, სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე, უპირველესი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ფაქტორს, სათანადო სამართლებრივი მექანიზმების – სათანადო სამართლებრივი საფუძვლების შექმნას, რომლის გარეშე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება და მისი ეფექტიანი ფუნქციონირება შეუძლებელია.

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას სამართლებრივი ფაქტორის გამოყენების

³⁷ პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „პაპ“, 2002, გვ. 45.

მნიშვნელობასთან დაკავშირებით, პროფესორი არჩილ თეთრაული სამართლიანად აღნიშნავს, რომ „საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი უნდა ითვალისწინებდეს, რომ საქართველოს ეროვნული მეურნეობის თანდათანობით გადასვლისათვის საბაზრო ეკონომიკაზე აუცილებელია ეროვნული კანონმდებლობის შექმნა. აქ გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ საჭიროა ტოტალიტარული გეგმიური ეკონომიკის, მისი სტრუქტურების მთლიანად მსხვერვეა, მისი სრული დემონტაჟი, რაც უნდა განხორციელდეს არა სტიქიურად, არამედ მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომის ბაზაზე“³⁸.

ამრიგად, სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენების გარეშე, ანუ სათანადო სამართლებრივი ბაზის შექმნისა და მიზანდასახული გამოყენების გარეშე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება და ეფექტიანი ფუნქციონირება შეუძლებელია.

ამასთან, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სამართლებრივი საფუძვლების შექმნისას ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული ამა თუ იმ ქვეყნის (ანუ კონკრეტულად ქვეყნის, რომელშიც ხდება

³⁸ თეთრაული ა. საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი და მისი თავისებურებანი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი I: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“. გიორგი წურთელის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბილისი: „მეცნიერება“, 2000, გვ. 26.

გადასვლა მბრძანებულურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკაზე) სპეციფიკური თავისებურებანი, რაც საბოლოო ჯამში მიგვიყვანს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეროვნული მოდელის ჩამოყალიბებამდე.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის კონცეფციის შემქმნელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კანონშემოქმედებას, და ამ ტიპის საბაზრო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება კანონშემოქმედებით ამოცანად მიაჩნდათ³⁹.

კერძოდ, როგორც ეკონომიკის პროფესორი ხაინც ლამპერტი წერს: „გერმანიაში სოციალური საბაზრო მეურნეობის ჩანასახები გაჩნდა ჯერ კიდევ ნაციონალ-სოციალიზმის ბატონობის დროს. 1937 წელს პროფესორებმა ფრანც ბიომმა, ვალტერ ოიკენმა და განს გროსმან-დიორტმა, რომლებიც ასწავლიდნენ ფრეიბურგში, დაიწყეს ნაბეჭდი შრომების სერიის პუბლიკაცია პროგრამული სახელწოდებით „ეკონომიკის წესრიგი“. იმავე წელს ლეონარდ მიკშმა, ასევე პროფესორმა ფრეიბურგში, გამოაქვეყნა თავისი წიგნი „კონკურენცია როგორც ამოცანა. კონკურენციაზე დამყარებული წესრიგის პრინციპები“⁴⁰.

³⁹ Ламперт Хайнц. Социальная рыночная экономика. Германский путь. – М.: “Дело ЛТД”, 1994, с. 65.

⁴⁰ Ламперт Хайнц. Социальная рыночная экономика. Германский путь. – М.: “Дело ЛТД”, 1994, с. 64-65.

როგორც უემდეგ ხაინც ლამპერტი აღნიშნავს: „ყველა ნეოლიბერალის ძირითადი ამოცანაა – თავისუფლებაზე დამყარებული შეცნობილი ფორმირება, მაგრამ ერთდროულად სოციალურად ორიენტირებული საზოგადოებრივი, ეკონომიკური და სოციალური წესრიგისა, რომლის უზრუნველყოფაც ხდება ძლიერი სახელმწიფოს მიერ.

იმ დროს, როდესაც XVIII და XIX საუკუნეების ლიბერალიზმი თვლიდა, რომ საბაზრო ეკონომიკა კი არ უნდა იქმნებოდეს, არამედ თითქოსდა უნდა „გამოვლინდებოდეს“, და რომ სახელმწიფომ, რომლის მიმართაც თუმცა კი არის აღიარებული მონოპოლიებზე კონტროლის ამოცანა, მაინც უნდა უზრუნველყოს თავისუფლება უფრო მეტად პოლიტიკური აბსტინენციის (ანუ პოლიტიკური თავშეკავების – ა. კ.) ხარჯზე ეკონომიკური წესრიგის სფეროში, ნეოლიბერალიზმს ესმის ის, რომ წესრიგის ფორმირება ეკონომიკაში და საზოგადოებაში წარმოადგენს კანონშემოქმედების ამოცანას“⁴¹.

ამრიგად, კიდევ ერთხელ დასტურდება კანონშემოქმედების და, შესაბამისად, სამართლებრივი ფაქტორის განსაკუთრებული მნიშვნელობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში და ეფექტიან ფუნქციონირებაში.

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკაზე

⁴¹ Ламперт Хайнц. Социальная рыночная экономика. Германский путь. – М.: “Дело ЛТД”, 1994, с. 65.

გადასვლის პირობებში მეტად მნიშვნელოვანია თავისუფლების პრობლემა, კერძოდ კი ეკონომიკური თავისუფლების პრობლემა, რომელიც უნდა დარეგულირდეს სამართლებრივი ფაქტორის გამოყენებით. „სოციალური საბაზრო მეურნეობის ეკონომიკურ-პოლიტიკური კონცეფცია, – როგორც პროფესორი ხაინც ლამპერტი აღნიშნავს, – მიმართულია სამართლებრივი სახელმწიფოს მიერ გარანტირებული თავისუფლების, ეკონომიკური თავისუფლებისა (რომელიც თავისუფლების განუყოფლობის გამო განიხილება როგორც საერთოდ თავისუფალი წესრიგის შემადგენელი) და სოციალური სახელმწიფოს იდეალების სინთეზზე, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ დაცულობასთან და სოციალურ სამართლიანობასთან. ეს შეხამება მიზნებისა – თავისუფლება და სამართლიანობა – აისახება ცნებაში „სოციალური საბაზრო მეურნეობა“⁴².

მაშასადამე, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება მოითხოვს თავისუფლების შეხამებას სოციალურ დაცულობასთან და სამართლიანობასთან, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი ფაქტორის გამოყენებით.

საბაზრო ეკონომიკის, მბრძანებლური ეკონომიკისა და შერეული ეკონომიკის განხილვისას, პოლ ა. სამუელსონი და ვილიამ დ. ნორდხაუსი სამართლიანად აღნიშნავენ, რომ

⁴² Ламперт Хайнц. Социальная рыночная экономика. Германский путь. – М.: “Дело ЛТД”, 1994, с. 66.

არც ერთი თანამედროვე საზოგადოება არ მიეკუთვნება არც მთლიანად საბაზრო ეკონომიკას და არც მთლიანად მბრძანებლურ ეკონომიკას: „უფრო მეტად ყველა ქვეყანას შერეული ეკონომიკა აქვს – ეკონომიკა ბაზრისა და მართვის მბრძანებლური ფორმის ელემენტებით. ჯერ კიდევ არასოდეს არ არსებულა 100%-იანი საბაზრო ეკონომიკა (თუმცა XIX საუკუნის ინგლისი ახლოს იყო ამასთან). ამჟამად აშშ-ში გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი ბაზრის მიერ მიიღება. მაგრამ ქვეყნის მთავრობაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბაზრის მუშაობის შეცვლაში: ხელისუფლები გამოსცემენ კანონებსა და დებულებებს, რომლებიც არეგულირებენ ეკონომიკურ ცხოვრებას...“⁴³.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკაში იგულისხმება ბაზრით რეგულირებადი ეკონომიკა, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ „აშშ-ში და დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობაში ეკონომიკური საკითხების უდიდეს ნაწილს წყვეტს ბაზარი“⁴⁴, რის გამოც „... მათ ეკონომიკურ სისტემას ეწოდება საბაზრო ეკონომიკა“⁴⁵, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების რეგულირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე სამართლებრივი ფაქტორი, რადგან

⁴³ Самуэльсон Пол А., Нордхаус Вильям Д. Экономика: Пер. с англ. – М.: „БИНОМ“, „Лаборатория Базовых Знаний“, 1997, с. 50.

⁴⁴ Самуэльсон Пол А., Нордхаус Вильям Д. Экономика: Пер. с англ. – М.: „БИНОМ“, „Лаборатория Базовых Знаний“, 1997, с. 50.

⁴⁵ Самуэльсон Пол А., Нордхаус Вильям Д. Экономика: Пер. с англ. – М.: „БИНОМ“, „Лаборатория Базовых Знаний“, 1997, с. 50.

ბაზრის სრული თავისუფლება გამორიცხავს საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას.

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე და, კერძოდ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული გამოჩენილ ამერიკელ მეცნიერ-ეკონომისტს, ნობელის პრემიის ლაურეატს ეკონომიკის დარგში ჯ. კ. გელბრეიტს, რომელიც წერს, რომ „კაპიტალიზმი ვერ გადარჩებოდა თავისი პირვანდელი ანუ წმინდა ფორმით, მაგრამ მან ძალდატანებით შეძლო შეგუებულიყო“⁴⁶.

შემდეგ ჯ. კ. გელბრეიტი წერს: „... ვინც ლაპარაკობს... დაბრუნებაზე სმიტის დროინდელი თავისუფალი ბაზრისაკენ, იმდენად არასწორნი არიან, რომ მათი თვალსაზრისი შეიძლება ჩაითვალოს კლინიკური ხასიათის ფსიქიკურ გადახრად. ეს ის მოვლენაა, რომელიც ჩვენთან დასავლეთში არ არის, რომელსაც ჩვენ ვერ მოვითმენდით და რომელიც ვერ გადარჩებოდა. ჩვენი ცხოვრების შერბილება და დაცვა ხდება ხელისუფლების მიერ; აღმოსავლეთევროპელებისთვის კაპიტალიზმი მისი წმინდა სახით ისევე მიუღებელი იქნებოდა, როგორც ის მიუღებელია ჩვენთვის“⁴⁷.

⁴⁶ Гелбрейт Дж. К. Почему правые не правы. Газета “Известия”, 1 февраля 1990 г.

⁴⁷ Гелбрейт Дж. К. Почему правые не правы. Газета “Известия”, 1 февраля 1990 г.

გარდა ამისა, ერთ-ერთ თავის საუბარში, რომელიც მას ჰქონდა პროფესორ ფ. მ. ბურლაცკისთან, ჯ. კ. გელბრეიტი აღნიშნავდა: „... უპირველესად მინდა მოგცეთ თქვენ რჩევა აწონილ-დაწონილად მიუდგეთ რეკომენდაციებს, რომლებიც მოდის დასავლეთის ქვეყნებიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. რამდენადაც მე შევნიშნე გაზეთებიდან, ასეთ რეკომენდაციებს იძლევიან ადამიანები, რომელთა უსაზღვრო ერთგულებას თავისუფალი მეწარმეობის იდეოლოგიისადმი და რომელთა დარწმუნებულობას იმაში, რომ სახელმწიფო ეკონომიკურ ცხოვრებაში არ უნდა თამაშობდეს არავითარ როლს, შეეძლო გამხდარიყო დამლუპველი ჩვენთვისაც კი, თუ ჩვენ ამას ყურს დავუგდებდით“⁴⁸.

ყოველივე ზემოაღნიშნული მრავალგზის ადასტურებს სამართლებრივი ფაქტორის განსაკუთრებულ როლს და მნიშვნელობას ეკონომიკის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში.

განსაკუთრებით საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, ჩვენი აზრით, გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი სამართლებრივი

⁴⁸ Гелбрейт Дж. К. Беседа с народным депутатом СССР, профессором Ф. М. Бурлашким. “Литературная газета”, 14 февраля 1990 г.

საფუძვლების შექმნის აუცილებლობა, რომლებიც უზრუნველყოფს ერთდროულად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას – ეკონომიკური მიზნის რეალიზაციას, რაც გამოიხატება ეკონომიკის მომგებიან ფუნქციონირებაში, და რომელიც, ამავე დროს, უზრუნველყოფს ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას, ანუ ორიენტაციას ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე, რითაც დაძლეული იქნება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობა, და რაც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძველი იქნება.

ამრიგად, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მთავარი პრობლემა, ჩვენი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკა ჩადგეს ადამიანის

სამსახურში – ჩადგეს ხალხის სამსახურში, რისთვისაც გათვალისწინებული უნდა იქნეს საბაზრო ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაციის აუცილებლობა სამართლებრივი ფაქტორის სათანადო გამოყენებით.

2.2. სამართლებრივი ფაქტორი – რეგორც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევის აუცილებელი საშუალება

საბაზრო ურთიერთობების მიზანდასახული გამოყენება საზოგადოების ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ამასთან, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამართლებრივი ფაქტორი, რადგან სათანადო იურიდიული ბაზის შექმნის და ეფექტიანი გამოყენების გარეშე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევა და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მთავარი მიზნის – ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძველზე ხალხის ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის – პრაქტიკული რეალიზაცია შეუძლებელია.

ამრიგად, სამართლებრივი ფაქტორის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება იმასთან დაკავშირებით, თ რომ, ჯერ-ერთი, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში ფაქტობრივად იქმნება სოციალურ-

ეკონომიკურ ურთიერთობათა ფუნქციონირების თვისებრივად ახალი საბაზრო მექანიზმები, რასაც წინ უნდა უსწრებდეს სათანადო სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, და, მეორეც, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი ფაქტორის მიზანდასახული და ეფექტიანი გამოყენების მეშვეობით, რის გარეშეც თავისთავად საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია განუხორციელებადია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების მეშვეობით საბაზრო ურთიერთობების მიზანდასახული გამოყენება წარმოადგენს ამ ურთიერთობების სოციალური ორიენტაციისა და საზოგადოების ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციონირების აუცილებელ პირობას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აქ ის ფაქტი, რომ, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, საბაზრო ურთიერთობების ფორმირების მამოძრავებელ მიზანს წარმოადგენს მოგება – მაქსიმალური მოგების მიღება, რაც საბაზრო ეკონომიკის მკვეთრად გამოხატულ ეკონომიკურ ორიენტაციაზე მიუთითებს.

სწორედ ზემოაღნიშნულით არის განპირობებული სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკური მიმართულება. კერძოდ, მაგალითად, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად: „სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც

ზორციელდება მოგების მიზნით...“⁴⁹, რაც შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის შინაგან ბუნებას.

ყურადღებას იმსახურებს აქ ის გარემოებაც, რომ საბაზრო ეკონომიკის მომგებიანი ფუნქციონირების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია მისი სოციალური ორიენტაცია.

მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღება ჩვენს მიერ გამახვილებულია ობიექტურ წინააღმდეგობაზე საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის.

ამასთან ერთად, ყურადღება აქ გამახვილებულია აგრეთვე იმაზე, რომ მომგებიანი ეკონომიკა თავისთავად არ ნიშნავს მის სოციალურ ორიენტაციას, და რომ მხოლოდ სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენების საშუალებით არის შესაძლებელი ამ წინააღმდეგობის და, საერთოდ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობების დაძლევა და ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება.

მაშასადამე, აქ მსჯელობაა არა იმაზე, რომ მხოლოდ მომგებიანი საბაზრო ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი, საბოლოო ჯამში, მისი სოციალური ორიენტაცია, რაც გულისხმობს, ამ შემთხვევაში, სოციალური პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობას, არამედ მსჯელობაა აქ იმაზე, რომ საბაზრო ეკონომიკის შინაგანი ეკონომიკური

⁴⁹ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ, სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ. გამოცემულია 2005 წლის 20 საქტემბრის მდგომარეობით. თბილისი: გამომცემლობა „RISE“, 2005, გვ. 3.

მიმართულება, მისი შინაგანი ეკონომიკური მიზანი არ შეიძლება არ იყოს წინააღმდეგობაში მის სოციალურ ორიენტაციასთან.

ცხადია, რომ მომგებიანი ეკონომიკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სოციალური პრობლემების გადასაჭრელად, მაგრამ ეკონომიკის შინაგანი მიმართულება ეკონომიკური მიზნის რეალიზაციაზე და, შესაბამისად, მოგების გამოცხადება ეკონომიკის მამოძრავებელი მიზნად აშკარად ეწინააღმდეგება საბაზრო ეკონომიკის რეალურ სოციალურ ორიენტაციას, რადგან საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური შედეგები ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებელ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს და არა თვითმიზანს.

ამრიგად, რეალურად სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მამოძრავებელ ძალას სწორედ ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია უნდა წარმოადგენდეს, რაც სულაც არ ამცირებს საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკური შედეგების მნიშვნელობას, რომლებიც, როგორც უკვე აღინიშნა, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის რეალიზაციაზე უნდა იყოს გამიზნული.

სამართლებრივი ფაქტორის – როგორც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევის საშუალების მნიშვნელობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ძირითადი წინააღმდეგობის დაძლევის საქმეში.

კერძოდ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობის დაძლევა – წინააღმდეგობისა აღნიშნული საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის – შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენების საშუალებით.

ამასთან ერთად, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სხვა წინააღმდეგობების დაძლევა, ანუ იმ წინააღმდეგობების დაძლევა, რომლებიც გამომდინარეობს ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ძირითადი წინააღმდეგობიდან, შესაძლებელია აგრეთვე სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენებით, რადგან სამართლებრივი ფაქტორი წარმოადგენს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევის აუცილებელ საშუალებას.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობებთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ, ერთი მხრივ, საბაზრო ურთიერთობების ეფექტიანი გამოყენების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მათი თავისუფალი ფუნქციონირება, მაგრამ, მეორე მხრივ, საბაზრო ურთიერთობების თავისუფალი ფუნქციონირება ფაქტობრივად თითქმის გამორიცხავს საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას და ამით წინააღმდეგობაში მიდის მის რეალურ სოციალურ ორიენტაციასთან.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია ამ ეკონომიკური სისტემის თავისუფალ ფუნქციონირებასთან ერთად მოითხოვს საბაზრო ურთიერთობების შესაბამის რეგულირებას, თუმცა გონივრული ადგილობრივი ინიციატივისა და შემოქმედების შეზღუდვის გარეშე, რადგან „სოციალურობას, – როგორც პროფესორი რ. გოგოხია აღნიშნავს, – ის (საბაზრო ეკონომიკა – ა. კ.) როგორც შერეული ეკონომიკური სისტემის ბირთვი, იძენს სახელმწიფოებრივი რეგულირების მეშვეობით“⁵⁰.

ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება და მისი სოციალური ორიენტაცია წარმოუდგენელია სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენების გარეშე, კიდევ ერთხელ აშკარა ხდება სამართლებრივი ფაქტორის – როგორც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევის აუცილებელი საშუალების მნიშვნელობა.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და ერთდროულად მისი სოციალური ორიენტაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს თავისუფლად ფუნქციონირებადი საბაზრო ურთიერთობებისა და სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ოპტიმალური შეხამება შესაბამისი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმებისა და აგრეთვე სათანადო ორგანიზაციული ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით,

⁵⁰ გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 12.

რომელთა შორის სამართლებრივი ფაქტორი წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის თავისუფალ ფუნქციონირებასა და სახელმწიფოს მარეგულირებელ როლს შორის არსებული წინააღმდეგობების დაძლევის აუცილებელ საშუალებას.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ სამართლებრივი ფაქტორის სათანადო გამოყენების გარეშე, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაცია შეუძლებელი იქნება.

ზემოაღნიშნული წინააღმდეგობა საბაზრო ურთიერთობების თავისუფლად ფუნქციონირების აუცილებლობასა და საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობას შორის დაკავშირებულია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითად წინააღმდეგობასთან და გამომდინარეობს ამ წინააღმდეგობიდან, ანუ გამომდინარეობს წინააღმდეგობიდან, ერთი მხრივ, საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა, რაც გამოიხატება მოგების მიღებისადმი სწრაფვაში, და, მეორე მხრივ, საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის, რაც გულისხმობს ეკონომიკის მიმართულებას ხალხის ინტერესების რეალიზაციისათვის, და რაც განხორციელებადია მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის პირობებში.

ამასთან, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობანი ობიექტურ ხასიათს ატარებენ, რადგან ისინი მოქმედებენ ცალკეული ადამიანების ნებისა

და სურვილისაგან დამოუკიდებლად, თუმცა აღნიშნული ობიექტური წინააღმდეგობების დაძლევა შესაძლებელია თვით ადამიანის – სუბიექტის მიერ სახელმწიფო დონეზე მიღებული სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების გამოყენებით.

✓ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შინაგანი წინააღმდეგობანი და მათი დაძლევის გზები მჭიდროდ არის დაკავშირებული კონკურენციის პრობლემასთან.

კონკურენციასთან დაკავშირებით ლუდვიხ ერხარდი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „კონკურენციის მეშვეობით შეიძლება მიღწეულ იქნეს – ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით – პროგრესისა და მოგების სოციალიზაცია...“⁵¹, თუმცა კონკურენციის პრობლემა, ჩვენი აზრით, მეტად რთული და წინააღმდეგობრივია.

კონკურენციის, უფრო ზუსტად კი ყოველი კონკურენტის, ისევე როგორც საბაზრო ეკონომიკის, მიზანია – მოგება.

ამასთან ერთად, როდესაც სახელმწიფო შეგნებულად უშვებს კონკურენციას, საბაზრო ეკონომიკას, მისი მთავარი მიზანი უნდა იყოს არა ცალკეული კონკურენტების გამდიდრება, თუმცა კონკურენტების კანონიერ გამდიდრებასაც უნდა შეუწყოს მან ხელი, არამედ ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება ხალხის – ყოველის ადამიანის – საკეთილდღეოდ, რაც, თავის მხრივ, თავისთავად

⁵¹ Эрхард Л. Благосостояние для всех. Пер. с нем, - М.: Начала-Пресс, 1991, с. 13-14.

გულისხმობს კონკურენტების მომგებიან საქმიანობასაც, რადგან სხვაგვარად ქვეყნის ეკონომიკაც ვერ იქნება ეფექტიანი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ კონკურენციის და, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, საერთოდ საბაზრო ეკონომიკის მიზანი — მოგება, მოგების მიღება, შედის წინააღმდეგობაში უშუალოდ ხალხის ინტერესების რეალიზაციის, ე. ი. სოციალური მიზნის რეალიზაციის პრობლემის გადაჭრასთან, რაც კონკურენციის პირობებში წარმოადგენს მეტად რთულ ფენომენს საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის თვალსაზრისით.

საზოგადოების ორიენტაციის პრობლემა ცალკე სპეციალური კვლევის საგანს წარმოადგენს. ხოლო რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკას და მის მიზანსწრაფვას მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ, უნდა აღინიშნოს, რომ, ცხადია, სახელმწიფოში ეკონომიკური სიმდიდრის შექმნა, როგორც არაერთხელ გამახვილდა ამაზე ყურადღება, სოციალური პრობლემების გადაჭრის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, მაგრამ, ამასთან ერთად, შეუძლებელია, რომ მიღებული მოგება ავტომატურად ემსახურებოდეს სოციალური მიზნის — ხალხის ინტერესების რეალიზაციას.

სწორედ ამან განაპირობა, ჩვენი აზრით, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის კონცეფციის შექმნა, რომელიც ეკონომიკური მიზნის რეალიზაციასთან ერთად

წინა პლანზე წამოწვევს სოციალური პრობლემების გადაჭრის აუცილებლობას.

საბაზრო მექანიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოადგენს კონკურენცია, რომელიც ხელს უწყობს მოგების მაქსიმიზაციას.

ამასთან, კონკურენციას, როგორც ცნობილია, ადამ სმიტმა ბაზრის „უხილავი ხელი“ უწოდა, რომელიც (ე. ი. კონკურენცია) ცალკეული ინდივიდების მიერ მოგების მიღებაზე გამიზნული ეგოისტური საქმიანობის შედეგად ხელს უწყობს, საბოლოო ჯამში, ეკონომიკის განვითარებას და მთელი საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ამრიგად, აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ კონკურენცია მოგებაზე გამიზნული საქმიანობის შედეგად თითქოსდა თავისთავად – ავტომატურად – იწვევს სოციალური მიზნის რეალიზაციას.

კერძოდ, ადამ სმიტი წერდა: „იგი (ადამიანი – ა. კ.) ჩვეულებრივად ამ დროს არც ფიქრობს საზოგადოებრივ სარგებლობაზე და ვერ აღიქვამს, როგორია ზემოქმედება მასზე... მას მხედველობაში აქვს მხოლოდ საკუთარი ინტერესი... ამასთან ასეთ შემთხვევაში, ისევე როგორც მრავალ სხვაში, იგი უხილავი ხელით წარიმართება მიზნისაკენ, რომელიც სულაც არ ჰქონდა გათვალისწინებული... მიჰყვება საკუთარ ინტერესებს, იგი ხშირად უფრო ქმედითად

ემსახურება საზოგადოებას, ვიდრე მაშინ, როდესაც შეგნებულად ფიქრობს ამის გაკეთებას⁵².

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მივდივართ ლოგიკურ დასკვნამდე, თითქოს საბაზრო ეკონომიკას „უხილავი ხელის“ მოქმედების შედეგად თავისთავად აქვს „უხილავი“ სოციალური ორიენტაცია, რადგან მას მივყავართ სოციალურად მნიშვნელოვან შედეგებამდე.

ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ მოცემული დასკვნა გარკვეულწილად ამჟამადაც შეესაბამება ჭეშმარიტებას.

თუმცა, თუ ადამ სმიტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირობებში „უხილავი ხელის“ თეორიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ამჟამად მხოლოდ კონკურენციით დაკმაყოფილება და „უხილავი ხელის“ იმედზე ყოფნა, ჩვენი აზრით, სერიოზულ შეცდომას წარმოადგენს, რადგან, ჯერ ერთი, მაქსიმალურად შესაძლო ეკონომიკური ზრდა მიუღწევადია საზოგადოებაში სახელმწიფოს ხელმძღვანელი და მარეგულირებელი სამართლებრივი და ორგანიზაციული როლის გარეშე, ეკონომიკური მოღვაწეობის სუბიექტების მაქსიმალურად შესაძლო თავისუფლების შენარჩუნებით, და, მეორეც, მაღალი ეკონომიკური შედეგებიც კი, შესაბამისი სამართლებრივი რეგულირების გარეშე, ვერ იქნება ავტომატურად ტრანსფორმირებული სოციალურ

⁵² Смит А. Исследование о природе и причинах богатства народов. М.: Издательство социально-экономической литературы, 1962, с. 332.

ორიენტაციაში და, მით უმეტეს, ამ ორიენტაციის პრაქტიკულ რეალიზაციაში.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრობლემის გადაჭრის გასაღები კონკურენციის პირობებში ძვეს სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიან გამოყენებაში.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ ლეო ჩიქავას აზრი იმის შესახებ, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებობს წინააღმდეგობა პირად, კერძო ინტერესებსა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის⁵³, რაც, ჩვენი აზრით, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ამჟამინდელი რეალიების გათვალისწინებით სამართლიანად უარყოფს ადამ სმიტის, მისი მოღვაწეობის პერიოდისათვის სწორ და ფრიად მნიშვნელოვან მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თითქოს ადამიანის „საკუთარი ინტერესი“ თავისთავად ხელს უწყობს საზოგადოებრივი ინტერესების რეალიზაციას.

თუმცა, ცხადია, ადამიანის პირადი (საკუთარი, კერძო) ინტერესების დაკმაყოფილებას გარკვეულ შემთხვევებში თანამედროვე პირობებშიც შეუძლია დადებითი გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივი ინტერესების რეალიზაციაზე.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობებს შორის, რომლებიც ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ძირითადი წინააღმდეგობიდან გამომდინარეობს, ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინააღმდეგობას

⁵³ Чикава Л. Рыночная экономика: проблема социальных противоречий. Журнал “Общество и экономика”, 1998, №1, с. 60-61.

წარმოადგენს – წინააღმდეგობა საწარმოთა ეკონომიკურ მიზანსა და საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის, რაც აგრეთვე დაკავშირებულია კონკურენციის პრობლემასთან, და რომლის გადაჭრაც შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი ფაქტორის საშუალებით, რადგან სამართლებრივი ფაქტორი წარმოადგენს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევის აუცილებელ საშუალებას.

სამართლებრივი ფაქტორი წარმოადგენს აგრეთვე იმ წინააღმდეგობის დაძლევის აუცილებელ საშუალებას, რომელიც არსებობს კერძომესაკუთრულ ეკონომიკურ მიზანსა და საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციის შორის, ისევე როგორც სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენების გარეშე შეუძლებელია წინააღმდეგობის დაძლევისათვის ბრძოლა კორუფციონერთა – უკანონო შემოსავლების მიღების მსურველთა – წმინდა ეკონომიკურ მიზანსა და საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკულ რეალიზაციას შორის, და ა. შ. ✓

საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობებთან და ამ ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ლეო ჩიქავა აღნიშნავს, რომ „საბაზრო ეკონომიკა სულაც არ არის უნაკლო, მისი გამოვლინებები და შედეგები წინააღმდეგობრივია როგორც სახალხო სამეურნეო სფეროში, ასევე სოციალურ ურთიერთობათა სფეროში. ის ქმნის მრავალ

აუცილებელ პირობას საწარმოო ძალების განვითარებისა და სახალხო მოხმარების ზრდისათვის, მაგრამ ის აგრეთვე წარმოშობს პრობლემებს, რომელთა გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ბაზრის გონივრული რეგულირების გზით. რაც უფრო უკეთესად წარმოვიდგენთ ჩვენ ამ პრობლემებს და რაც უფრო აქტიურად მოვძებნით მათი გადაჭრის ადეკვატურ მეთოდებს, მით უფრო წარმატებული იქნება ჩვენს მიერ საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გამოყენება, მით უფრო ნაკლები იქნება შემთხვევები, როდესაც ამ პრობლემების გამწვავება წარმოშობს სწრაფვას მოძრაობისაკენ უკან⁵⁴.

ზემოთ მოყვანილი ციტატა პროფესორ ლ. ჩიქავას მეცნიერული ნაშრომიდან კიდევ ერთხელ ადასტურებს, ჯერ-ერთი, საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობების არსებობას, და, მეორეც, სამართლებრივი ფაქტორის – როგორც ამ წინააღმდეგობათა დაძლევის აუცილებელი საშუალების მნიშვნელობას, რადგან ბაზრის გონივრული რეგულირება შეუძლებელია სამართლებრივი ფაქტორის სათანადო გამოყენების გარეშე.

მნიშვნელოვანია აგრეთვე პროფესორ ლ. ჩიქავას აზრი იმის შესახებ, „რომ შემთხვევით არ მოხდა განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმირება სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაში, რომელშიც საბაზრო ძალთა თამაში დაექვემდებარა სახელმწიფო კონტროლს და წმინდა საბაზრო პრინციპები

⁵⁴ Чикава Л. Рыночная экономика: проблема социальных противоречий. Журнал “Общество и экономика”, 1998, №1, с. 60.

ამა თუ იმ ზომით „შეიზღუდა“ იმ პრინციპების სასარგებლოდ, რომლებიც უზრუნველყოფს სოციალური მიზნების მიღწევას, საზოგადოებაში სოციალური კეთილდღეობის ამა თუ იმ ელემენტების ფორმირებას. მართალია, თვითონ ცხოვრება გვაიძულებს ამავე დროს არ მოვახდინოთ სოციალური მოთხოვნების აბსოლუტიზაცია, დავაკავშიროთ ისინი ეკონომიკურ შესაძლებლობებთან, არ დავუშვათ საბაზრო მექანიზმების ფუნდამენტური საფუძვლების ნგრევა“⁵⁵.

ყოველივე ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმის აუცილებლობას, რომ, ერთი მხრივ, უნდა ხდებოდეს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო კონტროლი და სახელმწიფო რეგულირება ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის რეალური სოციალური ორიენტაციის მიზნით, რაც სამართლებრივი ფაქტორის სათანადო გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია, და, მეორე მხრივ, დაცული უნდა იქნეს საბაზრო მექანიზმების ფუნდამენტური საფუძვლები, რასაც ასევე სამართლებრივი რეგულირება სჭირდება, და რამაც, საბოლოო ჯამში, აგრეთვე ხელი უნდა შეუწყოს საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას.

საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციისა და საერთოდ საზოგადოების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, როგორც უკვე აღინიშნა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ფაქტორს, რადგან შესაბამისი

⁵⁵ Чикава Л. Рыночная экономика: проблема социальных противоречий. Журнал “Общество и экономика”, 1998, №1, с. 60.

სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმების შექმნა და ამოქმედება, მათი პრაქტიკული რეალიზაცია შეუძლებელია სათანადო სამართლებრივი ბაზის, სათანადო სამართლებრივი საფუძვლების, სამართლებრივი მექანიზმების გარეშე, ე. ი. სათანადო სამართლებრივი ფაქტორის გარეშე.

სამართლებრივი ფაქტორი, ჩვენი ღრმა რწმენით, განსაკუთრებულ როლს უნდა თამაშობდეს ადამიანის – როგორც მწარმოებლის, და ასევე როგორც მომხმარებლის – სოციალურ-ეკონომიკური და სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაში, რაც საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მისი სოციალური ორიენტაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რადგან ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური და სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ხელს შეუწყობს მისი პოტენციალის პრაქტიკული გამოქვეყნების გააქტიურებას და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას.

ზემოაღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისა და საერთოდ მთლიანად საზოგადოების ეფექტიანი ფუნქციონირების მთავარ სამართლებრივ საფუძველს სახელმწიფოს კონსტიტუცია წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ საფუძვლად უნდა დაედოს ყველა სხვა სამართლებრივ აქტს.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სხვა სამართლებრივ საფუძვლებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება

ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას, რადგან სათანადო სამართლებრივი საფუძვლების გარეშე შეუძლებელია შეიქმნას კონკურენციის სამართლიანი პირობები, რის გარეშეც საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია მეტად პრობლემატური იქნება.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევისა და ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნისა და პრაქტიკული გამოყენების საქმეში განსაკუთრებული როლი მიეკუთვნება სახელმწიფოს, კერძოდ, საკანონმდებლო ხელისუფლებას, რომელიც იღებს კანონებს და სხვა ნორმატიულ აქტებს, და აგრეთვე აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომელიც, ერთი მხრივ, თვითონ ღებულობს გარკვეულ ნორმატიულ და სხვა სამართლებრივ აქტებს, და, მეორე მხრივ, რომელიც ცხოვრებაში ახორციელებს როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებულ კანონებს და სხვა ნორმატიულ აქტებს, ისე თვითონ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებს, და რომელმაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სათანადო პირობების შექმნაში და სრულყოფილი კონკურენციის ორგანიზაციაში ხალხის საკეთილდღეოდ.

ამასთან, უპირველეს ყოვლისა, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა აღკვეთოს ყოველგვარი შესაძლებლობა საზოგადოებაში არაკეთილსინდისიერი, მძარცველური კონკურენციის დაშვებისა.

ამრიგად, სახელმწიფომ მართვისა და თვითმმართველობის სათანადო მექანიზმების შექმნისა და ეფექტიანი გამოყენების გზით კონკურენციისა და საერთოდ საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკური მიმართულება – ეკონომიკური მიზანი – სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენების გზით უნდა დაუქვემდებაროს სოციალურ ორიენტაციას, ე. ი. ადამიანს – ხალხის ინტერესების რეალიზაციას, რითაც დაძლეულ უნდა იქნეს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შინაგანი წინააღმდეგობანი.

საბაზრო ურთიერთობების განვითარებაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის მნიშვნელობაზე სამართლიანად მიუთითებს პროფესორი გიორგი წერეთელი, რომელიც აღნიშნავს, რომ „ამჟამად პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ეკონომიკური პროცესების რეგულირების საქმეში წარმატებით გამოიყენება არა მარტო კენსიანობის, არამედ მონეტარიზმის პრინციპები. ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ საბაზრო ურთიერთობების განვითარება მოითხოვს ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევის არა მარტო შეზღუდვას, არამედ მისი ისეთი ფუნქციების განვითარებას, როგორიცაა: მაკროეკონომიკური რეგულირება და ეფექტიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება“⁵⁶.

⁵⁶ წერეთელი გ. პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის შეფასების საკითხისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. III: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“. გიორგი წერეთლის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბილისი: „მეცნიერება“, 2003, გვ. 10.

მაშასადამე, პროფესორ გიორგი წერეთლის მიერ გამოთქმული აზრი კიდევ ერთხელ ადასტურებს სახელმწიფოს მნიშვნელოვან როლს საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაში.

ამასთან, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის საქმეში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რადგან სამართლებრივი ფაქტორი, რომლის გამოყენებითაც სახელმწიფო არეგულირებს ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოებრივი ცხოვრების ფუნქციონირებას, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევის აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სამართლებრივი ფაქტორის გამოყენებას ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის და, მათ შორის, საბაზრო ეკონომიკის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებში ეს ფაქტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაცია შეუძლებელია სამართლებრივი ფაქტორის — როგორც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევის აუცილებელი საშუალების — სათანადო გამოყენების გარეშე.

2.3. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების მთავარი კრიტერიუმის პრაქტიკული გამოყენების პრობლემა

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების მთავარ კრიტერიუმს, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, წარმოადგენს სოციალური პრობლემების გადაჭრა და ყოველი ადამიანის ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

ამასთან, ყოველი ადამიანის ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაში იგულისხმება ხალხის ცხოვრების ისეთი დონე, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე მაღალგანვითარებული ცივილიზებული საზოგადოებისათვის, რომლისკენაც უნდა ისწრაფვოდეს ნებისმიერი ქვეყანა, სადაც ფუნქციონირებს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა, ან სადაც არსებობს ასეთი საბაზრო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების სურვილი.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების მთავარი კრიტერიუმში ფაქტობრივად თავის თავში მოიცავს (აერთიანებს) ერთდროულად ორ კრიტერიუმს: ეკონომიკური მიზნის რეალიზაციას, ანუ რაც შეიძლება მეტი მოგების მიღებას, და სოციალური პრობლემების გადაჭრას.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ აღნიშნული ტიპის საბაზრო ეკონომიკური სისტემის განვითარების კვალობაზე სულ უფრო მკვეთრად იკვეთება სოციალური პრობლემების გადაჭრისა და ყოველი ადამიანის – საზოგადოების ყოველი წევრის – ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელობა როგორც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მთავარი კრიტერიუმისა.

აქვე განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ თუმცა მთლიანი შიდა პროდუქტიდან სოციალური პრობლემების გადასაჭრელად გათვალისწინებული ფინანსური საშუალებების ხვედრითი წილის სოლიდურ ოდენობას, როგორც ადრეც აღინიშნა, უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის მთავარ კრიტერიუმად მაინც ყოველი ადამიანის ცხოვრების მაღალი ხარისხი მიგვაჩნია, რომელიც ყოველთვის ვერ განისაზღვრება ამ მიზნებისათვის მთლიანი შიდა პროდუქტიდან გამოყოფილი ფინანსური საშუალებების პროცენტული ოდენობით, რადგან გარკვეულ კონკრეტულ შემთხვევაში ნომინალურად მაღალი პროცენტი შესაძლოა რეალურად ნაკლებად აკმაყოფილებდეს საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებებს, და, პირიქით, ნომინალურად შედარებით დაბალი პროცენტი შეიძლება რეალურად ხალხის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უფრო მაღალი დონის მაჩვენებელი იყოს.

ამიტომ, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის პრობლემის გადაჭრა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფოს ჩარევით (მისი აქტიური მონაწილეობით) და სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენებით უნდა ხდებოდეს.

თუმცა, ცხადია, ზემოაღნიშნული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს სახელმწიფომ უნდა შეინარჩუნოს ეკონომიკის ძველი – მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მართვის ფუნქცია.

ამასთან დაკავშირებით სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი რ. გოგოხია, რომ „თუმცა შერეული ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაში მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივი რეგულირების როლი, ამ უკანასკნელს არ ძალუძს შეცვალოს კონკურენტული საბაზრო ორგანიზაცია. ის უნდა მიესადაგოს მას და ორივე უნდა რეალიზდებოდეს როგორც შერეული ეკონომიკის ქვესისტემა. რაოდენ გეგმაზომიერადაც არ უნდა ფუნქციონირებდეს რეგულირება, ის, საბოლოო ანგარიშით, ყოველთვის ხორციელდება როგორც საბაზრო ორგანიზაციას მისადაგებული ფენომენი. თვითრეგულირების ბუნებაც ორადია – ის გეგმაზომიერებისა და არაგეგმაზომიერების დიალექტიკური წინააღმდეგობრივი ერთიანობა“⁵⁷.

⁵⁷ გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 12.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით მსოფლიოში ცნობილი ეკონომისტების, პროფესორების – სტენლი ფიშერის, რუდიგერ დორნბუშის და რიჩარდ შმალენზის წიგნში „ეკონომიკის“ აღნიშნულია, რომ „მბრძანებლური ეკონომიკაც, თავისუფალი ბაზრის ეკონომიკაც, წარმოადგენს არარეალისტურ, უკიდურეს შემთხვევებს. ისინი საინტერესოა უმთავრესად იმიტომ, რომ გვეხმარებიან გავიგოთ რეალური ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირება, რომლებიც ამ უკიდურესობების რთულ ნარევს წარმოადგენს“⁵⁸.

შემდეგ, ხსენებული წიგნის ავტორები აღნიშნავენ, რომ „ყველა ქვეყნის ეკონომიკური სისტემა არის შერეული, თუმცა ერთი უფრო მეტად იხრებიან მბრძანებლურისაკენ, მაშინ როდესაც სხვები ემყარებიან ძირითადად საბაზროს“⁵⁹.

ჩვენ ვეთანხმებით ზემოთ მოყვანილ ციტატებში გამოთქმულ მოსაზრებებს, და, ამასთან ერთად, მონოგრაფიული ნაშრომის თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ, ჯერ-ერთი, სადაც ფუნქციონირებს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა, ფაქტობრივად ყველა იმ ქვეყანაში არსებობს შერეული ეკონომიკა, მიუხედავად იქ არსებული სახელმწიფო და კერძო სექტორების პროცენტული თანაფარდობისა, და, მეორეც, ეკონომიკის რეგულირება

⁵⁸ Фишер С., Дорнбуш Р., Шмалензи Р. Экономика: Пер. с англ. со 2-го изд. – М.: “Дело ЛТД”, 1993, с. 12.

⁵⁹ Фишер С., Дорнбуш Р., Шмалензи Р. Экономика: Пер. с англ. со 2-го изд. – М.: “Дело ЛТД”, 1993, с. 12.

როგორც უშუალოდ სახელმწიფოს მიერ, ისე ბაზრით რეგულირება ხდება სამართლებრივი ფაქტორის გამოყენებით.

ამრიგად, სამართლებრივი ფაქტორის გამოყენება აუცილებელია და მნიშვნელოვანია არა მარტო ეკონომიკის უშუალოდ სახელმწიფოებრივი რეგულირების დროს, არამედ აგრეთვე ეკონომიკის ბაზრით რეგულირების დროსაც, რადგან ეკონომიკის ბაზრით რეგულირებაც ხდება გარკვეული კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

თუმცა, ეკონომიკის ბაზრით რეგულირების შემთხვევაში სახელმწიფო ამ რეგულირებაში მონაწილეობს არა უშუალოდ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების გზით, არამედ არაპირდაპირ – სამართლებრივი ფაქტორის გამოყენებით.

სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებით პროფესორ ა. ვ. სიდოროვიჩს მიაჩნია, რომ „სოციალური საბაზრო მეურნეობა დღეს – ეს არის სახესხვაობა, მოდელი შერეული ეკონომიკისა“⁶⁰.

შემდეგ პროფესორი ა. ვ. სიდოროვიჩი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით უფრო ზუსტად „მოდელის

⁶⁰ Курс экономической теории. Общие основы экономической теории, микроэкономика, макроэкономика, переходная экономика: Учебное пособие/Руководитель авторского коллектива и научный редактор профессор А. В. Сидорович. – М.: МГУ им. М. В. Ломоносова. Издательство “ДИС”, 1997, с. 446.

შინაარსს ეკონომიკურად ასახავს მისი განსაზღვრა როგორც სოციალურად ორიენტირებული შერეული ეკონომიკისა⁶¹.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ სოციალური საბაზრო მეურნეობა, ანუ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა, ჩვენი აზრით, არ არის და არც შეიძლება იყოს შერეული ეკონომიკის სახესხვაობა, მოდელი.

ეს დასკვნა გამოძინარეობს იქიდან, რომ, თუმცა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ფუნქციონირებს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა, ფაქტობრივად ადგილი აქვს შერეული ეკონომიკის არსებობას, მაგრამ ეს არ იძლევა იმის საფუძველს, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა გაიგივებული იქნეს შერეულ ეკონომიკასთან და მის სახესხვაობად გამოცხადდეს, რადგან შერეული ეკონომიკის კრიტერიუმია არა მიზანი, რომელსაც ის ემსახურება, არამედ სხვადასხვა საშუალებების (საკუთრების სხვადასხვა ფორმებისა და მართვის სხვადასხვა მეთოდების) არსებობა, რომლებსაც ის იყენებს და რომლის გამოც მას შერეული ეკონომიკა ეწოდება.

შერეული ეკონომიკა – ეს არის „სისტემა, რომელშიც შეხამებულია ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი კერძო

⁶¹ Курс экономической теории. Общие основы экономической теории, микроэкономика, макроэкономика, переходная экономика: Учебное пособие/Руководитель авторского коллектива и научный редактор профессор А. В. Сидорович. – М.: МГУ им. М. В. Ломоносова. Издательство “ДИС”, 1997, с. 446.

საწარმოების არსებობა გარკვეული დონის ცენტრალიზებულ რეგულირებასთან⁶².

უფრო ზუსტად კი, შერეული ეკონომიკა განსხვავდება სხვა ეკონომიკური სისტემებისაგან საკუთრების სხვადასხვა ფორმების ფუნქციონირებითა და მართვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, რაც თავისთავად არ ნიშნავს მის სოციალურ ორიენტაციას.

რაც შეეხება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკას, უნდა აღინიშნოს, რომ მის არსს და სპეციფიკურ ნიშნებს წარმოადგენს არა საშუალებები, არამედ ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეკონომიკური მიმართულება – ეკონომიკური მიზანი, ანუ მაქსიმალური მოგებისაკენ სწრაფვა, და, ამავე დროს, მისი სოციალური ორიენტაცია.

ამრიგად, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შერეულ ეკონომიკასთან არა მარტო გაიგივება, არამედ შედარებაც კი, ჩვენი აზრით, არასწორია, რადგან მათი ფუნქციონირების განმსაზღვრელი კრიტერიუმები (რომლებიც ერთ შემთხვევაში წარმოადგენს საშუალებებს – საკუთრების სხვადასხვა ფორმებს და მართვის სხვადასხვა მეთოდებს, რაც დამახასიათებელია შერეული ეკონომიკისათვის, ხოლო მეორე შემთხვევაში წარმოადგენს მიზანს და ორიენტაციას, უფრო ზუსტად კი ეკონომიკურ მიზანს და სოციალურ ორიენტაციას, რაც დამახასიათებელია

⁶² Словарь современной экономической теории Макмиланна. Перевод с английского. Общая редакция Дэвида У. Пирса. – М.: ИНФРА-М, 1997, с. 327.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისათვის) ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება.

გარდა ამისა, პროფესორ ა. ვ. სიდოროვიჩის ზემოთ მოყვანილი აზრი იმის შესახებ, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შინაარსს უფრო ზუსტად „ასახავს მისი განსაზღვრა როგორც სოციალურად ორიენტირებული შერეული ეკონომიკისა“, ფაქტობრივად ადასტურებს ჩვენს აზრს იმის შესახებ, რომ თეორიულად შერეული ეკონომიკა შეიძლება იყოს სოციალურად ორიენტირებული, ან შეიძლება არ იყოს სოციალურად ორიენტირებული (თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა პრაქტიკულად ყველგან ფუნქციონირებს შერეული ეკონომიკის პირობებში), ისევე როგორც საბაზრო ეკონომიკა შეიძლება იყოს სოციალურად ორიენტირებული, ან შეიძლება არ იყოს სოციალურად ორიენტირებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალურად ორიენტირებული შერეული ეკონომიკა, ჩვენი აზრით, წარმოადგენს სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას შერეული ეკონომიკის პირობებში, ანუ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს ისეთ საბაზრო ეკონომიკურ სისტემას, რომელიც პრაქტიკულად ფუნქციონირებს სახელმწიფოში საკუთრების სხვადასხვა ფორმების არსებობისა და მართვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენების პირობებში.

მაშასადამე, იმ შემთხვევაში, როდესაც მსჯელობაა შერეულ ეკონომიკაზე, ფაქტობრივად საკითხი ეხება სახელმწიფოში ფუნქციონირებად ეკონომიკურ სისტემაში საკუთრების სხვადასხვა ფორმებისა და მართვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას, ხოლო როდესაც მსჯელობაა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკაზე, მაშინ საკითხი ეხება უპირველეს ყოვლისა ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეკონომიკურ მიზანს და, ამავე დროს, ამ ეკონომიკური სისტემის სოციალურ ორიენტაციას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა შერეული ეკონომიკის ფუნქციონირების განმსაზღვრელი კრიტერიუმია საშუალებები, ხოლო სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების კრიტერიუმია ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის მიზანი და ორიენტაცია, მაგრამ მათ აქვთ ის საერთო, რომ ისინი იყენებენ როგორც საბაზრო, ისე არასაბაზრო მექანიზმებს, რაც, ამავე დროს, მათი გაიგივების საფუძველს არ იძლევა.

საბაზრო ეკონომიკასთან და, კერძოდ, სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებით მრავალი საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული ნობელის პრემიის ლაურეატს, პროფესორ ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ზაიექს თავის სამეცნიერო ნაშრომებში და, მათ შორის, თავის ბოლო ნაშრომში „დამღუპველი თავდაჯერებულობა. სოციალიზმის შეცდომები“.

აღნიშნულ ნაშრომში პროფესორი ფ. ა. ზაიეკი წერს, რომ ადამიანური თანამშრომლობის გაფართოებული

ეკონომიკური წესრიგისათვის კაპიტალიზმთან შედარებით უფრო შესაფერისი სახელწოდებაა — „საბაზრო ეკონომიკა“, რომელიც ნასესხები იქნა გერმანული ენიდან⁶³.

ამასთან ფ. ა. ხაიეკი მიიჩნევს, რომ ამ სახელწოდებასაც (ე. ი. „საბაზრო ეკონომიკას“) გააჩნია სერიოზული ნაკლოვანებები. „უპირველეს ყოვლისა, — როგორც ფ. ა. ხაიეკი აღნიშნავს, — ეგრეთწოდებული საბაზრო ეკონომიკა, მკაცრად თუ ვიტყვით, არ არის „ეკონომიკა“, ე. ი. „მეურნეობა“. ეს უფრო მრავალი ერთმანეთთან ურთიერთქმედებაში მყოფი ინდივიდუალური მეურნეობების კომპლექსია, რომლებთანაც (ანუ მეურნეობებთან — ა. კ.) მას (საბაზრო ეკონომიკას — ა. კ.) აქვს მხოლოდ რამოდენიმე საერთო ნიშანი... აუცილებელია მუდამ გვახსოვდეს, რომ ბაზრით შობილი „მეურნეობა“ არ ჰგავს ადამიანის შეგნებული ჩანაფიქრების პროდუქტებს. საბაზრო ეკონომიკა, რომელიც ამ მხრივ საყოველთაოდ მიღებული აზრით საკუთრივ „მეურნეობას“ გვაგონებს, წარმოადგენს მისგან ღრმად განსხვავებულ სტრუქტურას უკვე იმით, რომ ის არ ექვემდებარება მიზნების არავითარ ერთიან იერარქიას“⁶⁴.

პროფესორ ფ. ა. ხაიეკის ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებიდან და დასკვნებიდან, უპირველეს ყოვლისა,

⁶³ Хайек Ф. А. Пагубная самонадеянность. Ошибки социализма. — Пер. с англ. — М.: Изд-во “Новости” при участии изд-ва “Catallaxy”, 1992, с. 192.

⁶⁴ Хайек Ф. А. Пагубная самонадеянность. Ошибки социализма. — Пер. с англ. — М.: Изд-во “Новости” при участии изд-ва “Catallaxy”, 1992, с. 192-193.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ფ. ა. ხაიეკი საბაზრო ეკონომიკას, უფრო ზუსტად კი, სახელწოდებას „საბაზრო ეკონომიკა“ აღარებს სახელწოდებას „კაპიტალიზმი“ და მიიჩნევს, რომ ადამიანური საზოგადოების გაფართოებული ეკონომიკური წესრიგისათვის, ანუ საბაზრო წესრიგისათვის (როგორც ის უწოდებს საბაზრო ეკონომიკას) უფრო შესაფერისი სახელწოდებაა „საბაზრო ეკონომიკა“.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ კაპიტალიზმის ნაცვლად, მისი აზრით, შეიძლება გამოყენებული იქნეს ტერიმინი „საბაზრო ეკონომიკა“, რაც პრაქტიკულად ხდება კიდევც.

შემდეგ ფ. ა. ხაიეკი ფაქტობრივად სახელწოდება „საბაზრო ეკონომიკასაც“ იწუნებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი, ჩვენი აზრით, ის არის, რომ თუმცა კაპიტალიზმი საბაზრო ეკონომიკის გარეშე არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, მაგრამ კაპიტალიზმი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, არის საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემა, მაშინ როდესაც საბაზრო ეკონომიკა არის ეკონომიკა – არის მხოლოდ ეკონომიკური სისტემა, თუმცა კაპიტალიზმის პირობებში მას საყოველთაო ხასიათი აქვს და მოიცავს მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალიზმის მამოძრავებელ ძალას ბაზარი – საბაზრო ეკონომიკა – წარმოადგენს, და რომ საბაზრო ეკონომიკა მოიცავს კაპიტალისტური საზოგადოების ყველა სფეროს, კაპიტალიზმისა და საბაზრო ეკონომიკის გაიგივება ჩვენ

მანც არასწორად მიგვაჩნია, თუმცა ეს პრობლემა ცალკე მეცნიერული კვლევის საგანს წარმოადგენს.

და მანც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, საბაზრო ეკონომიკას ხშირად აიგივებენ კაპიტალიზმთან. ასე, მაგალითად, ყველა ინგლისურენოვან ქვეყანაში პოპულარულ კოლინჯის ეკონომიკურ ლექსიკონში გამოყოფილია ცალკე სტატია სათაურით: „კერძო მეწარმეობის ეკონომიკა, ანუ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, ანუ კაპიტალიზმი“⁶⁵.

საბაზრო ეკონომიკას კაპიტალიზმთან აიგივებდა აგრეთვე ლუდვიგ ფონ მიზესი, რომელიც წერდა, რომ „კაპიტალიზმი, ე. ი. საბაზრო ეკონომიკა, – ეს არის სოციალური კოოპერაციისა და შრომის დანაწილების სისტემა, რომელიც დაფუძნებულია კერძო საკუთრებაზე წარმოების საშუალებებზე“⁶⁶.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ თანამედროვე მსოფლიოში და განსაკუთრებით განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნებში ხშირად ერიდებიან ტერმინ კაპიტალიზმის გამოყენებას და ამიტომ მის მაგივრად იყენებენ ტერმინს „საბაზრო ეკონომიკა“, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, არასწორად მიგვაჩნია.

რაც შეეხება ადამიანური საზოგადოების გაფართოებულ ეკონომიკურ წესრიგს, ანუ გაფართოებულ საბაზრო წესრიგს, როგორც პროფესორი ფ. ა. ხაიეკი იმ ეკონომიკურ სისტემას

⁶⁵ Словарь по экономике. Пер. с англ. под ред. П. А. Ваткина. СПб.: Экономическая школа. 1998, с. 665.

⁶⁶ Mises L. von. Bureaucracy, Arlington Housse, 1999, p. 20.

უწოდებს, რომელსაც ჩვეულებრივ საბაზრო ეკონომიკა ეწოდება, ჩვენი აზრით, ეს გამონათქვამები – ეკონომიკური წესრიგი, საბაზრო წესრიგი – უდავოდ ყურადღებას და სპეციალურ მეცნიერულ კვლევას იმსახურებს.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პროფესორი ფ. ა. ხაიეკი საბაზრო ეკონომიკას უწოდებს ეგრეთწოდებულ საბაზრო ეკონომიკას, და მას მიაჩნია, რომ, მკაცრად თუ ვიტყვი, ის არ არის „ეკონომიკა“, ე. ი. „მეურნეობა“.

ამრიგად, როდესაც პროფესორი ფ. ა. ხაიეკი წერს, რომ საბაზრო ეკონომიკა არ არის „ეკონომიკა“, ე. ი. „მეურნეობა“, ამით ის აღნიშნავს, რომ ეკონომიკა – ეს იგივე მეურნეობაა. მაგრამ, როგორც ზემოთ მოყვანილი მისი ციტატიდან ჩანს, პროფესორი ფ. ა. ხაიეკი საბაზრო ეკონომიკას უფრო ინდივიდუალური მეურნეობების კომპლექსად მიიჩნევს, რომლებთანაც საბაზრო ეკონომიკას რამოდენიმე საერთო ნიშანი აქვს.

მაშასადამე, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ საბაზრო ეკონომიკა არის არა „ეკონომიკა“, ე. ი. არის არა „მეურნეობა“, არამედ ის არის უფრო ინდივიდუალური მეურნეობების კომპლექსი, ანუ გამოდის, რომ საბაზრო ეკონომიკა არ არის ეკონომიკა, მაგრამ ის არის მეურნეობა (ინდივიდუალური მეურნეობების კომპლექსი), რაც, ჩვენი აზრით, წინააღმდეგობაში მოდის იმ მოსაზრებასთან, რომ „ეკონომიკა“ იგივე „მეურნეობაა“.

ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ ეკონომიკა წარმოადგენს იგივე მეურნეობას, ეკონომიკა როგორც მეურნეობა

წარმოადგენს ინდივიდუალური მეურნეობების კომპლექსს, რადგან, როგორც ცნობილია, ეკონომიკა არის, ერთი მხრივ, „მეცნიერება არსებული წარმოების ფაქტორების რაც შეიძლება მეტი ეფექტიანობით გამოყენების შესახებ საქონელში და მომსახურებაში საზოგადოების უსაზღვრო მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით“⁶⁷, ხოლო, მეორე მხრივ, ეკონომიკა წარმოადგენს „ქვეყნის ეკონომიკური მოღვაწეობის ჯამობრივ მოცულობას და სტრუქტურას“⁶⁸, ანუ ეკონომიკა არის, ერთი მხრივ, „სახალხო მეურნეობა, რომელიც მოიცავს მატერიალური წარმოებისა და არასაწარმოო სფეროს დარგებს“⁶⁹, ხოლო, მეორე მხრივ, ეკონომიკა არის „მეცნიერული დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ქვეყნის ან მისი ცალკეული რეგიონების მეურნეობის სექტორებს (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მომსახურება) ან დარგებს, და აგრეთვე წარმოების ზოგიერთ პირობებს და ელემენტებს“⁷⁰.

საინტერესოა აგრეთვე პროფესორ ფ. ა. ხაიეკის აზრი იმის შესახებ, „რომ ბაზრით შობილი „მეურნეობა“ არ ჰგავს ადამიანის შეგნებული ჩანაფიქრების პროდუქტებს“, და რომ საბაზრო ეკონომიკა სიღრმისეულად განსხვავდება

⁶⁷ Словарь по экономике. Пер. с англ. под ред. П. А. Ваткина. СПб.: Экономическая школа. 1998, с. 661.

⁶⁸ Словарь по экономике. Пер. с англ. под ред. П. А. Ваткина. СПб.: Экономическая школа. 1998, с. 661.

⁶⁹ Большой экономический словарь/Под ред. А. Н. Азрилияна. – 3-е изд. стереотип. – М.: Институт новой экономики, 1998, с. 832.

⁷⁰ Большой экономический словарь/Под ред. А. Н. Азрилияна. – 3-е изд. стереотип. – М.: Институт новой экономики, 1998, с. 832.

„მეურნეობისაგან“ იმით, რომ ის (საბაზრო ეკონომიკა) არ ექვემდებარება მიზნების არავითარ ერთიან იერარქიას“.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში „მეურნეობა“ ნამდვილად არ წარმოადგენს ადამიანის შეგნებული ჩანაფიქრების პროდუქტებს იმ გაგებით, რომ ადამიანისთვის (მესაკუთრისათვის) მიზანი ის კი არ არის, რასაც ის უშუალოდ ქმნის, არამედ ადამიანისთვის მიზანი საბაზრო ეკონომიკის პირობებში მის მიერ შექმნილი პროდუქტის ბაზარზე რეალიზაცია და მოგების მიღებაა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ თვით ტერმინში „საბაზრო ეკონომიკა“ მიზანი ნამდვილად არ ჩანს (არ ფიგურირებს) და ამ თვალსაზრისით, ანუ თვით სახელწოდებიდან – „საბაზრო ეკონომიკა“ – გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკა ნამდვილად არ ექვემდებარება მიზნების არავითარ ერთიან იერარქიას, მაგრამ, მოუხედავად ამისა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბაზრო ეკონომიკა როგორც იურიდიულად, ისე ფაქტობრივად ეკონომიკურ მიზანს – მაქსიმალური მოგების მიღებას ექვემდებარება და ემსახურება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ, როგორც ფ. ა. ზაიეკის ნაშრომის შემდეგი ციტატიდან ირკვევა, მას სურს, რომ სახელწოდება „საბაზრო ეკონომიკა“ გამოხატავდეს გარკვეული მოქმედებების მიზანშეწონილობას, ანუ ფაქტობრივად გამოხატავდეს გარკვეული მოქმედებების მიზანსაც. კერძოდ, ფ. ა. ზაიეკი წერს, რომ „გარდა ამისა, ინგლისური ტერმინიდან „საბაზრო ეკონომიკა“ არ შეიძლება

წარმოიქმნას ზედსართავი სახელი, რომელიც ძალიან და ძალიან გამოდგებოდა გარკვეული მოქმედებების მართებულების გამოსახატავად⁷¹.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ფ. ა. ზაიეკის მასწავლებელი, ეკონომისტების ავსტრიული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი ლუდვიგ ფონ მიზესი წერდა, პრაქსეოლოგია (ანუ მეცნიერება საშაულებების შესახებ) და კატალაქტიკა (ანუ მეცნიერება, რომელიც ემსახურება საბაზრო წესრიგის, ე. ი. საბაზრო ეკონომიკის ახსნას) განიხილავენ არა მოქმედებების მამოძრავებელ მიზნებს, არამედ უფრო საშუალებებს, რომლებიც მისაღებია საძიებელი მიზნის მისაღწევად⁷², რასაც არ შეიძლება არ დავეთანხმობთ.

ზემოთ განხილული პრობლემის თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინ „საბაზრო ეკონომიკისაგან“ განსხვავებით ეკონომიკის მიზანი, უფრო ზუსტად კი, ეკონომიკის ორიენტაცია მკვეთრად არის გამოხატული ტერმინში „სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა“.

მიუხედავად ამისა, პროფესორ ფ. ა. ზაიეკს არ მოსწონს აგრეთვე სიტყვა „სოციალური“ და, შესაბამისად, ტერმინი „სოციალური საბაზრო ეკონომიკა“, რომელსაც, ჩვენი აზრით,

⁷¹ Хайек Ф. А. Пагубная самонадеянность. Ошибки социализма. – Пер. с англ. – М.: Изд-во “Новости” при участии изд-ва “Catallaxy”, 1992, с. 193.

⁷² Mises L. von. The Human Action, Contemporary Books, Chicago, 1996, p. 15, 100, 105. Мизес Л. фон. Индивид, рынок правовое государство. – СПб., “Пневма”, 1999, с. 9.

უმჯობესია ყოველთვის ეწოდებოდეს „სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა“, და არა „სოციალური საბაზრო ეკონომიკა“, რათა უკვე თვითონ ტერმინში უფრო მკვეთრად ჩანდეს ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ორიენტაცია, ანუ მისი ფუნქციონირების მიმართულება.

კერძოდ, პროფესორი ფ. ა. ხაიევი წერს, რომ „სიტყვა „სოციალურს“ ბოროტად იყენებენ მთელ მსოფლიოში, მაგრამ უკიდურეს ფორმებამდე ეს მივიდა დასავლეთ გერმანიაში, სადაც 1949 წლის კონსტიტუცია შეიცავდა გამოთქმას sozialer Rechtsstaat – „სოციალური სამართლებრივი სახელმწიფო“ – და იქიდან დაიწყო გავრცელება ცნებამ „სოციალური საბაზრო ეკონომიკა“; თანაც ისეთი აზრით, როგორც მის პოპულიარიზატორ ლუდვიგ ერხარდს საერთოდ არ ჰქონდა მხედველობაში (მახსოვს, ის მარწმუნებდა პირად საუბარში, რომ, მისი გაგებით, საჭირო არ არის საბაზრო ეკონომიკის სოციალურში გადაქცევა, რადგან ის ისედაც სოციალურია თავისი ბუნებით). მაშინ როდესაც სამართლის ბატონობა და ბაზარი თავიდანვე წარმოადგენდა საკმაოდ მკაფიო ცნებებს, ზედსართავი სახელი „სოციალური“, ვაი რომ, ართმევს მათ რამდენადმე განსაზღვრულ შინაარსს. სიტყვა „სოციალურის“ ასეთი გამოყენებიდან გერმანელმა მეცნიერებმა გამოიყვანეს, რომ მათი მთავრობა კონსტიტუციის შესაბამისად ექვემდებარება Sozialstaatsprinzip (სოციალური სახელმწიფოს პრინციპს), რაც ნიშნავს, არც მეტი არც ნაკლები, სამართლით მართვის შეჩერების აუცილებლობას. ასევე ამ გერმანელ მეცნიერთა

მიერ ხდება კონფლიქტის აღმოჩენა Rechtsstaat და Sozialstaat (სამართლებრივ სახელმწიფოსა და სოციალურ სახელმწიფოს) შორის და თავისი ქვეყნის კონსტიტუციაში შეაქვთ ცნება soziale Rechtsstaat (სოციალური სამართლებრივი სახელმწიფო)...⁷³.

პროფესორ ფ. ა. ზაიეკის ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ფ. ა. ზაიეკმა, როგორც საყოველთოდ ცნობილია, და როგორც მისი წიგნის რედაქტორი პროფესორი უ. უ. ბერტლი, III წერდა, თავისი ცხოვრება სოციალიზმთან ბრძოლას მიუძღვნა⁷⁴, რის გამოც, ჩვენი აზრით, სიტყვა „სოციალური“ მას არ მოსწონდა, რადგან ის „სოციალიზმს“ ახსენებდა.

კერძოდ, ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ ფ. ა. ზაიეკის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „ყოველნაირი მოწოდება ვიყოთ „სოციალურები“ („საზოგადოებრივები“) გვიბიძგებს ჩვენ კიდევ ერთი ნაბიჯისაკენ სოციალიზმის „სოციალური სამართლიანობის“ მიმართულებით“⁷⁵.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, და აგრეთვე მისი აზრით მთელი რიგი სხვა არგუმენტების გამო, როგორც ზემოთ

⁷³ Хайек Ф. А. Пагубная самонадеянность. Ошибки социализма. – Пер. с англ. – М.: Изд-во “Новости” при участии изд-ва “Catallaxy”, 1992, с. 201.

⁷⁴ Бертли У. У., III. Предисловие редактора. Хайек Ф. А. Пагубная самонадеянность. Ошибки социализма. – Пер. с англ. – М.: Изд-во “Новости” при участии изд-ва “Catallaxy”, 1992, с. 7.

⁷⁵ Хайек Ф. А. Пагубная самонадеянность. Ошибки социализма. – Пер. с англ. – М.: Изд-во “Новости” при участии изд-ва “Catallaxy”, 1992, с. 203.

მოყვანილი ციტატიდან ჩანს, ფ. ა. ხაიეკი თვლიდა, რომ სიტყვა „სოციალურს“ ბოროტად იყენებენ მთელ მსოფლიოში და ამ ტერმინის ბოროტად გამოყენების უკიდურეს ფორმად მიაჩნდა გამოთქმა „სოციალური სამართლებრივი სახელმწიფო“, საიდანაც, როგორც ის აღნიშნავდა, დაიწყო გავრცელება ცნებამ „სოციალური საბაზრო ეკონომიკა“.

პროფესორი ფრიდრიხ ავეუსტ ფონ ხაიეკი აქვე აღნიშნავდა, რომ „სამართლის ბატონობა და ბაზარი თავიდანვე წარმოადგენდა საკმაოდ მკაფიო ცნებებს“, ხოლო „ზედსართავი სახელი „სოციალური“... ართმევს მათ რამდენადმე განსაზღვრულ შინაარსს“.

ტერმინში – „სოციალური სამართლებრივი სახელმწიფო“ – სიტყვა „სოციალური“ ჩვენი აზრით, გამოიყენება იმისათვის, რომ მკვეთრად გამოიკვეთოს ის მიმართულება, რომელსაც ემსახურება (რომელსაც უნდა ემსახურებოდეს) სამართლებრივი სახელმწიფო.

კერძოდ, როგორც ცნობილია, „სოციალური სახელმწიფო“ – არის დახასიათება (პრინციპი), რომელიც მიეკუთვნება სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტატუსს, რაც გულისხმობს ადამიანისა და მოქალაქის ეკონომიკური და სოციალური უფლებებისა და თავისუფლებების კონსტიტუციურ გარანტირებას და სახელმწიფოს შესაბამის მოვალეობებს. მოცემული დახასიათება ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ემსახურება საზოგადოებას და ისწრაფვის

გამორიცხოს ან დაიყვანოს მინიმუმამდე გაუმართლებელი სოციალური განსხვავებები⁷⁶.

რაც შეეხება ტერმინს „სამართლებრივი სახელმწიფო“, როგორც ცნობილია, „სამართლებრივი სახელმწიფო – კონსტიტუციურ სამართალში არის სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის დახასიათება, რაც გულისხმობს სახელმწიფოს უპირობო დამორჩილებას შემდეგი პრინციპებისადმი: სახალხო სუვერენიტეტი, სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაურღვევლობა, სახელმწიფოს შეკრულობა კონსტიტუციური წყობილებით, კონსტიტუციის უზენაესობა ყველა სხვა კანონისა და კანონქვემდებარე აქტის მიმართ, ხელისუფლების დაყოფა და ხელისუფლების პასუხისმგებლობის ინსტიტუტი როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ორგანიზაციული საფუძველი, სასამართლოს დამოუკიდებლობა, საერთაშორისო სამართლის ნორმების პრიორიტეტი ეროვნული სამართლის ნორმებზე“⁷⁷.

ამრიგად, ცნებაში „სამართლებრივი სახელმწიფო“, ისევე როგორც ცნებაში „სოციალური სახელმწიფო“ იგულისხმება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და ა. შ., მაგრამ, ჯერ-ერთი, ცნებაში „სოციალური სახელმწიფო“ უფრო მკვეთრად და მრავალფეროვნად არის გამოხატული ადამიანისა და მოქალაქის ეკონომიკური და სოციალური

⁷⁶ Большой юридический словарь/Под ред. А. Я. Сухарева, В. Д. Зорькина, В. Е. Крутских. – М.: ИНФРА-М, 1997, с. 647.

⁷⁷ Большой юридический словарь/Под ред. А. Я. Сухарева, В. Д. Зорькина, В. Е. Крутских. – М.: ИНФРА-М, 1997, с. 524.

უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კონსტიტუციური გარანტიები და სახელმწიფოს შესაბამისი მოვალეობები და ა. შ., და, მეორეც, უკვე თვითონ ტერმინში „სოციალური სახელმწიფო“ ჩანს სახელმწიფოს ფუნქციონირების სოციალური მიმართულება, ანუ მისი მიმართულება ხალხის საკეთილდღეოდ. ხოლო ტერმინში „სოციალური სამართლებრივი სახელმწიფო“ (ან „სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო“) უკვე ჩანს, რომ, ერთი მხრივ, ეს არის სამართლებრივი სახელმწიფო, და, მეორე მხრივ, ეს სამართლებრივი სახელმწიფო ემსახურება სოციალურ მიზანს, ანუ ხალხის ინტერესებს.

მაშასადამე, ჩვენი აზრით, არ არსებობს კონფლიქტი სოციალურ სახელმწიფოსა და სამართლებრივ სახელმწიფოს შორის, რადგან, თუ სახელმწიფო არის სოციალურიც და სამართლებრივიც, ეს იმას ნიშნავს (ეს იმას უნდა ნიშნავდეს), რომ ამ სახელწოდებებში გამოკვეთილია „სოციალური“ როგორც მიზანი, ხოლო „სამართლებრივი“ როგორც მისი რეალიზაციის აუცილებელი საშუალება.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც სახელმწიფო არის სამართლებრივი, მაგრამ არ არის სოციალური, მიუხედავად იმისა, რომ რეალურად ეს სახელმწიფო ხალხის ინტერესებს ემსახურება, ჩვენი აზრით, მას მაინც აკლია სიტყვა „სოციალური“, რადგან სამართლებრივი სახელმწიფო თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ ეს სახელმწიფო ხალხის ინტერესებს ემსახურება.

ხომ შესაძლებელია, რომ სამართლებრივი ფაქტორი გამოყენებული იქნეს ხალხის ინტერესების

საწინააღმდეგოდაც, მაშინ როდესაც სამართალი – სამართლებრივი ფაქტორი – კი არ უნდა ბატონობდეს სახელმწიფოში, არამედ ხალხს უნდა ემსახურებოდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ „სამართალს“ და „ბაზარს“ სიტყვა „სოციალური“ კი არ ართმევს რამდენადმე განსაზღვრულ შინაარსს, როგორც ეს ფ. ა. ხაიეკს მიაჩნდა, არამედ უკვე თვითონ ტერმინში აზუსტებს მათ შინაარსს და მათი ფუნქციონირების მიმართულებას, ანუ სიტყვა „სოციალური“ აზუსტებს იმას, თუ ვის და რას უნდა ემსახურებოდეს სამართალი და ბაზარი.

ყურადღებას იმსახურებს აქ ის გარემოებაც, რომ მიუხედავად პროფესორ ფ. ა. ხაიეკის მიერ ზემოთ აღნიშნული პოზიციისა, სიტყვა „სოციალური“ სულ უფრო მეტად მკვიდრდება როგორც სახელმწიფოსთან და სამართალთან, ისე ბაზართან მიმართებაში.

ასე, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მოქალაქეთა „ურყევი ნებაა დაამკვიდრონ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო“⁷⁸.

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 1-ლ მუხლში აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაცია არის „... სამართლებრივი სახელმწიფო“⁷⁹, ხოლო მე-7 მუხლში წერია,

⁷⁸ საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია 1995 წ. 24 აგვისტოს. თბილისი: შ.პ.ს. „პრესა“, 1995, გვ. 3.

⁷⁹ Конституция Российской Федерации. – М.: “Проспект”, 1999, с. 4.

რომ რუსეთის ფედერაცია არის „სოციალური სახელმწიფო“⁸⁰.

გერმანია კონსტიტუციით განსაზღვრულია როგორც „... სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო“⁸¹.

ასეთივე კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი აქვს უკრაინას, რომელიც კონსტიტუციით განსაზღვრულია აგრეთვე როგორც სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო⁸², და ა. შ.

რაც შეეხება ცნებას „სოციალური საბაზრო ეკონომიკა“, რომელიც, როგორც ფ. ა. ხაიეკი აღნიშნავს, გავრცელდა ტერმინიდან „სოციალური სამართლებრივი სახელმწიფო“, სიტყვა „სოციალურს“ ამ შემთხვევაში, ანუ „საბაზრო ეკონომიკის“ მიმართ, ჩვენი აზრით, ისეთივე ახსნა აქვს, როგორც მას აქვს „სამართლებრივი სახელმწიფოს“ მიმართ.

კერძოდ, თუ ტერმინში „საბაზრო ეკონომიკა“ არ ჩანს ეკონომიკის ფუნქციონირების ორიენტაცია, სიტყვა „სოციალური“, იმ შემთხვევაში, როდესაც საბაზრო ეკონომიკა ორიენტირებულია ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაზე, ორიენტირებულია ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფაზე, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს სწორედ საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე.

⁸⁰ Конституция Российской Федерации. – М.: “Проспект”, 1999, с. 5.

⁸¹ Чиркин В. Е. Конституционное право зарубежных стран. – М.: Юристъ, 1997, с. 397.

⁸² Чиркин В. Е. Конституционное право зарубежных стран. – М.: Юристъ, 1997, с. 421.

ამიტომ, როგორც აღრეც იყო ჩვენს მიერ აღნიშნული, მეტი სიზუსტისათვის უფრო გამართლებულად მიგვაჩნია ტერმინი არა „სოციალური საბაზრო ეკონომიკა“, არამედ „სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა“, რაც დამკვიდრებულიც არის თანამედროვე მეცნიერებაში და პრაქტიკაში.

საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე იმის აღნიშვნა, რომ თუმცა საბაზრო ეკონომიკა მართლაც სოციალურია თავისი ბუნებით, რადგან ის ფუნქციონირებს საზოგადოებაში, ანუ სოციალურ გარემოში და მოიცავს საზოგადოებას, რის გამოც ნამდვილად „საჭირო არ არის საბაზრო ეკონომიკის სოციალურში გადაქცევა“, როგორც ამის შესახებ ფ. ა. ხაიეკი იხსენებს ლუდვიგ ერხარდის აზრს მათი პირადი საუბრიდან, მაგრამ საბაზრო ეკონომიკას სოციალურში გადაქცევა კი არა, არამედ სოციალური ორიენტაცია, ე. ი. ხალხის სამსახურში ჩაყენება სჭირდება, რასაც შესანიშნავად აკეთებდა თვითონ ლუდვიგ ერხარდი, და რაც ასახულიც არის ტერმინში „სოციალური საბაზრო ეკონომიკა“, ანუ „სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა“.

ყოველივე ზემოთ განხილული კიდევ ერთხელ ადასტურებს საბაზრო ეკონომიკის და, კერძოდ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პრობლემის სირთულეს, რაც განსაკუთრებით ვლინდება ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროცესში.

ამასთან, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია სამართლებრივი ფაქტორის პრაქტიკული გამოყენების პრობლემა.

როგორც ცნობილია, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკის პირობებში გაბატონებული იყო ეგრეთწოდებული საზოგადოებრივი საკუთრება, ანუ ფაქტობრივად სახელმწიფო საკუთრება, რომელსაც საზოგადოებრივს უწოდებდნენ, ხოლო სამართლებრივი ფაქტორი — კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები — მორგებული იყო აღნიშნულ სისტემაზე.

რაც შეეხება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებას, ამ პროცესში სამართლებრივი ფაქტორის პრაქტიკული გამოყენების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს კერძო საკუთრების სრულუფლებიანი სამართლებრივი უზრუნველყოფა (იგულისხმება სათანადო კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების მიღება) და რეალური დამკვიდრება, ანუ საკუთრების ყველა ფორმის თანასწორუფლებიანი ფუნქციონირება.

უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე და, კერძოდ, სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის მქონე სახელმწიფოთა კონსტიტუციებში, ისევე როგორც ცივილიზებულ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში, დაფიქსირებულია საკუთრების ფორმათა თანასწორუფლებიანობა, მაგრამ პრაქტიკულად სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში ზოგჯერ ღებულობენ ისეთ კანონებს ან სხვა სამართლებრივ აქტებს, რომლებიც ზღუდავს კერძო საკუთრების ფუნქციონირებას და ლახავს კერძო მესაკუთრეთა ინტერესებს, რითაც წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფოს კონსტიტუციასთან და ხალხის

ინტერესებთან, და, ამასთან ერთად, საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასთან.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 106-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ მოქმედებს მხოლოდ ის სამართლებრივი აქტი ან აქტის ნაწილი, რომელიც კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება“⁸³, ფაქტობრივად ზოგჯერ მოქმედებს ის კანონები ან სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. და ეს გრძელდება მანამ, სანამ საკონსტიტუციო სასამართლო სათანადო სარჩელის საფუძველზე ძალადაკარგულად ან ბათილად არ სცნობს ანტიკონსტიტუციურ ნორმატიულ აქტს, ან სანამ სახელმწიფოს პარლამენტი ძალადაკარგულად არ გამოაცხადებს ამა თუ იმ ანტიკონსტიტუციურ კანონს და ა. შ.

საკუთრების ფორმათა პლურალიზმის საწინააღმდეგო ანტიკონსტიტუციური კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების გამოყენების მრავალი ფაქტი არსებობს, რაც დამახასიათებელი იყო ან არის გარდამავალი ეკონომიკისათვის.

ასე, მაგალითად, ადრე საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით ფიზიკური პირი ვალდებული იყო გადაეხადა გადასახადი მთლიანად მიღებული დივიდენდებიდან და პროცენტებიდან, მაშინ როდესაც 1998 წლიდან 2005 წლამდე პერიოდში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის

⁸³ საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს. თბილისი, შ.პ.ს. „პრესა“, 1995, გვ. 42.

თანახმად: „წლიური დეკლარაციის მიხედვით გაანგარიშებული საშემოსავლო გადასახადი მცირდება (მცირდებოდა – ა. კ.) ფიზიკური პირის მიერ წელიწადში 3000 ლარამდე მიღებულ დივიდენდებსა და პროცენტებზე გადახდილი გადასახადის თანხით, თუ არსებობს (თუ არსებობდა – ა. კ.) მისი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი“⁸⁴.

ამრიგად, ფიზიკური პირი ვალდებული იყო გადაეხადა მთლიანად მიღებული დივიდენდებიდან და პროცენტებიდან, მათ შორის იმ 3000 ლარიდანაც, რომლიდან გადახდილი თანხაც 300 ლარის ოდენობით (რადგან დივიდენდიდან და პროცენტიდან გადასახადი შეადგენდა 10%-ს) შემდეგ მას უკან უნდა დაბრუნებოდა, რაც მეტად პრობლემატური იყო.

მაშასადამე, ფიზიკურ პირს უკანონოდ დაკანონებულად ართმევდნენ მის საკუთარ ფულს, რომელიც უკეთეს შემთხვევაში შემდეგ მისთვის უკან უნდა დაებრუნებინათ, მაშინ როდესაც აღნიშნულ ფიზიკურ პირს მისი კუთვნილი ფული ადრევე შეეძლო გამოეყენებინა თავისი შეხედულებისამებრ, მაგრამ ძველი საგადასახადო კოდექსით ამ ასპექტში აშკარად ილახებოდა ადამიანის – მესაკუთრის უფლებები და კანონიერი სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები.

კერძო მესაკუთრის უფლებებსა და სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს ლახავდა აგრეთვე არსებული გადასახადის გადახდა სამეწარმეო საქმიანობისათვის,

⁸⁴ საქართველოს საგადასახადო კოდექსი. გამოცემულია 2002 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით. თბილისი: „საგადასახადო მაცნე“, 2002, გვ. 36.

რომელიც შემდეგ შეიცვალა გადასახადით ეკონომიკური საქმიანობისათვის. კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 209-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ეკონომიკური საქმიანობისათვის გადასახადს იხდიან (იხდიდნენ – ა. კ.) ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც შესაბამისი ქალაქის (რაიონის) ტერიტორიაზე ეწევიან (ეწეოდნენ – ა. კ.) ეკონომიკურ საქმიანობას“⁸⁵.

როგორც ცნობილია, სამეწარმეო საქმიანობისათვის, ეკონომიკური საქმიანობისათვის კერძო მესაკუთრე იხდის მოგების გადასახადს, ხოლო სამეწარმეო საქმიანობისათვის ან ეკონომიკური საქმიანობისათვის გადასახადი წარმოადგენდა მისთვის დამატებით გადასახადს, რაც ლახავდა მის კანონიერ უფლებებსა და სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს.

წლების მანძილზე ილახებოდა აგრეთვე კერძო მესაკუთრის კანონიერი უფლებები და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები იმით, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 213-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გათვალისწინებული იყო, რომ „რეკლამის გადასახადს იხდიან (იხდიდნენ – ა. კ.) რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ახდენენ (ახდენდნენ – ა. კ.) თავიანთი საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) რეკლამირებას ან/და ეკონომიკური საქმიანობის მიზნით იძენენ (იძენდნენ – ა. კ.) სარეკლამო მომსახურებას“⁸⁶.

⁸⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსი. გამოცემულია 2002 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით. თბილისი: „საგადასახადო მაცნე“, 2002, გვ. 150-151.

⁸⁶ საქართველოს საგადასახადო კოდექსი. გამოცემულია 2002 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით. თბილისი: „საგადასახადო მაცნე“, 2002, გვ. 154.

ამრიგად, რეკლამის დამკვეთებს მოეთხოვებოდათ რეკლამის გადასახადის გადახდა, მაშინ როდესაც ისინი უხდიდნენ რეკლამისათვის – სარეკლამო მომსახურებისათვის საჭირო თანხას იმ იურიდიულ პირს, ვინც ასრულებდა ამ შეკვეთას, და რომელიც თავის მხრივ იხდიდა სათანადო გადასახადებს.

კერძო მესაკუთრის უფლებებისა და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების შელახვის აშკარა მაგალითს წარმოადგენდა „საქართველოს რესპუბლიკის საგზაო ფონდის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული „გადასახადი საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის“⁸⁷, რომლის მოთხოვნათა შესაბამისად გადასახადს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის ახდევინებდნენ იმ კერძო სტრუქტურებსაც კი, რომლებიც თუმცა რეგისტრირებული იყვნენ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მაგრამ რომლებიც არ სარგებლობდნენ საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით, თუ არ ჩავთვლით საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობას, რომლის მფლობელები თვითონ იხდიდნენ გადასახადს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული გადასახადი მოქმედებდა თითქმის 9 წლის განმავლობაში, მანამ, სანამ ძალადაკარგულად არ სცნო ის საქართველოს პარლამენტმა.

⁸⁷ საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში საგზაო ფონდის შესახებ“. თბილისი, 1995 წლის 2 სექტემბერი.

თუმცა, როგორც ანტიკონსტიტუციური გადასახადი, ის უნდა გამოცხადებულიყო ძალადაკარგულად, უფრო ზუსტად კი ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში, რადგან ამ კონსტიტუციის 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფენ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მიღებული ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეგისტრაციას, კონსტიტუციასთან და კანონებთან მათ შესაბამისობას“⁸⁸.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკონსტიტუციური კანონები ან კანონების ის ანტიკონსტიტუციური ნაწილები, რომლებზეც ჩვენს მიერ ზემოთ იქნა გამახვილებული ყურადღება, და რომლებსაც წინა წლებში სამართლიანად აკრიტიკებდა პროფესორი ალფრედ კურატაშვილი⁸⁹, ამჟამად აღარ მოქმედებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მთლიანად აღმოფხვრილია ანტიკონსტიტუციური კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების მოქმედება, რომლებიც ლახავენ ადამიანის – კერძო მესაკუთრის, და, ამასთან ერთად, საერთოდ მრავალი ადამიანის – ხალხის უფლებებსა და სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს.

ამრიგად, აშკარაა სამართლებრივი ფაქტორის პრაქტიკული გამოყენების პრობლემა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში.

⁸⁸ საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს. თბილისი, შ.პ.ს. „პრესა“, 1995, გვ. 43.

⁸⁹ კურატაშვილი ალფრედ. ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები და საგადასახადო სისტემა. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტომი I, თბილისი: „მეცნიერება“, 2000, გვ. 189-201.

მაშასადამე, ზემოთ მოყვანილი მაგალითები მიუთითებს ანტიკონსტიტუციური კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების არსებობის პრობლემაზე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში.

გარდა ამისა, სამართლებრივი ფაქტორის პრაქტიკული გამოყენების პრობლემა დაკავშირებულია არსებული კონსტიტუციური, სამართლიანი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების კანონიერი მოთხოვნების შეუსრულებლობასთან, ანუ იმ კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების აღსრულებასთან, რომელთა აღსრულება ნამდვილად კანონიერ მოთხოვნას წარმოადგენს.

ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს გადამხდელების მიერ გადასახადების დამალვის მაგნე პრაქტიკა, რომლებსაც ისინი „ამართლებდნენ“ იმით, რომ გადასახადები მაღალი იყო, და რომ ყველა გადასახადის პატიოსნად გადახდის შემთხვევაში თითქოსდა შეუძლებელი იყო მათ საკუთრებაში არსებულ საწარმოთა ფუნქციონირება.

გადასახადები მართლა ძალიან მაღალიც რომ იყოს, მაინც გაუმართლებელია გადამხდელების მხრიდან კანონებისადმი ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, მით უმეტეს, როდესაც გადასახადი ანტიკონსტიტუციური არ არის და ის ნამდვილად ექვემდებარება აუცილებელ აღსრულებას.

სამართლებრივი ფაქტორის პრაქტიკული გამოყენების პრობლემა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში დაკავშირებულია აგრეთვე იმასთან, რომ ფაქტობრივად არ არსებობს სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობა

ანტიკონსტიტუციური კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების მიღებისათვის და ცხოვრებაში უკანონოდ გატარებისათვის.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში სამართლებრივი ფაქტორის პრაქტიკული გამოყენების პრობლემა დაკავშირებულია აგრეთვე იმასთან, თუ მიღებულ კანონებში და სხვა სამართლებრივ აქტებში რამდენად არის გათვალისწინებული მათი მოქმედების მოსალოდნელი შედეგები როგორც ეკონომიკური ეფექტიანობის, ისე ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის თვალსაზრისით, რადგან, ჩვენი აზრით, სამართლებრივი ფაქტორი შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების საშუალებად, ისე ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების დამაბრკოლებელ, მის წინააღმდეგობათა შექმნისა და გამწვავების საშუალებად.

ამრიგად, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში სამართლებრივ ფაქტორს შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობა, რაც აღნიშნული ფაქტორის პრაქტიკული გამოყენების ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

მაშასადამე, სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიან გამოყენებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება სახელმწიფო ხელისუფლებას, რადგან სწორედ სახელმწიფო ხელისუფლება ღებულობს კანონებს და სხვა ნორმატიულ აქტებს და თვითონვე აკონტროლებს მათ აღსრულებას.

**თავი III. სოციალურად
ორიენტირებული საბაზრო
ეკონომიკის ეფექტიან
ფუნქციონირებაზე სამართლებრივი
ფაქტორის გავლენის ამაღლების
გზები**

**3.1. საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ
ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის
გავლენის ამაღლების გზები**

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითად სპეციფიკურ თავისებურებას, რითაც ის განსხვავდება სოციალურად არაორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისაგან, წარმოადგენს მოგებისადმი სწრაფვის პარალელურად მისი ორიენტაცია სოციალური პრობლემების გადაჭრაზე.

ამასთან, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური მიზანი და მისი რეალიზაციისაკენ სწრაფვა, ანუ სწრაფვა მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ ახასიათებს როგორც სოციალურად ორიენტირებულ, ისე სოციალურად არაორიენტირებულ ეკონომიკას, რაც ბუნებრივად არის, რადგან ნებისმიერი ტიპის (ნებისმიერი მოდელის) საბაზრო ეკონომიკის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი სწორედ მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ სწრაფვაა.

აქ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ის გარემოება, რომ როგორც სოციალურად ორიენტირებული, ისე სოციალურად

არაორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მოგების მიღებისაკენ სწრაფვა თავისთავად უარყოფით მოვლენას არ წარმოადგენს. პირიქით, ეკონომიკის მომგებიანი ფუნქციონირება, ანუ ეკონომიკური ეფექტიანობა სოციალური პრობლემების გადაჭრის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს.

თუმცა, როგორც ჩვენს მიერ აღრეც აღინიშნა, სოციალური პრობლემების გადაჭრა ავტომატურად არ ხდება, რის გამოც, ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია, რომ საბაზრო ეკონომიკას, მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ სწრაფვასთან ერთად, ჰქონდეს სოციალური ორიენტაცია, რომელიც უნდა დარეგულირდეს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მხრიდან (სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან) სამართლებრივი ფაქტორის სათანადო გამოყენებით.

სწორედ ამიტომ ვანიჭებთ ჩვენ უპირატესობას სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას სოციალურად არაორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკასთან შედარებით, რაც ლოგიკურად გამომდინარეობს იქიდან, რომ, ჩვენი აზრით, ხალხი კი არ არსებობს (კი არ უნდა არსებობდეს) საბაზრო ეკონომიკისათვის, არამედ საბაზრო ეკონომიკა არსებობს (უნდა არსებობდეს) ხალხისათვის.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ გამოთქმული აზრი სრულიად ბუნებრივია და ამიტომ, ჩვენი თვალსაზრისით, სადავო არ არის, ამას პრაქტიკაში ყოველთვის არ ითვალისწინებენ ან ვერ ითვალისწინებენ ისინი, ვისაც ეს ევალებათ.

ამასთან, ისევ ყოველი ადამიანის – საზოგადოების ყოველი წევრის ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაზე, რაც წარმოდგენელია სამართლებრივი ფაქტორის სათანადო გამოყენების გარეშე.

ამრიგად, საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზების ძიება, ჩვენი აზრით, ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რადგან საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის გარეშე, როგორც უკვე აღინიშნა, შეუძლებელია საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის პრობლემის გადაჭრა, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან სათანადო სამართლებრივი ბაზის შექმნას საჭიროებს.

მაშასადამე, სახელმწიფოს როლს – სახელმწიფო ხელისუფლების როლს – განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის და, მათ შორის, ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების საქმეში, რისი უზრუნველყოფაც უნდა მოხდეს სამართლებრივი ფაქტორის გამოყენებით.

სახელმწიფოს როლის მნიშვნელობაზე ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების საქმეში მეტად საინტერესოა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ვლადიმერ პაპავას მეცნიერული გამოკვლევები და მისი მეცნიერული შედეგები.

„ეკონომიკური მეცნიერების კვლევის მნიშვნელოვან სფეროს, – როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი ვ. პაპავა, – სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა წარმოადგენს. ამ პრობლემის შესწავლის აუცილებლობა თვისებრივად ახალ დონეზე პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პირობებში დგება“⁹⁰.

შემდეგ პროფესორი ვ. პაპავა აღნიშნავს, რომ „საყოველთაოდ მიღებული მოსაზრების თანახმად, სახელმწიფოს საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის შინაგანი შემადგენელი ნაწილი კი არაა, არამედ მას ავსებს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოს „დანიშნულება“ იმ ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაა, რომელთა გადაჭრა ბაზარს არ ძალუძს, რის გამოც სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა მისი (ბაზრის) იძულებითი დამატების როლში გამოდის. ამგვარი მიდგომა ორივე თანამედროვე მაგისტრალურ ეკონომიკურ მიმდინარეობას – ნეოკლასიკურ და ნეოქეინზიანურ სკოლებს ახასიათებს, რომელთა შეხედულებები ერთმანეთისაგან ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის დონის ფორმებისა და მეთოდებისადმი დამოკიდებულებით განსხვავდება“⁹¹.

ამის შემდეგ პროფესორი ვ. პაპავა ხსენებულ მონოგრაფიაში ყურადღებას ამახვილებს ამერიკის

⁹⁰ პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „პლპ“, 2002, გვ. 183.

⁹¹ პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „პლპ“, 2002, გვ. 184.

შეერთებულ შტატებში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის ზრდაზე⁹² და აღნიშნავს, რომ „წინამდებარე თავის მიზანი (აქ იგულისხმება აღნიშნული მონოგრაფიის ერთ-ერთი თავი. – ა. კ.) იმის დასაბუთებაა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა ბაზრის შინაგანი, იმანენტური ნაწილის სახითაც შეიძლება იქნეს განხილული“⁹³.

ზემოაღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით პროფესორი ვ. პაპავა აღნიშნავს, რომ „ამჟამად არც ერთი ეკონომიკური სკოლის (მარქსისტების გამოკლებით) წარმომადგენელი სადაოდ არ ხდის იმ თეზისს, რომ საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი ამ შემოსავლის შემქმნელი ოთხი ფაქტორის მიხედვით ნაწილდება. საყოველთაო აღიარებით, ესენია (მათ ეკონომიკურ რესურსებსაც უწოდებენ) მიწა, კაპიტალი, შრომა და სამეწარმეო უნარი, რომელთაგან პირველი ორი მატერიალურ, შემდეგი ორი კი – ადამიანურ რესურსებად ერთიანდება; საქონლისა და მომსახურების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი ისე ნაწილდება, რომ წარმოების ყოველ ფაქტორს მისი მფლობელისათვის შესაბამისი შემოსავალი (რენტა, პროცენტი, ხელფასი და სამეწარმეო მოგება) მოაქვს.

ჩამოთვლილი ფაქტორული შემოსავლების გარდა, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციით მიღებული

⁹² იხ. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „პლკ“, 2002, გვ. 184-185.

⁹³ პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „პლკ“, 2002, გვ. 185.

ამონაგები ამორტიზაციასა და ბიზნესზე ირიბ გადასახადებსა და გადასახდელებს (გადასახადები გაყიდვებიდან, აქციზები, ქონების გადასახადი, სალიცენზიო გადასახდელები და საბაჟო გადასახადები) შეიცავს. ეს უკანასკნელნი ლიტერატურაში სახელმწიფოს დაუმსახურებელ (გამოუმუშავებელ) შემოსავლად იწოდებიან. ეს კი, თავის მხრივ, ნაწილობრივ წარმოების ფაქტორების თეორიის მთლიანობას საეჭვოდ ხდის, რომლის თანახმადაც საქონლისა და მომსახურების ფასი ფაქტორულ შემოსავლებად იყოფა: შემოსავლის ისეთი სახე (ირიბი გადასახადები ბიზნესზე) ჩნდება, რომელსაც ეკონომიკური დასაბუთება არ გააჩნია. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად საჭიროა პასუხი შემდეგ კითხვას გაეცეს: წარმოების ყველა ფაქტორი და შესაბამისი შემოსავლები არის კი გათვალისწინებული?⁹⁴.

ამ კითხვის პასუხად პროფესორი ვ. პაპავა აღნიშნავს, რომ:

1. თუ მეწარმე საქონლის ან მომსახურების წარმოების ერთიან პროცესში მიწის, კაპიტალისა და შრომითი რესურსების ჩართვას ახორციელებს, მაშინ სახელმწიფო თავის თავზე ეროვნული ეკონომიკის ჩარჩოებში მეწარმეთა ამ საქმიანობის რეგულირების ინციატივას იღებს;
2. თუ მეწარმე გარკვეული საქონლის, ან მომსახურების წარმოებას უძღვება, სახელმწიფო ეროვნული

⁹⁴ პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „აბკ“, 2002, გვ. 186-187.

ეკონომიკის ფარგლებში უკეთეს ორგანიზაციას საქონლისა და მომსახურების მთელი მასის წარმოებას;

3. თუ მეწარმე ამა თუ იმ გადაწყვეტილებას (მაგალითად, სიახლეების გამოყენების, თუ რისკის თავის თავზე აღების შესახებ) საკუთარი ბიზნესის წარმართვის პროცესში იღებს, სახელმწიფო გადაწყვეტილებებს (ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით) მთელი ეროვნული ეკონომიკის განვითარების მაგისტრალური გზების შესახებ იღებს⁹⁵.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად პროფესორი ვ. პაპავა დაასკვნის, რომ „სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი წარმოების მეხუთე ფაქტორია“⁹⁶.

სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის, როგორც წარმოების მეხუთე ფაქტორის პროფესორ ვ. პაპავას მიერ შემუშავებული კონცეფცია, ჩვენი აზრით, უდავოდ მხარდაჭერას იმსახურებს, და შემთხვევითი არ არის, რომ ეს კონცეფცია ბრიტანული „გამოყენებითი ეკონომიკის“ სახელმძღვანელოს მეექვსე და მეშვიდე გამოცემებში იქნა ასახული (Griffiths, Wall (ed.), 1995, p. 338; 1997, p. 358)⁹⁷.

სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის, როგორც წარმოების ფაქტორის, შემდგომი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, პროფესორი ვ. პაპავა აღნიშნავს:

⁹⁵ პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „პაპა“, 2002, გვ. 187-188.

⁹⁶ პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „პაპა“, 2002, გვ. 188.

⁹⁷ პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „პაპა“, 2002, გვ. 188.

„ამგვარად, თუ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი წარმოების ფაქტორია, მან სახელმწიფოს გარკვეული შემოსავალიც უნდა მოუტანოს. სწორედ ისაა ეს შემოსავალი, რასაც ამჟამად ბიზნესზე ირიბ გადასახადს უწოდებენ. სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის წარმოების ფაქტორად აღიარება, თავის მხრივ ბიზნესზე ირიბ გადასახადებს, სამეწარმეო მოგების ანალოგიით, სახელმწიფოს მოგების სტატუსის მიღების უფლებას აძლევს“⁹⁸.

მხარს ვუჭერთ რა სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის, როგორც წარმოების ფაქტორის პროფესორ ვ. პაპავას მიერ შემუშავებულ კონცეფციას, საჭიროდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ თუმცა სამართლებრივი ფაქტორი ცალკე დამოუკიდებელ წარმოების ფაქტორს არ წარმოადგენს, არამედ ის არის ფართო მოქმედების სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ფაქტორი, რომელმაც სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მისი სათანადო გამოყენების პირობებში დადებითი გავლენა შეიძლება მოახდინოს და უნდა მოახდინოს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაზე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ კანონებს და სხვა სამართლებრივ აქტებს ქმნის, გამოსცემს და მის აღსრულებას აკონტროლებს სახელმწიფო – სახელმწიფო ხელისუფლება, სამართლებრივი ფაქტორის გავლენა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაზე ჩვენს მიერ

⁹⁸ პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „პლპ“, 2002, გვ. 190.

განიხილება ამავე დროს როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის – წარმოების მეხუთე ფაქტორის – პრაქტიკული გამოვლინების ერთ-ერთი ასპექტი.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ რაც უფრო ქმედით კანონებს და სხვა სამართლებრივ აქტებს მიიღებს და ამოქმედებს სახელმწიფო, მით უფრო მეტ გავლენას მოახდენს სამართლებრივი ფაქტორი სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაზე და, კერძოდ, ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე.

მაშასადამე, გაიზრდება მოგება, და მოგების ზრდის საფუძველი ამ შემთხვევაში იქნება სწორედ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი სათანადო კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების შექმნისა და ცხოვრებაში განხორციელების სახით, ანუ სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენების სახით.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ სამართლებრივ ფაქტორს შეუძლია მოახდინოს არა მარტო დადებითი გავლენა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაზე და, კერძოდ, ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, არამედ მას (სამართლებრივ ფაქტორს) შეუძლია უარყოფითი გავლენაც მოახდინოს ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე და მის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოში ფუნქციონირებადი კანონები

და სხვა სამართლებრივი აქტები არ პასუხობენ საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო მოთხოვნებს, რითაც ისინი ამუხრუჭებენ ეკონომიკის და მთლიანად საზოგადოების განვითარებას.

ამრიგად, საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზები მდგომარეობს ისეთი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების მიღებაში და აღსრულებაში, რომლებიც სტიმულს მისცემენ ეკონომიკის განვითარებას და ამავე დროს გაზრდიან პასუხისმგებლობას ეკონომიკურ შედეგებზე.

რაც შეეხება იმას, თუ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის რომელი მოდელის გამოყენებაა უფრო მიზანშეწონილი, ჩვენი აზრით, ყველა სახელმწიფომ თავისი სპეციფიკური თავისებურებების, ტრადიციების და ა. შ. გათვალისწინებით უნდა ჩამოაყალიბოს ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის საკუთარი მოდელი, რომელიც იქნება ეკონომიკურად მაქსიმალურად ეფექტიანი და ამავე დროს სოციალურად ორიენტირებული, და რომელსაც შეიძლება ცალკე რაიმე ტიპის მოდელი არც კი ეწოდოს, რადგან სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა თვითონ არის საბაზრო ეკონომიკის სოციალურად ორიენტირებული მოდელი.

„საბაზრო ეკონომიკის ფარგლებში, – როგორც ამასთან დაკავშირებით სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი დ. ვალოჯოი, – შეიძლება გამოიყოს საზოგადოების განვითარების

2 ძირითადი მოდელი, რომელთაგან ყოველს გააჩნია თავისი მოდიფიკაცია: „ნეოკლასიკური“, მონეტარული მოდელი, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფო საკუთრების უარყოფაზე და შესაბამისად კერძოს აბსოლუტიზაციაზე, რაც ითვალისწინებს სახელმწიფოს სოციალური ფუნქციის მკვეთრ შეკვეცას; სოციალურად ორიენტირებული მოდელი, რომელიც დაფუძნებულია საკუთრების სხვადასხვა ფორმების თავისუფალ თანაარსებობაზე, სახელმწიფოს ძლიერ სოციალურ ფუნქციაზე, რომელიც იყენებს ინდიკატურ დაგეგმვას და პროგნოზირებას. საზოგადოების განვითარების მეორე მოდელი დამახასიათებელია ძირითადად ევროპული, და განსაკუთრებით სკანდინავური ქვეყნებისათვის, და აგრეთვე, ისრაელისათვის, კანადისათვის; განვითარების იგივე გზას ირჩევენ სამხრეთი კორეა, ლათინური ამერიკის, არაბული აღმოსავლეთის სწრაფად განვითარებადი ქვეყნები“⁹⁹.

მაშასადამე, თუმცა, როგორც ცნობილია, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სხვადასხვა მოდელი არსებობს, რაზედაც ჩვენს მიერ ზემოთ იყო გამახვილებული ყურადღება, მაგრამ ეს მოდელები, პროფესორ დ. ვალოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, უფრო ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის მოდიფიკაციებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა თვითონ არის საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი და, ჩვენი აზრით, ყველაზე პროგრესული მოდელი.

⁹⁹ Валовой Д. В. Рыночная экономика. Возникновение, эволюция и сущность. – М.: ИНФРА-М, 1997, с. 97.

ამასთან, ამ მოდელის, ანუ საბაზრო ეკონომიკის სოციალურად ორიენტირებული მოდელის კონკრეტული მოდიფიკაცია (ან თუნდაც თვითონ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა – როგორც მოდელი), ჩვენი აზრით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ითვალისწინებდეს ნებისმიერი მოდელისათვის ან მოდიფიკაციისათვის დამახასიათებელი, ანდა სრულიად განსხვავებული (ახალი) თავისებურებების გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფს საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობას და ამავე დროს მის სოციალურ ორიენტაციას.

სწორედ საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური მიზანი, რომლის რეალიზაციის შედეგსაც წარმოადგენს ეკონომიკური ეფექტიანობა, და ამავე დროს საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია – ერთად ქმნიან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას როგორც სისტემას, ანუ აღნიშნული საბაზრო ეკონომიკური სისტემა დაფუძნებულია ერთდროულად ეკონომიკურ მიზანზე და სოციალურ ორიენტაციაზე, მაშინ როდესაც ტრადიციულად ეკონომიკური სისტემები – ეს არის მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება არა მიზანს და ორიენტაციას, არამედ საშუალებებს.

ასე, მაგალითად, ყველა ინგლისურენოვან ქვეყანაში პოპულარულ კოლინჯის ეკონომიკურ ლექსიკონში აღნიშნულია, რომ თანამედროვე მსოფლიოში ასეთი ეკონომიკური სისტემა, ანუ მექანიზმი არის სამი: „კერძო მეწარმეობის ეკონომიკა, რომელშიც რესურსების განთავსება

ხორციელდება ბაზრების საშუალებით; ეკონომიკა, რომელიც ცენტრალიზებულად იგეგმება, და რომელშიც რესურსების განთავსება ხორციელდება სახელმწიფოს მიერ; შერეული ეკონომიკა, რომელშიც რესურსების განთავსება ხორციელდება როგორც ბაზრით, ასევე სახელმწიფოს მიერ¹⁰⁰.

ამრიგად, თუ ეკონომიკურ სისტემას განვიხილავთ ტრადიციულად – როგორც მექანიზმს, რომელშიც განმსაზღვრელი როლი საშუალებებს ეკუთვნის, მაშინ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა ცალკე სისტემად აღარ განიხილება (არ უნდა განიხილებოდეს), ვინაიდან საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით ის ემთხვევა შერეულ ეკონომიკას.

ზემოაღნიშნული პოზიციიდან გამომდინარე, ჩვენ ვეთანხმებით პროფესორ რ. გოგოხიას აზრს, რომელიც წერს: „პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სოციალური საბაზრო მეურნეობა და, მით უმეტეს, შერეული საბაზრო ეკონომიკა, საერთოდ არ არსებობს...“¹⁰¹.

მართლაც, თუ ეკონომიკურ სისტემას განვიხილავთ, როგორც მექანიზმს, რომელშიც ტრადიციულად განმსაზღვრელი როლი საშუალებებს ეკუთვნის, მაშინ – ამ თვალსაზრისით – სოციალური საბაზრო მეურნეობა, ანუ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა არ

¹⁰⁰ Словарь по экономике. Пер. с англ. под ред. П. А. Ваткина. Спб.: Экономическая школа. 1998, с. 671.

¹⁰¹ გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 12.

არსებობს, რადგან სოციალური ორიენტაცია ფაქტობრივად მიზნის კატეგორიას მიეკუთვნება და არა საშუალებებს.

მით უმეტეს, მართლაც არ არსებობს შერეული საბაზრო ეკონომიკა, ვინაიდან, თუ გავითვალისწინებთ, რომ საბაზრო ეკონომიკაში იგულისხმება ბაზრით რეგულირებადი ეკონომიკა, ხოლო შერეული ეკონომიკის პირობებში რეგულირება ხორციელდება როგორც ბაზრით, ისე სახელმწიფოს მიერ ადმინისტრაციული მეთოდებით, მაშინ აშკარა ხდება, რომ შერეული ეკონომიკა სწორედ იმიტომ არის შერეული ეკონომიკა, რომ ეკონომიკის რეგულირების თვალსაზრისით ის არ არის მხოლოდ საბაზრო ეკონომიკა (ანუ ბაზრით რეგულირებადი ეკონომიკა), რის გამოც ეკონომიკის რეგულირების საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით მას უნდა ეწოდებოდეს და, როგორც წესი, ეწოდება არა შერეული საბაზრო ეკონომიკა, არამედ შერეული ეკონომიკა.

ამასთან, რადგან ეკონომიკურ სისტემას ჩვენ განვიხილავთ როგორც მექანიზმს, რომელშიც განმსაზღვრელი როლი ეკუთვნის მიზანს და ორიენტაციას, ამიტომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა, როგორც ადრეც აღინიშნა, ჩვენი აზრით, სრულიად სამართლიანად და ლოგიკურად განიხილება აქ როგორც სისტემა.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ის გარემოება, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა აქ განიხილება არა როგორც წმინდა ეკონომიკური სისტემა, არამედ როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, რადგან

ის ეფუძნება, როგორც ეკონომიკურ მიზანს, ისე სოციალურ ორიენტაციას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც აღრეც გამახვილდა ამაზე ყურადღება, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა ფაქტობრივად ყველგან ფუნქციონირებს შერეული ეკონომიკის პირობებში, სადაც გამოიყენება მართვის როგორც საბაზრო მექანიზმები, ისე სახელმწიფო რეგულირების ფორმები და მეთოდები.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, სამართლიანად წერს პროფესორი რამაზ აბესაძე, რომ „თითქმის ყველა კომუნისტური იდეოლოგიის ქვეყანა როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური გარდაქმნების გზას დაადგა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესები სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, მიზანი ერთია – ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, ეკონომიკის საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების ოპტიმალური ურთიერთშეხამების საფუძველზე, ე. ი. შერეული, ანუ ახალი ეკონომიკის აშენება“¹⁰².

რაც შეეხება საკითხს საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამალღების გზების შესახებ, საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ საბაზრო ეკონომიკის და, კერძოდ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო

¹⁰² აბესაძე რ., სარჩიმელია რ., არევაძე ნ., მელაშკალი მ. ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები. თბილისი: „უნივერსალი“, 2004, გვ. 37.

ურთიერთობების ეკონომიკური ეფექტიანობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკუთრების სხვადასხვა ფორმების პლურალიზმს – საკუთრების სხვადასხვა ფორმების თანასწორუფლებიან არსებობას და ფუნქციონირებას, რისი უზრუნველყოფაც შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი ფაქტორის სათანადო გამოყენებით.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის, პროფესორ ჯონ კენეტ გელბრეიტის აზრი, რომელიც აღნიშნავდა, რომ „საბოლოო ჯამში არც ისე მნიშვნელოვანია, ვისი იქნება ეს საკუთრება. კაპიტალისტურ სამყაროში საწარმოები ჩვეულებრივ აქციების მფლობელებს ეკუთვნით, რომლებიც უცნობი არიან საწარმოს აღმინისტრაციისათვის. არაფერი არსებითად არ შეიცვლება, თუ მათი მფლობელი, როგორც ადგილი აქვს საქმის ვითარებას ხშირ შემთხვევაში, იქნება სახელმწიფო“¹⁰³. მნიშვნელოვანია, როგორც შემდეგ აღნიშნავდა პროფესორი ჯონ კენეტ გელბრეიტი, რომ საწარმომ, ისევე როგორც ადამიანმა, „მიიღოს უფლება თავისი ინდივიდუალობის დასამკვიდრებლად, რომ ღებულობდეს ჯილდოს წარმატებისათვის და ისჯებოდეს წარუმატებლობისათვის“¹⁰⁴.

¹⁰³ См. Валовой Д. В. Рыночная экономика. Возникновение, эволюция и сущность. – М.: ИНФРА-М, 1997, с. 290.

¹⁰⁴ См. Валовой Д. В. Рыночная экономика. Возникновение, эволюция и сущность. – М.: ИНФРА-М, 1997, с. 290.

ამრიგად, პროფესორ ჯონ კენეტ გელბრეიტის მოსაზრებიდან გამომდინარე, მთავარია არა საკუთრების ესა თუ ის ფორმა, არამედ ისეთი პირობების შექმნა, როდესაც შესაძლებელი იქნება საკუთრების ნებისმიერი ფორმის და მთლიანად ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება.

მაშასადამე, სახელმწიფო ხელისუფლებამ სამართლებრივი ფაქტორის გამოყენებით უნდა შექმნას ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების პირობები.

კერძოდ, საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამალღების გზები, ჩვენი აზრით, შეიძლება დაიყოს სამ ძირითად მიმართულებად:

პირველი მიმართულება, ანუ პირველი გზა – ეს არის, ერთი მხრივ, იმ ანტიკონსტიტუციური კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების ძალადაკარგულად ცნობა, რომლებიც აბრკოლებენ (ხელს უშლიან) საბაზრო ურთიერთობების ფუნქციონირებას და მისი ეკონომიკური ეფექტიანობის ამალღებას, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის შემოღება¹⁰⁵ მომავალში ანტიკონსტიტუციური კანონებისა და სხვა სამართლებრივი

¹⁰⁵ კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

აქტების, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების მიღებაზე და ცხოვრებაში გატარებაზე;

მეორე მიმართულება, ანუ მეორე გზა – ეს არის, ერთი მხრივ, არსებული კანონიერი და სამართლიანი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების აღსრულების სტიმულირება, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის გაზრდა (გამკაცრება) ყველა დონეზე – როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირების, ისე სხვა ფიზიკური და აგრეთვე იურიდიული პირების მიმართ, მათზე კანონით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის;

მესამე მიმართულება, ანუ მესამე გზა – ეს არის ისეთი ახალი კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების მიღება, ან არსებულ ნორმატიულ აქტებში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც ხელს შეუწყობს საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლებას.

რაც შეეხება ზემოაღნიშნული მიმართულებების, ანუ საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზების კონკრეტიზაციას, პირველი მიმართულების პრაქტიკული რეალიზაციისათვის, ჩვენი აზრით, სახელმწიფო ხელისუფლებამ საფუძვლიანად უნდა გადაამოწმოს ყველა კანონი, და აგრეთვე ყველა სხვა სამართლებრივი აქტი, მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით, და ძალადაკარგულად უნდა ცნოს საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემასთან დაკავშირებული

ანტიკონსტიტუციური კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილები, რადგან, ჯერ ერთი, ეს არის კონსტიტუციური მოთხოვნა, და, მეორეც, აღნიშნული პრობლემა ხელს უშლის საკუთრების სხვადასხვა ფორმების თანასწორუფლებიან ფუნქციონირებას და საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას, ანუ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სამართლებრივი ფაქტორის უარყოფით გავლენას საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე.

აქვე უნდა გამახვილდეს ყურადღება იმაზე, რომ, მაგალითად, საქართველოში ახლო წარსულში ფუნქციონირებდა მთელი რიგი ანტიკონსტიტუციური კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილები, რითაც ირღვეოდა საკუთრების სხვადასხვა ფორმების კონსტიტუციური თანასწორუფლებიანობა, ილახებოდა მეწარმეთა, კერძო მესაკუთრეთა სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები, რაც აბრკოლებდა საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას.

ზემოთ აღნიშნულ ანტიკონსტიტუციურ კანონებს და სხვა სამართლებრივ აქტებს, ან მათ ანტიკონსტიტუციურ ნაწილებს, როგორც უკვე აღინიშნა, მიეკუთვნებოდა, მაგალითად, საგადასახადო კოდექსის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კერძო მესაკუთრის (საწარმოს დამფუძნებლის) მიერ წელიწადში მთლიანად მიღებული დივიდენდებიდან და პროცენტებიდან საშემოსავლო გადასახადის გადახდა, ხოლო შემდეგ ამ გადახდილი თანხიდან 3000 ლარზე

გადახდილი გადასახადის უკან დაბრუნება¹⁰⁶, მაშინ როდესაც, ვინაიდან გათვალისწინებული იყო ეს შეღავათი, კერძო მესაკუთრეს უნდა ჰქონოდა უფლება თავიდანვე არ გადაეხადა მიღებული 3000 ლარი დივიდენდიდან გადასახადი.

ამრიგად, კერძო მესაკუთრეს – ფიზიკურ პირს – წინასწარ უკანონოდ (თუმცა უკანონოდ დაკანონებულად) ართმევდნენ მის კუთვნილ თანხას, რომელსაც ის შემდეგ ან დაიბრუნებდა ან არა, რაც გარკვეულწილად სტიმულს უკარგავდა მას ეკონომიკურ საქმიანობაში და უბიძგებდა შემოსავლის დამალვისაკენ ან სხვა დარღვევებისაკენ.

ამასთან, ამჟამად აღნიშნული შეღავათი საერთოდ აღარ არსებობს, მაგრამ ეს ადრე არსებულ შეღავათთან შედარებით უფრო სამართლიანია, და ეს უფრო არ მოქმედებს უარყოფითად კერძო მესაკუთრეზე და ეკონომიკის ფუნქციონირებაზე, ვიდრე ის გარემოება, როდესაც კერძო მესაკუთრეს კანონით ჰქონდა შეღავათი, მაგრამ ამ შეღავათით გათვალისწინებულ ფულს უკანონოდ ართმევდნენ მას.

გარდა ამისა, როგორც ადრეც აღინიშნა, ანტიკონსტიტუციური იყო აგრეთვე სამეწარმეო საქმიანობისათვის და შემდგომ ეკონომიკური საქმიანობისათვის გადასახადი; რეკლამის გადასახადი, რომელსაც რეკლამის დამკვეთები იხდიდნენ სარეკლამო მომსახურების შეძენის გამო¹⁰⁷, მიუხედავად იმისა, რომ მათ გადაიხადეს სათანადო თანხა სარეკლამო მომსახურებისათვის.

¹⁰⁶ საქართველოს საგადასახადო კოდექსი. გამოცემულია 2002 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით. თბილისი: „საგადასახადო მაცნე“, 2002, გვ. 36.

¹⁰⁷ საქართველოს საგადასახადო კოდექსი. გამოცემულია 2002 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით. თბილისი: „საგადასახადო მაცნე“, 2002, გვ. 154.

ანტიკონსტიტუციური. იყო აგრეთვე საერთო სარგებლობის სააუტომობილო გზებით სარგებლობისათვის გადასახადი¹⁰⁸, რომელსაც იხდიდნენ მხოლოდ კერძო მესაკუთრეები (კერძო საწარმოები) იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი არ სარგებლობდნენ ამ გზებით, ანუ როდესაც მათ არ გააჩნდათ ტრანსპორტი, რომლითაც ისინი გადაიყვანდნენ მგზავრებს ან გადაზიდავდნენ ტვირთს.

ამასთან ერთად, ანტიკონსტიტუციური იყო „აუდიტორიული საქმიანობის შესახებ“ კანონის მოთხოვნა (მუხლი 15, პუნქტი „ა“)¹⁰⁹, რომლის თანახმად, მაგალითად, შეხლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ვალდებული იყო დაედო ხელშეკრულება აუდიტორულ ფირმასთან, რათა ჩატარებულიყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში აუდიტორული შემოწმება, რადგან აუდიტორის დასკვნის გარეშე საგადასახადო ინსპექციაში არ მიიღებდნენ მისგან (აღნიშნული საზოგადოებისგან) წლიურ ანგარიშებს.

მაშასადამე, ზემოაღნიშნულ სამეურნეო სუბიექტებს და შესაბამის კერძო მესაკუთრეებს აიძულებდნენ დამატებითი ხარჯები გაეწიათ აუდიტორულ შემოწმებაზე, მაშინ როდესაც მათ უნდა ჰქონოდათ უფლება არა იძულებით, არამედ საჭირო შემთხვევაში თავისი სურვილით მოეწვიათ შემოწმებისათვის

¹⁰⁸ საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში საგზაო ფონდის შესახებ“. თბილისი, 1995 წლის 2 სექტემბერი, მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁰⁹ საქართველოს რესპუბლიკის კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“. თბილისი, 1995 წლის 7 თებერვალი.

აუდიტორი, ან მხოლოდ თავისი პასუხისმგებლობით წარედგინათ წლიური ანგარიშები საგადასახადო ინსპექციაში.

აღნიშნული ანტიკონსტიტუციური კანონები ან ამ კანონების და სხვა ზემოთ ხსენებული ნორმატიული აქტების ანტიკონსტიტუციური ნაწილები, როგორც ცნობილია, ამჟამად საქართველოში აღარ მოქმედებს, თუმცა ანალოგიური და სხვა ანტიკონსტიტუციური ნორმატიული აქტების არსებობის და მოქმედების მაგალითები ჯერ კიდევ არსებობს როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში, რაც ხელს უშლის საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

რაც შეეხება ამჟამად საქართველოში მოქმედ ანტიკონსტიტუციურ ნორმატიულ აქტებს ან ამ აქტების ანტიკონსტიტუციურ ნაწილებს, რომლებიც ხელს უშლიან საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას, ჩვენი აზრით, ასეთებს მიეკუთვნება, მაგალითად, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადის მიმდინარე გადასახდელების გადახდა (მუხლი 219).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ზემოაღნიშნული მოთხოვნის თანახმად:

„1. საწარმოები/ორგანიზაციები ან მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას, ვალდებული არიან მიმდინარე გადასახდელების თანხები ბიუჯეტში შეიტანონ გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

- ა) არა უგვიანეს 15 მაისისა – 25%;
- ბ) არა უგვიანეს 15 ივლისისა – 25%;
- გ) არა უგვიანეს 15 სექტემბრისა – 25%;
- დ) არა უგვიანეს 15 დეკემბრისა – 25%¹¹⁰.

ამასთან, კერძო მესაკუთრეს – საწარმოს დამფუძნებელს არა აქვს უფლება ზემოაღნიშნულ პერიოდებში მიიღოს თავისი კუთვნილი დივიდენდები, რადგან საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად (მუხლი 12, პ. 11), დივიდენდი არის „მოგების ნაწილი, რომელსაც იურიდიული პირი სამეურნეო წლის (სამეურნეო წლების) შედეგების მიხედვით ანაწილებს პარტნიორთა შორის“¹¹¹.

მაშასადამე, კერძო მესაკუთრეს (კერძო საწარმოს) წინასწარ ახდევინებენ მოსალოდნელი მოგების მიმდინარე გადასახდელს გასული სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით (მაშინ როდესაც მიმდინარე სამეურნეო წლის შედეგები ჯერ ცნობილი არ არის), და, ამავე დროს, მას უფლება არა აქვს ასევე წინასწარ მიიღოს და სათანადოდ გამოიყენოს მისი კუთვნილი მოსალოდნელი დივიდენდები, რითაც ილახება ადამიანის – კერძო მესაკუთრის უფლებები და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები, და რაც, ჩვენი აზრით, ხელს უშლის საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

¹¹⁰ საქართველოს საგადასახადო კოდექსი. 2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ოფიციალური ტექსტი). თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2004, გვ. 154.

¹¹¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსი. 2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ოფიციალური ტექსტი). თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2004, გვ. 8.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია ისე დარეგულირდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსი, რომ, თუ არსებობს მიმდინარე წელს რეალურად მოსალოდნელი მოგება, მაშინ კერძო მესაკუთრეს – საწარმოს დამფუძნებელს – მიმდინარე გადასახდელების გადახდასთან ერთად უფლება უნდა ჰქონდეს აგრეთვე წინასწარ (სამეურნეო წლის დამთავრებამდე) მიიღოს მისი კუთვნილი მოსალოდნელი დივიდენდები (ცხადია, დივიდენდის გადასახადის გადახდასთან ერთად) წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადის შესაბამისი ოდენობით.

წინააღმდეგ შემთხვევაში გადასახადის მიმდინარე გადასახდელების გადახდის მოთხოვნა, ჩვენი აზრით, ანტიკონსტიტუციურია, რაც ლახავს კერძო მესაკუთრის სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს და ხელს უშლის საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ის გარემოება, რომ არსებობს ასევე სხვა ანტიკონსტიტუციური კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილები, რომელთა ძალადაკარგულად ცნობა საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რაც ამავე დროს ხელს შეუწყობს საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლებას, რადგან აღნიშნული კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები ამასთანავე უშუალოდ არის დაკავშირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასთან.

ამიტომ, აღნიშნული კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების მაგალითები განხილული იქნება შემდგომში საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზებთან დაკავშირებით.

ამრიგად, საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზების პრობლემის განხილვის შედეგად კიდევ ერთხელ მივდივართ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ ანტიკონსტიტუციური კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების ძალადაკარგულად ცნობა, და, ამავე დროს, მომავალში ანტიკონსტიტუციური კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების მიღებაზე და ცხოვრებაში გატარებაზე პასუხისმგებლობის შემოღება წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, ანუ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას.

საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების მეორე მიმართულებას, ანუ მეორე გზას, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, წარმოადგენს, ერთი მხრივ, არსებული კანონიერი და სამართლიანი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების აღსრულების სტიმულირება, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის გაზრდა (გამკაცრება) ყველა დონეზე – როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირების, ისე სხვა

ფიზიკური და აგრეთვე იურიდიული პირების მიმართ, მათზე კანონით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის.

ამასთან, კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების აღსრულების სტიმულირება, ისევე როგორც მათ აღსრულებაზე პასუხისმგებლობის გაზრდა, უნდა ხდებოდეს სათანადო სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმების გამოყენებით, რაც დარეგულირებული უნდა იყოს სამართლებრივი ფაქტორის საშუალებით, და რაც უნდა გამოიხატებოდეს მატერიალური და მორალური სტიმულების აქტიურ დანერგვაში და პასუხისმგებლობის გაზრდაში (გამკაცრებაში) სამართლებრივი ფაქტორის საფუძველზე.

რაც შეეხება საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების მესამე მიმართულებას, ანუ მესამე გზას, როგორც აგრეთვე ზემოთ იყო აღნიშნული, ის მდგომარეობს ისეთი ახალი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების მიღებაში, ან არსებულ ნორმატიულ აქტებში ისეთი ცვლილებების შეტანაში, რომლებიც ხელს შეუწყობს საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას ახალი ქმედითი სტიმულებისა და პასუხისმგებლობის დანერგვის გზით.

ზემოაღნიშნული ცვლილებები კანონმდებლობაში შეიძლება განხორციელდეს, მაგალითად, გადასახადების განაკვეთების დიფერენციაციის გზით (მოგების გადასახადი,

საშემოსავლო გადასახადი და ა. შ.) შემოსავლების ოდენობის გათვალისწინებით და ა. შ.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანია არა ახალი კანონების ან სხვა სამართლებრივი აქტების, ან მათში ცვლილებების პროექტების შემუშავება (თუმცა ამასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე შეიძლება გვქონდეს ჩვენი წინადადებებიც), არამედ იმ ძირითადი გზების განსაზღვრა, რომლებიც ხელს შეუწყობს საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლებას.

3.2. საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზები

საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება თვითმიზანი არ არის, მაგრამ ეს პრობლემა ფრიად მნიშვნელოვანია, რადგან საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემის გადაჭრა საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური ეფექტიანობა ავტომატურად არ იწვევს ამ ეკონომიკური სისტემის სოციალურ ორიენტაციას. თუმცა, ცხადია, საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური ეფექტიანობა გავლენას ახდენს ეკონომიკის ფუნქციონირების სოციალურ შედეგებზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი ფაქტორის სათანადო გამოყენებას, რადგან მხოლოდ სამართლებრივი ფაქტორის მეშვეობით არის შესაძლებელი საბაზრო ეკონომიკის რეალური სოციალური ორიენტაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განვიხილავთ საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზებს.

კერძოდ, საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზები, ისევე როგორც საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზები, ჩვენი აზრით, შეიძლება დაიყოს სამ ძირითად მიმართულებად:

პირველი მიმართულება, ანუ პირველი გზა — ეს არის, ერთი მხრივ, იმ ანტიკონსტიტუციური კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების ძალადაკარგულად ცნობა, რომლებიც აბრკოლებენ (ხელს უშლიან) საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის შემოღება მომავალში იმ ანტიკონსტიტუციური კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების; ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების მიღებაზე და ცხოვრებაში გატარებაზე, რომლებმაც შეიძლება შელახონ ადამიანის უფლებები და ხელი შეუშალონ საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას;

მეორე მიმართულება, ანუ მეორე გზა — ეს არის, ერთი მხრივ, საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული კანონიერი და სამართლიანი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების აღსრულების სტიმულირება, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის გაზრდა (გამკაცრება) ყველა დონეზე — როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირების, ისე სხვა ფიზიკური და აგრეთვე იურიდიული პირების მიმართ, საბაზრო ეკონომიკის სოციალური

ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით მათზე კანონით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის;

მესამე მიმართულება, ანუ მესამე გზა – ეს არის ისეთი ახალი კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების მიღება, ან არსებულ ნორმატიულ აქტებში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც ხელს შეუწყობს საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლებას.

საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზების კონკრეტიზაციის მიზნით მიგვაჩნია, რომ პირველი მიმართულების, ანუ პირველი გზის პრაქტიკული რეალიზაციისათვის სახელმწიფო ხელისუფლებამ საფუძვლიანად უნდა გადაამოწმოს ყველა კანონი, და აგრეთვე ყველა სხვა სამართლებრივი აქტი, მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით, და ძალადაკარგულად უნდა ცნოს ანტიკონსტიტუციური კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილები, რომელთა მოქმედებაც ლახავს ადამიანის უფლებებს და ხელს უშლის საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას.

კერძოდ, ჩვენი აზრით, ძალადაკარგულად უნდა იქნეს ცნობილი ფიზიკური პირების ქონების გადასახადით დაბეგვრის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნა (თავი XI, მუხლი 272,

პუნქტი 4, ქვეპუნქტი „ა“; მუხლი 273, პუნქტი 3)¹¹² იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც ამ ქონებას არ იყენებენ ეკონომიკური საქმიანობისათვის, რადგან ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ორმაგ, უფრო ზუსტად კი – მრავალჯერად დაბეგვრას, რითაც ილახება მესაკუთრის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები და მისი კონსტიტუციური უფლებები (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 21, პუნქტი პირველი)¹¹³.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, ფიზიკური პირი თავისი ოფიციალური, კანონიერი შემოსავლებიდან იხდის სათანადო გადასახადებს და ამის შემდეგ მისი კუთვნილი უკვე დაბეგრილი ფულით იძენს ქონებას, რომელიც ხელახლა დაბეგვრას აღარ უნდა ექვემდებარებოდეს, თუ ამ ქონებას ის არ იყენებს ეკონომიკური საქმიანობისათვის და თუ ამ ქონებას ფიზიკური პირისათვის არ მოაქვს დამატებით შემოსავალი.

გაუმართლებლად მიგვაჩნია აგრეთვე დაკანონებული ხელოვნური შეზღუდვები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, და განსაკუთრებით კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის, რაც, ერთი მხრივ, ზღუდავს კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობას და უარყოფითად მოქმედებს

¹¹² საქართველოს საგადასახადო კოდექსი. 2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ოფიციალური ტექსტი). თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2004, გვ. 284-286.

¹¹³ საქართველოს კონსტიტუცია. ცვლილებებითა და დამატებებით 2006 წლის 10 მარტამდე. თბილისი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, 2006, გვ. 12-13.

საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, უარყოფითად მოქმედებს საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე, რადგან ზღუდავს როგორც პროფესორ-მასწავლებელთა და ა. შ. დასაქმების და, შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობებს, ისე ყოველი ადამიანის მიერ განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის კონსტიტუციურ უფლებას (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 35, პუნქტი პირველი)¹¹⁴.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების ხელოვნური შეზღუდვის ერთ-ერთ მაგალითად, ჩვენი აზრით, შეიძლება ჩაითვალოს მოთხოვნა, რომლის თანახმად აღნიშნულ საგანმანათლებლო დაწესებულებას თავისი ფუნქციონირებისათვის უნდა გააჩნდეს სულ მცირე 1000 კვადრატული მეტრი ფართობი¹¹⁵. ამასთან, აღნიშნული ფართი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ერთ მისამართზე¹¹⁶.

¹¹⁴ საქართველოს კონსტიტუცია. ცვლილებებითა და დამატებებით 2006 წლის 10 მარტამდე. თბილისი: იურიდიული ფორმა „ბონა კაუზა“, 2006, გვ. 17.

¹¹⁵ საქართველოს კანონი „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, მუხლი 5¹, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „ბ.ა“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი 1, 31.03.2006, № 9, მუხლი 66, გვ. 11.

¹¹⁶ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 27 მარტის ბრძანება № 223 „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის დებულებისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ა“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი III, 27.03.2006, № 41, მუხლი 477, გვ. 13.

ბუნებრივია, რომ უნდა იყოს განსაზღვრული ის მინიმალური ფართი, რომელიც აუცილებელია ყოველი სტუდენტის ნორმალური სწავლებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტის ჩამოყალიბებისათვის.

მაგრამ, ჩვენი აზრით, სრულიად გაუმართლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არსებობისათვის საერთო მინიმალური ფართის სახით 1000 კვადრატული მეტრის განსაზღვრა, და მით უმეტეს ერთ მისამართზე, რადგან ყოველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის საჭირო საერთო მინიმალური ფართის ოდენობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს აღნიშნულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებულ და/ან მისაღებ სტუდენტთა რაოდენობიდან და თითოეული სტუდენტის სწავლებისათვის გათვალისწინებული აუცილებლად საჭირო ფართიდან გამომდინარე, როგორც ეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ არის დადგენილი¹¹⁷.

უფრო ზუსტად კი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის საჭირო მინიმალური ფართის წინასწარ განსაზღვრის ნაცვლად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამა თუ იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში რეალურად არსებული

¹¹⁷ საქართველოს კანონი „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, მუხლი 5¹, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „აა“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი 1, 31.03.2006, № 9, მუხლი 66, გვ. 11.

ფართის გათვალისწინებით უნდა დადგინდეს სტუდენტთა ერთდროულად სწავლების დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა.

ამასთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, ჩვენი აზრით, უნდა მიეცეს უფლება თვითონ განსაზღვროს სტუდენტთა ზემოაღნიშნული რაოდენობა მიიღოს ერთდროულად (ერთ წელიწადში) თუ ნაწილ-ნაწილ (სხვადასხვა წლებში), რადგან მთავარია, რომ სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატებოდეს კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დასაშვებ მაქსიმუმს.

რაც შეეხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 1000 კვადრატული მეტრი მინიმალური ფართის არსებობას, ყურადღებას იმსახურებს აქ ის გარემოება, რომ სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც, მაგალითად, 500, 1000 ან უფრო მეტი სტუდენტი სწავლობს, 1000 კვადრატულ მეტრზე მეტი მინიმალური ფართის არსებობა ისედაც აუცილებელი იქნება სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე, ხოლო კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება, მაგალითად, 50, 60 ან 100 სტუდენტი სწავლობდეს, 1000 კვადრატული მეტრი მინიმალური ფართის არსებობის მოთხოვნა სრულიად გაუმართლებელია, რადგან ეს ფართი სტუდენტთა აღნიშნული რაოდენობის გათვალისწინებით ნამდვილად არ არის საჭირო.

ამიტომ შენობა-ნაგებობის ფართის არსებობაზე ზემოაღნიშნული მოთხოვნა ფაქტობრივად იწვევს კერძო

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების და, შესაბამისად, მათი ეკონომიკური საქმიანობის აკრძალვას, მაშინ როდესაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას (მუხლი 30, პუნქტი 2)¹¹⁸.

ამრიგად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის განსაზღვრული არანაკლებ 1000 კვადრატული მეტრი საერთო ფართის არსებობის მოთხოვნა ფაქტობრივად არავითარ უარყოფით გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებაზე.

პირიქით, აღნიშნული კრიტერიუმი ხელს შეუწყობს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქართველოს კონსტიტუციით აკრძალულ (მუხლი 30, პუნქტი 2)¹¹⁹ მონოპოლიურ საქმიანობას, რადგან ამ ანტიკონსტიტუციური კრიტერიუმის არსებობის შემთხვევაში, ჩვენი აზრით, სრულიად უსამართლოდ მრავალი კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დაიხურება, რაც გამოიწვევს, ერთი მხრივ, მათი ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტას სათანადო უარყოფითი ეკონომიკური შედეგებით

¹¹⁸ საქართველოს კონსტიტუცია. ცვლილებებითა და დამატებებით 2006 წლის 10 მარტამდე. თბილისი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, 2006, გვ. 16.

¹¹⁹ საქართველოს კონსტიტუცია. ცვლილებებითა და დამატებებით 2006 წლის 10 მარტამდე. თბილისი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, 2006, გვ. 16.

სახელმწიფოსათვის და თვითონ ამ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის (იქ დასაქმებული პროფესორ-მასწავლებლებისათვის და ა. შ.), ხოლო, მეორე მხრივ, ეს უარყოფით გავლენას მოახდენს საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე, ანუ უარყოფით გავლენას მოახდენს მრავალი ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვაზე და მათი სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციაზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობისა და ფუნქციონირების ხელოვნურ შეზღუდვას იწვევს აგრეთვე მოთხოვნა, რომლის თანახმად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას დაკავებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1000 კვადრატული მეტრი ფართი ერთ მისამართზე დღე-ღამეში 24 საათის განმავლობაში, ანუ მას უნდა ჰქონდეს „შესაბამისი ფართის 24 საათიან რეჟიმში სარგებლობის უფლება“¹²⁰, მაშინ როდესაც შესაძლებელია ერთი და იგივე ფართი ეკავოს, მაგალითად, ორ კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას: ერთს – პირველ ცვლაში, ხოლო მეორეს – მეორე ცვლაში, რაც საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას და მისი სოციალური ორიენტაციის პრაქტიკულ

¹²⁰ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 27 მარტის ბრძანება № 223 „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის დებულებისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 2. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი III, 27.03.2006, № 41, მუხლი 477, გვ. 13.

რეალიზაციას შეუწყობს ხელს, და რაც ამავე დროს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვერ შეძლებენ ნორმალურ ფუნქციონირებას და მაღალი დონის სპეციალისტების მომზადებას.

ამკარად ანტიკონსტიტუციურია „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის მოთხოვნა: ამ კანონის ამოქმედებამდე ლიცენზირებულმა საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებმა „2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყონ საკუთარი საქმიანობის ამ კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებთან შესაბამისობა“¹²¹.

აღნიშნული მოთხოვნის ანტიკონსტიტუციურობა განპირობებულია იმით, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად (მუხლი 42, პუნქტი 5) „კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“¹²².

¹²¹ საქართველოს კანონი „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, მუხლი 9, პუნქტი 1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი 1, 31.03.2006, № 9, მუხლი 66, გვ. 12-13.

¹²² საქართველოს კონსტიტუცია. ცვლილებებითა და დამატებებით 2006 წლის 10 მარტამდე. თბილისი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, 2006, გვ. 20.

ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისევ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად (მუხლი 106, პუნქტი 1) „კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ მოქმედებს მხოლოდ ის სამართლებრივი აქტი ან აქტის ნაწილი, რომელიც კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება“¹²³, ზემოაღნიშნულ ანტიკონსტიტუციურ მოთხოვნას იურიდიული ძალა არ გააჩნია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს მოთხოვნა მაინც უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ის მაინც განხორციელდება პრაქტიკაში, რაც უდავოდ უარყოფითად იმოქმედებს როგორც საბაზრო ეკონომიკის უშუალოდ სოციალურ ორიენტაციაზე, ისე საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე და ამის შედეგად კვლავ მის სოციალურ ორიენტაციაზე.

ამრიგად, ჯერ-ერთი, მოთხოვნა, რომლის თანახმად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1000 კვადრატული მეტრი ფართობი, ხელოვნურად ზღუდავს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისა და ახალგაზრდების მიერ განათლების მიღების შესაძლებლობას და ის განსაკუთრებით აშკარად ანტიკონსტიტუციურია იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ, რომლებსაც ჰყავთ სტუდენტთა მცირე რაოდენობა, მაგალითად, 50, 60 ან 100 სტუდენტი (ისევე როგორც ანტიკონსტიტუციური იქნებოდა მოთხოვნა კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების

¹²³ საქართველოს კონსტიტუცია. ცვლილებებითა და დამატებებით 2006 წლის 10 მარტამდე. თბილისი: იურიდიული ფორმა „ბონა კაუზა“, 2006, გვ. 58.

მიმართ, რომ იქ ისწავლონ ერთდროულად, მაგალითად, არანაკლებ 200-მა, 300-მა, 500-მა ან 1000-მა და ა. შ. სტუდენტმა), და, მეორეც, აღნიშნული მოთხოვნა კანონიერი და სამართლიანიც რომ იყოს, ის არ შეიძლება შეეხოს იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც შეიქმნა ამ კანონის და აგრეთვე სხვა ამჟამად უკვე ძალადაკარგული ნორმატიული აქტების მიღებამდე, რომლებშიც დაფიქსირებული იყო მოთხოვნა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უნდა გააჩნდეთ არანაკლებ 1000 კვადრატული მეტრი საერთო ფართი¹²⁴, და რომლებიც აკმაყოფილებენ მათ შექმნამდე არსებულ მოთხოვნებს, რადგან ეს მოთხოვნა კი არ ამსუბუქებს, არამედ ამძიმებს პასუხისმგებლობას, რაც საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

ამიტომ, ზემოაღნიშნული მოთხოვნა სრულიად კანონიერი და სამართლიანიც რომ იყოს, იმ შემთხვევაშიც კი ის შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ უმაღლესი

¹²⁴ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 20 მაისის ბრძანება № 45 „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური, პროგრამული და ადამიანური რესურსების ნორმატივების დამტკიცების შესახებ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი III, 27.05.2005, № 64, მუხლი 680.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 29 ივლისის დადგენილება № 121 „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელებამდე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა ლიცენზირების წესებისა და პირობების შესახებ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი III, 01.08.2005 წ., № 89, მუხლი 1017.

საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ, რომლებიც ამ კანონის და მანამდე ანალოგიური მოთხოვნების შემცველი ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების ძალაში შესვლის შემდეგ შეიქმნა ან მომავალში შეიქმნება და რომლებიც სტუდენტების მიღებას აწარმოებენ 2005-2006 სასწავლო წლიდან, რადგან 2005 წლამდე მიღებული სტუდენტების და შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ აღნიშნული მოთხოვნის განხორციელება აშკარად ანტიკონსტიტუციურია.

კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების და, შესაბამისად, მათი ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვის და აგრეთვე ყოველი ადამიანის მიერ განათლების მიღების კონსტიტუციური უფლების (მუხლი 35, პუნქტი 1)¹²⁵ აშკარა შელახვის მაგალითს წარმოადგენს აგრეთვე „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნა (მუხლი 36, პუნქტი 2), რომელიც ეხება თითქოსდა ინტერესთა კონფლიქტს და რომლის თანახმად: „საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლეს ან/და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, არ შეიძლება ფუნქციონირებდნენ ერთ შენობაში“¹²⁶.

¹²⁵ საქართველოს კონსტიტუცია. ცვლილებებითა და დამატებებით 2006 წლის 10 მარტამდე. თბილისი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, 2006, გვ. 17.

¹²⁶ საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი 1, 04.05.2005, № 20, მუხლი 143, გვ. 18.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ნამდვილად აქვს ადგილი ინტერესთა კონფლიქტს იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შენობაში ფუნქციონირებს აგრეთვე კერძო სკოლა – კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება (მით უმეტეს, როდესაც ეს სკოლები ფუნქციონირებენ ერთ ცვლაში), რადგან ცნობილია ფაქტები, როდესაც, მაგალითად, ბავშვს არ ღებულობდნენ სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რათა ის მიეღოთ კერძო სკოლაში.

მაგრამ არანაირ ინტერესთა კონფლიქტს არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი იმ შემთხვევაში, როდესაც, მაგალითად, პირველ ცვლაში ფუნქციონირებს სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, ხოლო მეორე ცვლაში კი – კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რადგან ისინი ერთმანეთის კონკურენტები არ არიან და ერთმანეთს ვერაფერში ვერ შეეცილებიან.

უფრო მეტიც, აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი ექნება ინტერესთა თანხვედრას, რადგან, ერთი მხრივ, მოხდება ძირითადი საშუალებების უფრო ეფექტიანი გამოყენება, რითაც სახელმწიფოც დაინტერესებული უნდა იყოს, ხოლო, მეორე მხრივ, ეს ხელს შეუწყობს როგორც სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ისე კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტიან ფუნქციონირებას და მათი სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციას.

თუმცა ამისთვის, ერთი მხრივ, ძალადაკარგულად უნდა იქნეს ცნობილი სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთ შენობაში ფუნქციონირების აკრძალვის მოთხოვნა, რომელიც ძალაში შედის „არა უგვიანეს 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებისა“¹²⁷, უფრო ზუსტად კი საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“ უნდა შეიცვალოს აღნიშნული მოთხოვნა ერთ შენობაში სახელმწიფო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ერთდროულად ფუნქციონირების აკრძალვის მოთხოვნით.

გარდა ამისა, ერთ შენობაში ერთი ტიპის სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთდროულად ფუნქციონირების აკრძალვის მოთხოვნა უნდა განისაზღვროს საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“.

ხოლო, მეორე მხრივ, ბათილად ან ძალადაკარგულად უნდა იქნეს ცნობილი მოთხოვნა, რომლის თანახმად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, როგორც ზემოთ აღინიშნა, უნდა ჰქონდეს „ფართის 24 საათიან რეჟიმში სარგებლობის უფლება“¹²⁸.

¹²⁷ საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ (მუხლი 58, პუნქტი 6). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I, 04.05.2005, № 20, მუხლი 143, გვ. 24.

¹²⁸ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 27 მარტის ბრძანება № 223 „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის დებულებისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 2. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი III, 27.03.2006, № 41, მუხლი 477, გვ. 13.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ცნობილია, კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირება დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის. ამიტომ მათი ფუნქციონირების ხელოვნური შეზღუდვები უარყოფით გავლენას ახდენს როგორც საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, ისე ამ ეკონომიკური სისტემის სოციალურ ორიენტაციაზე.

აღსანიშნავია, რომ კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების, როგორც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შემადგენელი ნაწილის, სოციალური ორიენტაცია მდგომარეობს ახალგაზრდების ჩაბმაში სასწავლო პროცესში და მათგან მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში, პროფესორ-მასწავლებელთა და სხვა ადამიანების დასაქმებაში და მათი შრომის სათანადო ანაზღაურების გზით სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში, სახელმწიფოსათვის გადასახადების გადახდის გზით დამატებითი ეკონომიკური საფუძვლების შექმნაში, საბოლოო ჯამში, სოციალური პრობლემების გადასაჭრელად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების ხელოვნური ანტიკონსტიტუციური შეზღუდვა დაუსაბუთებელი კრიტერიუმებით (მაგალითად, შენობა-ნაგებობის არანაკლებ 1000 კვადრატული მეტრი ფართის ფლობა დღე-ღამეში 24 საათის განმავლობაში და ა. შ.),

რომლებიც სპეციალისტის მომზადების დონეს კი არ განსაზღვრავენ, არამედ მხოლოდ დამფუძნებლის ძლიერი ფინანსური შესაძლებლობების აუცილებლობაზე მიუთითებენ, რითაც მან შეიძლება „აჯობოს“ ინტელექტუალურად ბევრად უფრო მაღალი დონის კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებსაც რეალურად საჭირო ყველა პირობა გააჩნიათ მაღალი დონის სპეციალისტების მომზადებისათვის.

მაშასადამე, კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების ხელოვნური შეზღუდვით, ჯერ-ერთი, ილაზება მრავალი ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები, და, მეორეც, ეს უარყოფით გავლენას ახდენს როგორც საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, ისე ამ ეკონომიკური სისტემის სოციალურ ორიენტაციაზე.

რეფორმების განხორციელება უდავოდ აუცილებელია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და, მათ შორის, უმაღლესი განათლების სისტემაში, მაგრამ, ჩვენი აზრით, რეფორმები ხელს უნდა უწყობდეს საბაზრო ურთიერთობების განვითარებას და ხალხის ინტერესების დაკმაყოფილებას, და არა პირიქით.

საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების ხელოვნური შეზღუდვის აშკარა მაგალითს წარმოადგენს აგრეთვე ის ფაქტი, რომ სტუდენტი, რომელიც ამოირიცხა IV, V ან სხვა კურსიდან სწავლების საფასურის

გადაუხდელობის გამო, არ შეიძლება აღდგენილი იქნეს სწავლების საფასურის გადახდის შემთხვევაშიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რადგან მან, ისევე როგორც აბიტურიენტმა, უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები¹²⁹.

ასეთი მიდგომა, ჩვენი აზრით, გამართლებული იქნებოდა იმ სტუდენტების მიმართ, რომლებიც ამოირიცხნენ I კურსიდან აკადემიური ჩამორჩენილობის გამო, მაგრამ როდესაც, მაგალითად, ეკრძალება აღდგენა ფრიადოსან სტუდენტს, რომელმაც ოთხი კურსი დაამთავრა და ერთი ან ორი წელი V კურსის სწავლების საფასური ვერ გადაიხადა, გაუმართლებლად და აშკარად ანტიკონსტიტუციურად მიგვაჩნია, რადგან ამით ილახება ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები, რაც აუარესებს მათ მდგომარეობას ანტიკონსტიტუციური მოთხოვნის გამო.

ამრიგად, ჩვენ უკვე განვიხილეთ საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამალღების პირველი მიმართულების, ანუ პირველი გზის მოთხოვნა ანტიკონსტიტუციური კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების ძალადაკარგულად ცნობის აუცილებლობის შესახებ.

¹²⁹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ბრძანება № 127 „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 22, პუნქტი 3. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი III, 01.04.2005 წ., № 37, მუხლი 380.

ამასთან ერთად, აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, ჩვენი აზრით, უმნიშვნელოვანესია მოთხოვნა – შემოდებულ იქნეს პასუხისმგებლობა იმ ანტიკონსტიტუციური კანონებისა და სამართლებრივი აქტების, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების მიღებაზე და ცხოვრებაში გატარებაზე, რომლებმაც შეიძლება შელახონ ადამიანის უფლებები და ხელი შეუშალონ საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას.

ზემოაღნიშნული პასუხისმგებლობის დანერგვა, რაც სათანადო ნორმატიულ აქტებში უნდა იქნეს გათვალისწინებული, ჩვენი აზრით, უდავოდ აამაღლებს სამართლებრივი ფაქტორის გავლენას საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე.

რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების მეორე მიმართულებას, ანუ მეორე გზას, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ეს არის, ერთი მხრივ, საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული კანონიერი და სამართლიანი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების აღსრულების სტიმულირება, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის გაზრდა (გამკაცრება) ყველა დონეზე – როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირების, ისე სხვა ფიზიკური და აგრეთვე იურიდიული პირების მიმართ, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით მათზე კანონით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის.

კერძოდ, საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული კანონიერი და სამართლიანი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების აღსრულების სტიმულირება უნდა ხდებოდეს როგორც ყოველი ადამიანის შრომის სათანადო და დროული ანაზღაურებით, ისე განსაკუთრებით გამორჩეული შედეგებისათვის დამატებით მატერიალური და მორალური სტიმულების დანერგვით შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმების გამოყენებით, რაც უნდა რეგულირდებოდეს სამართლებრივი ფაქტორის საშუალებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრეთვე სახელმწიფო თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის გაზრდა (გამკაცრება) საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით მათზე კანონით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის.

ამასთან დაკავშირებით გამართლებულად მიგვაჩნია სამართლებრივი ფაქტორის გამოყენებით კონკრეტული ეკონომიკური პასუხისმგებლობის მექანიზმის დანერგვა იმ თანამდებობის პირების მიმართ, რომლებიც, მაგალითად, დროულად არ გასცემენ ხელფასებს და ა. შ.,¹³⁰ ისევე როგორც, მაგალითად, სახელმწიფოსათვის გადასახადების გადაუხდელობის ან დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებულია ყველა სათანადო

¹³⁰ საქართველოს შრომის კოდექსი. მუხლი 31, პუნქტი 2. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი III, 19.06.2006, № 23, მუხლი 183, გვ. 6.

ფიზიკური თუ იურიდიული პირის დაჯარიმება, ანუ მათზე კონკრეტული ეკონომიკური პასუხისმგებლობის დაკისრება.

ზემოაღნიშნული პასუხისმგებლობის დანერგვა, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლებას.

საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების მესამე მიმართულებას, ანუ მესამე გზას, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, წარმოადგენს ისეთი ახალი კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების მიღება, ან არსებულ ნორმატიულ აქტებში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც ხელს შეუწყობს საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლებას.

აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა დაუყოვნებლივ უნდა დაკანონდეს, რომ ხელფასი, პენსია, სტიპენდია და ა. შ., ანუ შემოსავალი ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს საარსებო მინიმუმზე ნაკლები, რაც სახელმწიფოში არსებული და პოტენციური შესაძლებლობების გათვალისწინებით უახლოეს მომავალში უნდა იქნეს პრაქტიკულად განხორციელებული.

იმის გათვალისწინებით, რომ საარსებო მინიმუმი ადამიანის არსებობის მინიმალურ საშუალებას წარმოადგენს, ჩვენი აზრით, ის განთავისუფლებული უნდა იქნეს ყოველგვარი დაბეგვრისგან.

საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის მიზნით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დაცული იყოს საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნა (მუხლი 30, პუნქტი 2), რომლის თანახმად: „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა“¹³¹.

ამასთან ერთად, თუ სახელმწიფო მაინც დაუშვებს რომელიმე კერძო საწარმოს, კერძო ფირმის მონოპოლიას, მაგალითად, მოსახლეობის მომსახურების სფეროში ელექტროენერჯით, წყლით და ა. შ., რაც პრინციპში ანტიკონსტიტუციურია, მაშინ მან (სახელმწიფომ) ასეთი მონოპოლიის დაშვებისას წინასწარ ხელშეკრულებაში უნდა გაითვალისწინოს მოსახლეობის დაცვის მექანიზმები მაინც. კერძოდ, სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს საქონლის, მომსახურების მაქსიმალური ფასის (ზედა ზღვარის) შეზღუდვის აუცილებლობა, რათა დაცული იქნეს ამ შემთხვევაშიც საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია.

¹³¹ საქართველოს კონსტიტუცია. ცვლილებებითა და დამატებებით 2006 წლის 10 მარტამდე. თბილისი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, 2006, გვ. 16.

3.3. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზები

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ფრიად მნიშვნელოვანია ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის წინააღმდეგობათა დაძლევა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზების დადგენა.

ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზების განსაზღვრა და, ამავე დროს, საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზების დადგენა სულაც არ გამორიცხავს წინააღმდეგობებს, რომლებიც შეიძლება არსებობდეს და არსებობს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და რომლებიც ხელს უშლის ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას.

ამრიგად, განვიხილავთ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზების დადგენის პრობლემას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ, ერთი მხრივ, საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზების დადგენა, მეორე მხრივ, საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზების დადგენა, ხოლო, მესამე მხრივ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზების დადგენა ერთიან კომპლექსურ პრობლემას წარმოადგენს და ამ გზების ძიება და დადგენა მხოლოდ მათ ურთიერთკავშირშია შესაძლებელი.

ამასთანავე, ნაშრომში აღნიშნული გზები განიხილება ცალ-ცალკე და ამავე დროს ურთიერთკავშირში, რათა უფრო რელიეფურად გამოჩნდეს სამართლებრივი ფაქტორის გავლენა როგორც საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე და აგრეთვე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე, ისე მისი გავლენა მთლიანად სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

რაც შეეხება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზების დადგენას, ეს გზები, ისევე როგორც

საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე და აგრეთვე საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამალღების გზები, ჩვენი აზრით, შეიძლება დაიყოს სამ ძირითად მიმართულებად:

პირველი მიმართულება, ანუ პირველი გზა – ეს არის, ერთი მხრივ, იმ ანტიკონსტიტუციური კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების ძალადაკარგულად ცნობა, რომლებიც აბრკოლებენ (ხელს უშლიან) სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებას, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის შემოღება მომავალში იმ ანტიკონსტიტუციური კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების მიღებაზე, მათი აღსრულების მოთხოვნაზე და ცხოვრებაში გატარებაზე, რომლებმაც შეიძლება შელახონ ადამიანის უფლებები და ხელი შეუშალონ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებას;

მეორე მიმართულება, ანუ მეორე გზა – ეს არის, ერთი მხრივ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კანონიერი და სამართლიანი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების აღსრულების სტიმულირება, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის გაზრდა (გამკაცრება) ყველა დონეზე

— როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირების, ისე სხვა ფიზიკური და აგრეთვე იურიდიული პირების მიმართ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევისა და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების რეალიზაციის მიზნით მათზე კანონით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის;

მესამე მიმართულება, ანუ მესამე გზა — ეს არის ისეთი ახალი კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების მიღება, ან არსებულ ნორმატიულ აქტებში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც ხელს შეუწყობს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევისა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლებას.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევისა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზების დაკონკრეტების მიზნით მიგვაჩნია, რომ ისევე როგორც საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე და აგრეთვე საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზების კონკრეტიზაციის შემთხვევაში, პირველი მიმართულების, ანუ პირველი გზის პრაქტიკული რეალიზაციისათვის სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა საფუძვლიანად გადაამოწმოს ყველა კანონი და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი, მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით, და ძალადაკარგულად უნდა ცნოს

ანტიკონსტიტუციური კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილები, რომელთა მოქმედებაც ლახავს ადამიანის უფლებებს და ხელს უშლის სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებას.

კერძოდ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობიდან გამომდინარე – წინააღმდეგობიდან აღნიშნული საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის, ჩვენი აზრით, ძალადაკარგულად უნდა იქნეს ცნობილი ის ანტიკონსტიტუციური კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილები, რომლებიც, როგორც ზემოთ უკვე გამარხვილდა ყურადღება, ხელს უშლიან სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებას.

ამრიგად, იმ ანტიკონსტიტუციურ კანონებსა და სხვა სამართლებრივ აქტებს, ან მათ ანტიკონსტიტუციურ ნაწილებს, რომლებიც ექვემდებარება ძალადაკარგულად ცნობას, მიეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, ის ნორმატიული აქტები, რომლებიც აკანონებენ, მაგალითად, საარსებო მინიმუმზე ნაკლები ოდენობის ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების და ა. შ. არსებობას, რადგან ეს უხეშად ლახავს ადამიანის უფლებებს და სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს და ფაქტობრივად უგულვებელყოფს საბაზრო ეკონომიკის

სოციალურ ორიენტაციას და წინააღმდეგობაში მოდის მასთან.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია, როგორც ცნობილია, არის ორიენტაცია ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე.

ამიტომ, როდესაც სახელმწიფო სტრუქტურებში გარკვეულ თანამდებობის პირებს ენიშნებათ საარსებო მინიმუმზე ათჯერ, ოცჯერ და ა. შ. უფრო მაღალი ხელფასები, ეს საერთოდ დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამის გაკეთება შეიძლება მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ყველა მოქალაქე – საზოგადოების ყოველი წევრი – უზრუნველყოფილი იქნება საარსებო მინიმუმით მაინც, რადგან საარსებო მინიმუმზე ნაკლები ხელფასის, პენსიის და ა. შ. დადგენა ადამიანებს ართმევს სიცოცხლის უფლებას, რაც ამკარად ანტიკონსტიტუციურია (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 15, პუნქტი 1)¹³².

თუმცა, ჩვენი აზრით, სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირები მართლაც უნდა იყვნენ ყოველმხრივ უზრუნველყოფილნი, რათა ეფექტიანად მართონ ქვეყანა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფილი იქნება ყველა მოქალაქე, ჩვენი აზრით, მაღალი ხელფასები

¹³² საქართველოს კონსტიტუცია. ცვლილებებითა და დამატებებით 2006 წლის 10 მარტამდე. თბილისი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, 2006, გვ. 11.

უნდა დაენიშნოს სახელმწიფო თანამდებობის პირებს და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს, უპირველეს ყოვლისა, სათანადო დონის მეცნიერებს და ა. შ.

ანტიკონსტიტუციურ კანონებსა და სხვა სამართლებრივ აქტებს, ან მათ ანტიკონსტიტუციურ ნაწილებს, რომლებიც ძალადაკარგულად ცნობას ექვემდებარება, მიეკუთვნება აგრეთვე ის ნორმატიული აქტები, რომლებიც ხელს უშლის, მაგალითად, წინააღმდეგობათა დაძლევას სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის თავისუფლად ფუნქციონირების აუცილებლობასა და ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციისათვის მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობას შორის.

როგორც ცნობილია, თავისუფლად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა ემსახურება ეკონომიკურ მიზანს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასთან და საბაზრო ურთიერთობების სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობასთან.

ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში საბაზრო ურთიერთობების სახელმწიფოებრივი რეგულირება არა მარტო ზღუდავს საბაზრო ეკონომიკის თავისუფალ ფანქციონირებას, არამედ წინააღმდეგობაში მოდის აგრეთვე საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასთან. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ზემოთ მოყვანილი ფაქტი, როდესაც უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის დადგენილია არანაკლებ 1000 კვადრატული მეტრი ფართის ფლობის აუცილებლობა, რაც კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ აშკარად ანტიკონსტიტუციური მოთხოვნაა, რადგან, ერთი მხრივ, ამით ილახება კერძო მესაკუთრის უფლებები და ხელი ეშლება თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ, ილახება მრავალი ადამიანის განათლების მიღების უფლება (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 21, პუნქტი 1; მუხლი 30, პუნქტი 2; მუხლი 35, პუნქტი 1)¹³³, რაც, საბოლოო ჯამში ზღუდავს როგორც საბაზრო ურთიერთობების სოციალურ ორიენტაციას, ისე მის ეკონომიკურ ეფექტიანობას, და საერთოდ ფაქტობრივად იწვევს მრავალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების აკრძალვას. ეს კი ხელს უშლის სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას, და მის ფუნქციონირებას საერთოდ, ანუ იწვევს ეკონომიკური საქმიანობისა და მისი სოციალური ორიენტაციის ხელოვნურ შეზღუდვას.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ისეთი ანტიკონსტიტუციური კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების ძალადაკარგულად ცნობა, რომლებიც ხელს უშლიან წინააღმდეგობების დაძლევას

¹³³ საქართველოს კონსტიტუცია. ცვლილებებითა და დამატებებით 2006 წლის 10 მარტამდე. თბილისი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, 2006, გვ. 12-13, 16, 17.

საწარმოთა ეკონომიკურ მიზანსა და საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის, მეწარმეთა კერძომესაკუთრულ ეკონომიკურ მიზანსა და საბაზრო ურთიერთობების სოციალურ ორიენტაციას შორის, უკანონო შემოსავლების მიღების მსურველთა – კორუფციონერთა – ეკონომიკურ მიზანსა და საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის და ა. შ.

მაშასადამე, ჩვენს მიერ უკვე განხილულ იქნა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამალღების პირველი მიმართულების, ანუ პირველი გზის მოთხოვნა ანტიკონსტიტუციური კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების ძალადაკარგულად ცნობის აუცილებლობის შესახებ, რომლის პრაქტიკულ განხორციელებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

გარდა ამისა, აღნიშნული პრობლემის გადაჭრისათვის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას წარმოადგენს პასუხისმგებლობის დანერგვა იმ ანტიკონსტიტუციური კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების მიღებაზე და აღსრულების დავალდებულებაზე, რომლებმაც შეიძლება შელახონ ადამიანის უფლებები და ხელი შეუშალონ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის

წინააღმდეგობათა დაძლევისა და მის ეფექტიან ფუნქციონირებას.

რაც შეეხება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევისა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამალღების მეორე მიმართულებას, ანუ მეორე გზას, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ეს არის, ერთი მხრივ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევისა და მის ეფექტიან ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კანონიერი და სამართლიანი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების აღსრულების სტიმულირება, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის გაზრდა (გამკაცრება) ყველა დონეზე – როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირების, ისე სხვა ფიზიკური და აგრეთვე იურიდიული პირების მიმართ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევისა და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების რეალიზაციის მიზნით მათზე კანონით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის.

კერძოდ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევისა და მის ეფექტიან ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კანონიერი და სამართლიანი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების აღსრულების სტიმულირება, ისევე როგორც საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობასთან და აგრეთვე საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული კანონიერი და სამართლიანი კანონებისა

და სხვა სამართლებრივი აქტების აღსრულების სტიმულირება, უნდა ხდებოდეს როგორც ყოველი ადამიანის შრომის სათანადო და დროული ანაზღაურებით, ისე განსაკუთრებით გამორჩეული შედეგებისათვის დამატებითი მატერიალური და მორალური სტიმულების დანერგვით შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმების გამოყენებით, რაც დარეგულირებული უნდა იყოს სამართლებრივი ფაქტორის საშუალებით.

ამასთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრეთვე სახელმწიფო თანამდებობის პირების და ა. შ. პასუხისმგებლობის გაზრდა (გამკაცრება) სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევისა და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით მათზე კანონით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის.

ასეთი პასუხისმგებლობა, ჩვენი აზრით, უნდა დგებოდეს იმ შემთხვევაში, როდესაც სათანადო თანამდებობის პირები ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, რომლის თანახმად უზრუნველყოფილი უნდა იყოს, ერთი მხრივ, საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური ეფექტიანობა, ხოლო, მეორე მხრივ, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია, და, საბოლოო ჯამში, მთლიანად სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება, რაც შესაძლებელია მხოლოდ აღნიშნული საბაზრო ეკონომიკური სისტემის წინააღმდეგობათა მნიშვნელოვანი დაძლევის პირობებში.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევისა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების მესამე მიმართულებას, ანუ მესამე გზას, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, წარმოადგენს ისეთი ახალი კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების მიღება, ან არსებულ ნორმატიულ აქტებში ისეთი ცვლილებების შეტანა (რაც აგრეთვე ახალი ნორმატიული აქტების მიღების საშუალებით ხდება), რომლებიც რეალურად ხელს შეუწყობს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევისა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლებას.

აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, როგორც ზემოთაც გამახვილდა ყურადღება, უპირველეს ყოვლისა უნდა დაკანონდეს, რომ ხელფასი, პენსია, სტიპენდია და ა. შ., ანუ შემოსავალი ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს საარსებო მინიმუმზე ნაკლები, რაც სახელმწიფომ ერთდროულად თუ არა, ეტაპობრივად მაინც და თანაც უმოკლეს ვადებში უნდა განახორციელოს, რაც ელემენტარულ კონსტიტუციურ მოთხოვნას წარმოადგენს.

ამასთან, ყოველი ადამიანის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფამდე, როგორც აღრეც აღინიშნა, უნდა დაკანონდეს იმ ადამიანების ყოველგვარი დაბეგვრისაგან განთავისუფლება, რომელთა შემოსავალი საარსებო მინიმუმს არ აღემატება, რაც შემდგომშიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, და რაც აგრეთვე კონსტიტუციურ მოთხოვნას წარმოადგენს.

გარდა ამისა, ადამიანის სიცოცხლის დაცვის კონსტიტუციური უფლების (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 15, პუნქტი 1)¹³⁴ უზრუნველყოფის მიზნით, რომლის გარეშე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფანქციონირება წარმოუდგენელია, ჩვენი აზრით, სახელმწიფომ უნდა დაფაროს იმ ადამიანების (იმ ოჯახების) კომუნალური ხარჯები (მოხმარებული გაზის, ელექტროენერჯის, წყლის და ა. შ. საფასური), რომელთა შემოსავალი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია, რაც კანონმდებლობით უნდა იქნეს გათვალისწინებული.

კანონმდებლობით უნდა იქნეს გათვალისწინებული აგრეთვე ეკონომიკური პასუხისმგებლობის შემოღება დაგვიანებით გაცემულ ან გაუცემელ პენსიებზე, სტიპენდიებზე, ანაბრებზე და ა. შ., ისევე როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს კანონით განსაზღვრული პროცენტი, თუკი კრედიტორს სხვა საფუძვლიდან გამომდინარე უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია“¹³⁵, ან ისევე როგორც სახელმწიფოსათვის ფიზიკური და იურიდიული პირების

¹³⁴ საქართველოს კონსტიტუცია. ცვლილებებითა და დამატებებით 2006 წლის 10 მარტამდე. თბილისი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, 2006, გვ. 11.

¹³⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 1997 წლის 26 ივნისი. პარლამენტის უწყებანი. საკანონმდებლო დამატება, № 31. თბილისი, 24.07.97, გვ. 52.

მიერ გადასახადების დაგვიანებით გადახდის ან გადაუხდელობის შემთხვევაში საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია მათი დაჯარიმება, ანუ მათ მიერ ყოველი გადაცილებული დღისათვის გარკვეული ოდენობის საურავის გადახდა¹³⁶.

ანალოგიური ჯარიმების გადახდა უნდა იქნეს აგრეთვე გათვალისწინებული კანონმდებლობით, მაგალითად, მოსახლეობისათვის სატელეფონო მომსახურების, გაზის, ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტისათვის და ა. შ.

სახელმწიფომ, ჩვენი აზრით, კანონმდებლობით უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის გაზით, ელექტროენერჯით, წყლით და ა. შ. მომსახურების სფეროში კერძო მონოპოლიების დაუშვებლობა, ან მათი დაშვების შემთხვევაში მოსახლეობის დაცვა ტარიფების ისეთი ზრდისაგან, როდესაც ეს ზრდა წინააღმდეგობაში მოდის კერძო (ან უცხოური სახელმწიფო) მონოპოლიების და მათი დამფუძნებლების ეკონომიკურ მიზანსა და საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის, ანუ როდესაც ხალხის ცხოვრების პირობების გაუარესების ხარჯზე ხდება კერძო მონოპოლიების კიდევ უფრო გამდიდრება.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევისა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის

¹³⁶ საქართველოს საგადასახადო კოდექსი. 2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ოფიციალური ტექსტი), თავი XVIII, მუხლი 129, პუნქტი 5. თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2004, გვ. 101-102.

ამაღლების მიზნით, ჩვენი აზრით, უნდა გაუქმდეს ფიზიკური პირების ქონების გადასახადი, თუ ეს პირები ქონებას არ იყენებენ ეკონომიკური საქმიანობისათვის და, შესაბამისად, შემოსავლის მისაღებად, რადგან, როგორც ზემოთ იქნა დასაბუთებული, ეს გადასახადი ანტიკონსტიტუციურია (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 21, პუნქტი 1)¹³⁷ და შემოსავლის ორმაგი და მრავალჯერადი დაბეგვრით ლახავს მესაკუთრის უფლებას.

ამავე დროს სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ხელშეწყობის მიზნით კანონმდებლობით შეიძლება შემოღებული იქნეს საშემოსავლო გადასახადის დიფერენციაცია და, მაგალითად, ფიზიკურ პირზე კალენდარული წლის განმავლობაში 40000 ლარზე მეტი შემოსავალი (ერთ ოჯახზე გაანგარიშებით) დაიბეგროს არა 12%-ით, არამედ 15%-ით, 100000 ლარზე მეტი შემოსავალი – 17%-ით, 300000 ლარზე მეტი შემოსავალი – 20%-ით.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ის გარემოება, რომ, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ლ. ჩიქავა სამართლიანად აღნიშნავს, არსებობს წინააღმდეგობები, რომელთა გადაჭრისას „შეუძლებელია ხელმძღვანელობდე საბაზრო ეკონომიკის კატეგორიებით“¹³⁸.

¹³⁷ საქართველოს კონსტიტუცია. ცვლილებებითა და დამატებებით 2006 წლის 10 მარტამდე. თბილისი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, 2006, გვ. 12-13.

¹³⁸ Чикава Л. Рыночная экономика: проблема социальных противоречий. Журнал “Общество и экономика”, 1998, № 1, с. 61.

ეს არის, „მაგალითად, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის, საზღვრების დაცვის, სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის სათანადო დონეზე შენარჩუნების ამოცანები. ეს ამოცანები მეტად აქტუალურია ბევრ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში, კერძოდ საქართველოში“¹³⁹

სხვა წინააღმდეგობებთან ერთად, პროფესორი ლ. ჩიქავა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე „ყველაფერ იმაზე, რასაც მივყავართ სერიოზულ ნეგატიურ ეკოლოგიურ პროცესებამდე“¹⁴⁰.

ამასთან, „საბაზრო მექანიზმებს, – როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი ლ. ჩიქავა, – ბუნებრივია, არ შეუძლია გაანეიტრალოს ნეგატიური შედეგები იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მის უშუალო მიზნად გვევლინება მოგების მიღება, და არა ორიენტაცია საზოგადოების ეკოლოგიურ კეთილდღეობაზე“¹⁴¹.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობებთან დაკავშირებული, პროფესორ ლ. ჩიქავას მიერ მოყვანილი მაგალითები უდავოდ მნიშვნელოვანია. ამასთან, ზემოაღნიშნული წინააღმდეგობების დაძლევა სამართლებრივი ფაქტორის გამოყენებით, ჩვენი აზრით, უნდა განიხილებოდეს როგორც საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის

¹³⁹ Чикава Л. Рыночная экономика: проблема социальных противоречий. Журнал “Общество и экономика”, 1998, № 1, с. 61.

¹⁴⁰ Чикава Л. Рыночная экономика: проблема социальных противоречий. Журнал “Общество и экономика”, 1998, № 1, с. 62.

¹⁴¹ Чикава Л. Рыночная экономика: проблема социальных противоречий. Журнал “Общество и экономика”, 1998, № 1, с. 63.

პრაქტიკული რეალიზაცია, რადგან საბოლოო ჯამში ამ წინააღმდეგობების დაძლევა დაკავშირებულია ხალხის ინტერესების რეალიზაციასთან.

თუმცა, აღნიშნული წინააღმდეგობების დაძლევა, ჩვენი აზრით, არ უნდა მოხდეს ხალხის საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფის უგულებელყოფის ხარჯზე.

თავისთავად ცხადია, რომ არსებობს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევისა და ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების მრავალი პრობლემა, მაგრამ ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ ამ წინააღმდეგობათა დაძლევისა და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამალლების გზები, ანუ ვაჩვენოთ ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამალლების ძირითადი მიმართულებები, რომელთა გათვალისწინებით მრავალი კონკრეტული პრობლემის გადაჭრა ცალკე სპეციალური კვლევის საგანს წარმოადგენს.

დასკვნა

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისა და მის ეფექტიან ფინქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის პრობლემების შესწავლის საფუძველზე მონოგრაფიაში გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები და მოცემულია რეკომენდაციები. კერძოდ:

1. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ურთიერთობების თეორიული ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი მდგომარეობს ისეთი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ერთდროულად მოგების მიღებისადმი სწრაფვა და სოციალური ორიენტაცია.

2. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკური ნიშნების განხილვისას გაკეთებულია დასკვნა, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა არის საბაზრო ეკონომიკური სისტემა, რომელსაც, ერთი მხრივ, ახასიათებს წმინდა ეკონომიკური მიმართულება, ანუ მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ სწრაფვა, ხოლო, მეორე მხრივ, ახასიათებს სოციალური ორიენტაცია, ანუ ორიენტაცია ადამიანის – ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე.

გაკეთებულია აგრეთვე დასკვნა, რომ აღნიშნული სპეციფიკური ნიშნების ერთობლიობაში გამოიხატება

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი და მისი განსხვავება როგორც მკაცრად რეგულირებადი, ისე თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისაგან. თუმცა ამავე დროს თვითონ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკური ნიშნები გამომდინარეობს ამ ეკონომიკური სისტემის არსიდან და გამოხატავს მის არსს.

3. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გახსნილი და დასაბუთებულია ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ძირითადი წინააღმდეგობა – როგორც წინააღმდეგობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის.

4. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობიდან გამომდინარე გახსნილი და დასაბუთებულია აგრეთვე აღნიშნული ეკონომიკური სისტემის ისეთი წინააღმდეგობების არსებობა, როგორებიც არის: წინააღმდეგობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის თავისუფლად ფუნქციონირების აუცილებლობასა და საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობას შორის; წინააღმდეგობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის

პირობებში საწარმოთა ეკონომიკურ მიზანსა და ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის სოციალურ ორიენტაციას შორის; წინააღმდეგობა მეწარმეთა კერძომესაკუთრულ ეკონომიკურ მიზანსა და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის; წინააღმდეგობა კორუფციონერთა – უკანონო შემოსავლების მიღების მსურველთა და პრაქტიკაში განმახორციელებელთა – წმინდა ეკონომიკურ მიზანსა და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკულ რეალიზაციას შორის.

5. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის პრობლემის ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის წინააღმდეგობათა დაძლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივ ფაქტორს, რომელიც მონოგრაფიაში განხილულია როგორც აღნიშნულ წინააღმდეგობათა დაძლევის აუცილებელი საშუალება.

6. სამართლებრივი ფაქტორის გავლენა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაზე განიხილება ამავე დროს როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის – წარმოების მეხუთე ფაქტორის – პრაქტიკული გამოვლინების ერთ-ერთი ასპექტი.

7. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის დერეგულირება განხილულია როგორც ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა.

8. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების მთავარ კრიტერიუმად მიჩნეულია სოციალური პრობლემების გადაჭრა და ყოველი ადამიანის ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

ამასთან დაკავშირებით მონოგრაფიულ ნაშრომში გაკეთებულია აგრეთვე დასკვნა, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების მთავარი კრიტერიუმი ფაქტობრივად თავის თავში მოიცავს (აერთიანებს) ერთდროულად ორ კრიტერიუმს: ეკონომიკური მიზნის რეალიზაციას, ანუ მოგების მიღებას, და სოციალური პრობლემების გადაჭრას. მაგრამ აღნიშნული ტიპის საბაზრო სისტემის განვითარების კვალობაზე სულ უფრო მკვეთრად იკვეთება სოციალური პრობლემების გადაჭრის მნიშვნელობა როგორც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების მთავარი კრიტერიუმისა.

9. დადგენილია საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზები.

კერძოდ, მონოგრაფიაში შემოთავაზებულია სამი ძირითადი მიმართულება:

პირველი მიმართულება, ანუ პირველი გზა – ეს არის, ერთი მხრივ, იმ ანტიკონსტიტუციური კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების ძალადაკარგულად ცნობა, რომლებიც აბრკოლებენ (ხელს უშლიან) საბაზრო ურთიერთობების ფუნქციონირებას და მისი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის შემოღება მომავალში ანტიკონსტიტუციური კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების მიღებაზე და ცხოვრებაში გატარებაზე;

მეორე მიმართულება, ანუ მეორე გზა – ეს არის, ერთი მხრივ, არსებული კანონიერი და სამართლიანი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების აღსრულების სტიმულირება, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის გაზრდა (გამკაცრება) ყველა დონეზე – როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირების, ისე სხვა ფიზიკური და აგრეთვე იურიდიული პირების მიმართ, მათზე კანონით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის;

მესამე მიმართულება, ანუ მესამე გზა – ეს არის ისეთი ახალი კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების მიღება, ან არსებულ ნორმატიულ აქტებში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც ხელს შეუწყობს საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლებას.

10. დადგენილია საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამალლების გზები.

კერძოდ, ისევე როგორც საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამალლების გზების კვლევის შემთხვევაში, აქაც შემოთავაზებულია სამი ძირითადი მიმართულება:

პირველი მიმართულება, ანუ პირველი გზა – ეს არის, ერთი მხრივ, იმ ანტიკონსტიტუციური კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების ძალადაკარგულად ცნობა, რომლებიც აბრკოლებენ (ხელს უშლიან) საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის შემოღება მომავალში იმ ანტიკონსტიტუციური კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების მიღებაზე და ცხოვრებაში გატარებაზე, რომლებმაც შეიძლება შელახონ ადამიანის უფლებები და ხელი შეუშალონ საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას;

მეორე მიმართულება, ანუ მეორე გზა – ეს არის, ერთი მხრივ, საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული კანონიერი და სამართლიანი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების აღსრულების სტიმულირება, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის გაზრდა (გამკაცრება)

ყველა დონეზე – როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირების, ისე სხვა ფიზიკური და აგრეთვე იურიდიული პირების მიმართ, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით მათზე კანონით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის;

მესამე მიმართულება, ანუ მესამე გზა – ეს არის ისეთი ახალი კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების მიღება, ან არსებულ ნორმატიულ აქტებში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც ხელს შეუწყობს საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლებას.

11. დადგენილია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზები.

კერძოდ, ისევე როგორც საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე და აგრეთვე საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლების გზების კვლევის შემთხვევაში, აქაც შემოთავაზებულია სამი ძირითადი მიმართულება:

პირველი მიმართულება, ანუ პირველი გზა – ეს არის, ერთი მხრივ, იმ ანტიკონსტიტუციური კანონების და სხვა

სამართლებრივი აქტების, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების ძალადაკარგულად ცნობა, რომლებიც აბრკოლებენ (ხელს უშლიან) სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებას, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის შემოღება მომავალში იმ ანტიკონსტიტუციური კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების, ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების მიღებაზე, მათი აღსრულების მოთხოვნაზე და ცხოვრებაში გატარებაზე, რომლებმაც შეიძლება შელახონ ადამიანის უფლებები და ხელი შეუშალონ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებას;

მეორე მიმართულება, ანუ მეორე გზა — ეს არის, ერთი მხრივ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კანონიერი და სამართლიანი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების აღსრულების სტიმულირება, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის გაზრდა (გამკაცრება) ყველა დონეზე — როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირების, ისე სხვა ფიზიკური და აგრეთვე იურიდიული პირების მიმართ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევისა და მისი ეფექტიანი

ფუნქციონირების რეალიზაციის მიზნით მათზე კანონით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის;

მესამე მიმართულება, ანუ მესამე გზა – ეს არის ისეთი ახალი კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების მიღება, ან არსებულ ნორმატიულ აქტებში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც ხელს შეუწყობს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე სამართლებრივი ფაქტორის გავლენის ამაღლებას.:

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. აბღალაძე გ. რას მოგვცემს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ჩართვა. ჟურნალი „ეკონომიკა“, 1993, № 4-5, გვ. 52-55.

2. აბრალავა ა., სამსონია ნ., ტულუში მ. საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები. თბილისი: ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი „გაენათი“, 1995.

3. აბესაძე რ. ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ძირითადი შედეგები და მომავლის ამოცანები საქართველოში. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტომი II. თბილისი: „მეცნიერება“, 2001, გვ. 43-52.

4. აბესაძე რ., სარჩიმელია რ., არევაძე ნ., მელაშვილი მ. ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები. თბილისი: „უნივერსალი“, 2004.

5. ასათიანი რ. მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993.

6. ასათიანი რ. საქართველოს ფინანსური კრიზისი და ტრანზიტული პროცესების მაკროეკონომიკური რეგულირება. კრებულში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტომი 1. თბილისი: „სიახლე“, 2000, გვ. 103-119.

7. აქუბარდია თ. საბაზრო სისტემა და სახელმწიფო. თბილისი: „მეცნიერება“, 1996.

8. ანანიაშვილი ი. მაკროეკონომიკა. ნაწილი I. თბილისი: „უნივერსალი“, 2002.

